619
1988/2

ISSN 0130—1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა

აპრილი
№ 4 1988

ლანა ღოლობერიძე.

მსოფლიო

კინემატოგრაფისტ

ქალთა

ფორუმი



თბილისში ჩატარდა კინომოღვაწე ქალთა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი კონგრესი. კინემატოგრაფისტმა ქალებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, მოსაზრებები იმ მთავარ მიზანზე, რისთვისაც ასოციაცია იღვაწებს. მსოფლიოს მომავალი, მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე, ასე გამოიკვეთა ეს მიზანი. კინომოღვაწე ქალთა საკრებულოს მასპინძლობდა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ქართველი კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე. კონგრესის მონაწილეებმა დაათვალიერეს საქართველოს ღირშესანიშნაობანი, დაესწრნენ წარმოდგენებს, შეხვდნენ დიდ შრომითს კოლექტივებს.

ეს ფოტოები საქართველოში კონგრესის მონაწილე ქალთა ყოფნას ასახავს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 4 (616), აპრილი, 1988

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნომერში:

ოთარ ჭინჭლაძე. უნდა ვიაროთ წინ

კონსტანტინე ფედინი. ლენინის სურათი

ოთარ ხუციშვილი. საწარმო კაცით არის...

ვლადიმირ სოლოუხინი. სტეპანიდა ივანოვნას დასაფლავება

ოთარ ჭირცხალავა. დონ-კარლოსი და სხვ...

შალვა კინწურაშვილი. ლაზარეს უჯრა (გაგრძელება)

იური ბონდარევი. ფიქრი წამებში

ანდრე კარგელაშვილი. სიმენსი თბილისში

ირინე ტალიაშვილი. ვერცხლის ჭამარი

ჯემალ თოფურიძე. რაღაც უნდოდათ ეთქვათ...

ელგუჯა ბერიშვილი. საფეხბურთო სეზონის მაჯისცემა

კროსვორდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1988 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვახილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

უნდა ვიაროთ წინ

ოთარ ჭინჭლაძე

— კაცმა რომ თქვას, უკანდასახევი გზაც არა გვაქვს.

— არ უნდა დავუშვათ, რომ გავეჩხიროთ შუა გზაზე ან სადმე მის დასაწყისში.

— უნდა ვიაროთ წინ.

ეს ითქვა ა. წ. 18 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხი „საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები მისი განხორციელების საქმეში“.

სკოლა გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და ყველაფერი, რაც აღზრდას ეხება, პირდაპირ არის დაკავშირებული სოციალიზმის განვითარებასთან, გარდაქმნასთან.

რა სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, რომელიც ახორციელებს გადასვლას თვისებრივად ახალ მდგომარეობაზე?

ბევრი რამ.

მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანი — მისი ახალი ფსიქოლოგიით, ახალი შეგნებით, აზროვნების ხელახალი ორიენტაციით, ახალი მიდგომებით მომწიფებული პრობლემების გადაწყვეტისადმი და თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი, არასტანდარტული აზროვნებით.

— საზოგადოებას სჭირდება განათლებული, მტკიცე, სოციალიზმის ერთგული, ამავე დროს, აქტიური, მაძიებელი მოქალაქე, რომელსაც შეეძლება ცხოვრება და მუშაობა დემოკრატიის, კოლექტივების სამეურნეო დამოუკიდებლობის პირობებში, საკუთარი თავისა და ქვეყნისათვის მზარდი ეკონომიკური და სოციალური პასუხისმგებლობის ვითარებაში.

ასე უკავშირდება საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის ამოცანები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და რადიკალური ეკონომიკური რეფორმის რეალიზების პარტიულ კურსს, რომელიც მოქმედების მკაფიო პროგრამას გვისახავს.

გარდაქმნა სკოლის მეშვეობითაც მიმდინარეობს და სწორედ ამ ფრიად საგულისხმო გარემოებით არის განპირობებული სახალხო განათლების ახალი თვისებრივი დონის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

ამ პრობლემის წარმოქმნის ერთ-ერთი წყარო ის არის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა, რომელიც 1985 წლის აპრილამდე დაისახა, თავისი ევოლუციური ხასიათის გამო, წინააღმდეგობაში აღმოჩნდა პარტიის მიერ დაწყებული საზოგადოების გარდაქმნის რევოლუციურ არსთან. ეს არის იმის მთავარი მიზეზი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭირო ცვლილებები შეიტანა სკოლის რეფორმის დებულებებში და განახლებული მიზანდასახულობა ჩამოაყალიბა.

მ. ს. გორბაჩოვი:

— ჩემი აზრით, სწორი არ იქნებოდა, ახლა, პლენუმზე, განგვესაზღვრა ყველა კონკრეტული გზა, რომლებითაც განათლების სისტემის განვითარება წარიმართება. ეს ადვილი საქმე არ არის. აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ფართო საზოგადოებრიობამ და უწინარეს ყოვლისა — სპეციალისტებმა: მასწავლებლებმა, პედაგოგებმა, მეცნიერებმა. დაე ჩვენი პლენუმის გადაწყვეტილებანი გახდეს პარტიის პოლიტიკური რეკომენდაცია მასწავლებლობისადმი, რომელიც თავისი მორიგი ყრილობისათვის ემზადება. დაე ამაზე იფიქრონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მუშაკებმაც. ეჭვი არ არის, რომ სწორედ ასეთი მიდგომა იქნება გამსჭვალული დემოკრატიზაციის სულისკვეთებით, გარდაქმნის სულისკვეთებით.

მრავლისმეტყველია ეს სიტყვები.

საკითხის სწორედ ამდაგვარად დასმა სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, რომ პარტია გადაჭრიდეს ქრებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოთა ფუნქციებთან პარტიული კომიტეტების ფუნქციების აღრევის წინააღმდეგ, რამეთუ ზოგჯერ ძნელი ხდება იმ ზღვარის შემჩნევა, როცა პარტიული კონტროლი, პარტიული ამოცანის შესრულების ორგანიზაცია წვრილმან მეურვეობად, ხანდახან კი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მაგივრობის გაწევადაც იქცევა.

ხელისუფლებისა და მართვის მექანიზმის სრულყოფის საკითხები ყრილობის მომდევნო პერიოდის უმნიშვნელოვანეს პარტიულ გადაწყვეტილებებშიც აისახა და კიდევ უფრო კონკრეტული სახე მიიღო, მაგრამ ამჯერად საკითხი ჩვენი პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობას შეეხო და ამდენად, სავსებით ახლებური ელერადობა მიიღო.

პოლიტიკური სისტემის რეფორმის ძირითადი საკითხი ეხება პარტიული და სახელმწიფო ფუნქციების გამიჯვნას. ამასთან, და ეს დადასტურებულია, პარტიის წარმმართველი და ხელმძღვანელი როლი სოციალისტური საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. გამოიკვეთა ასეთი როლის შესრულების ძირითადი ფორმებიც: პარტია თეორიულად ამუშავებს და აკორექტირებს პოლიტიკურ კურსს. იგი მის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას აცნობს მასებს, წარმართავს და რაზმავს მათ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, ახორციელებს შესაბამის საკადრო პოლიტიკას. სწორედ ეს არის პარტიის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის, ძირითადი ფუნქციები.

უახლოეს მომავალში ეს საკითხები XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე განიხილება.

დრო გვაქვს. საფიქრალადაც და სამოქმედოთაც პრობლემის ზოგიერთი ასპექტის გათვალისწინების თვალსაზრისით მაინც.

საკითხის ამდაგვარად დაყენებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ღერძის, მისი სახელმწიფოებრივი განსახიერების — სახალხო დეპუტატების საბჭოების როლის კარდინალურად შეცვლის, აგრეთვე საარჩევნო სისტემის სრულყოფის აუცილებლობის საკითხი იმ ვარაუდით, რომ ხელისუფლების ორგანოების ფორმირების პროცესმა უზრუნველყოს ხალხის აქტიური მონაწილეობა და იმ ადამიანების საგულდაგულო შერჩევა, რომლებსაც შესწევთ უნარი, წარმართონ საბჭოების საქმიანობა გარდაქმნის ამოცანათა შესაბამისად. საქმე ეხება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შინაარსისა და მეთოდების სრულყოფასაც, რათა მივაღწიოთ მშრომელთა სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის განვითარებას, დავაკმაყოფილოთ მათი მრავალფეროვანი ინტერესები, გამოვუმუშაოთ მოქალაქეებს საზოგადოებრივი თვითმმართველობის ჩვევები.

ყოველივე ამის ადგილებზე უკვე პრაქტიკულად განხორციელების რეალური შესაძლებლობა არსებობს. მიმდინარეობს წარმოების სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელთა არჩევნები, ჩატარდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებიც, ძალაში შევიდა კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. მაგრამ, განა თავად ამ პროცესებმაც არ გამოავლინეს გარდაქმნის დამუხრუჭების მამოძრავებელი ძალები? სწორედ აქ იჩენს თავს მრავალი წლის მანძილზე ჩვენი კადრების მნიშვნელოვან ნაწილში გამომუშავებული ჩვევა — „ყველაფერი მუშტში“ მოაქციონ, ყველა საქმეში იყვნენ უმაღლესი ინსტანცია, იმოქმედონ ძალისმიერი ზემოქმედების მეთოდებით.

ამაში მარტოოდენ ჩვენ არ ვცოდავთ. ყოველივე ამას სხვაგანაც აქვს ადგილი და იქნებ სხვები უფრო მეტადაც სცოდავენ, მაგრამ ეს არგუმენტი თავის გასამართლებლად არ გამოდგება.

გარდაქმნის პროცესმა რთული პოლიტიკური და იდეოლოგიური სიტუაცია წარმოქმნა.

ბრძოლა გარდაქმნისათვის მიმდინარეობს ყველგან, ჩვენი ცხოვრების უკლებლივ ყველა უბანსა და სფეროში, მატერიალურსა და სულიერ სამყაროში. მას არ მიუღია კლასობრივი ანტაგონიზმის ფორმები, მაგრამ მაინც მწვავე ხასიათს ატარებს და დაკავშირებულია აზროვნების ხელახალი ორიენტაციის სიძნელეებთან.

გარდაქმნისადმი ხელმძღვანელობის შესახებ პარტიული კომიტეტების ანგარიშებმა, რომლებიც რესპუბლიკის ყველა არჩევითი პარტიული ორგანოს შესაბამის პლენუმებზე მოისმინეს და

განიხილეს, ცხადყო კომუნისტთა მზარდი აქტიურობა. მაგრამ ყველგან არა. ასეთი განხილვა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონული კომიტეტის პლენუმზეც მოეწყო. ერთი თვეც კი არ იყო გასული და გამოირკვა ის, რაც მანამდე მოხდა, რაც ბევრმა კომუნისტმა იცოდა და რის შესახებაც, სამწუხაროდ, ამ პლენუმზე არავის არაფერი უთქვამს.

რატომ ხდება ასე?

კერძოდ, რატომ მოხდა, რომ გარდაქმნისადმი ხელმძღვანელობის შესახებ რაიკომის პლენუმზე ბიუროს ანგარიშის მოსმენისა და განხილვის სულ ერთი თვის შემდეგ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა რაიკომის ბიუროს საქმიანობა, დაგმო რაიკომის მუშაობის სტილი და მეთოდები და დაასკვნა, რომ ისინი გარდაქმნის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებიან. საქმე ის არის, რომ ადგილი ჰქონდა გადაცდომებს, პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევებისა და კადრების შერჩევაში პროტექციონიზმის ფაქტებს. დარღვეული აღმოჩნდა კოლეგიური მუშაობის პრინციპი, უგულებელყოფილი დემოკრატიისა და საჯაროობის მოთხოვნები, გახშირდა კადრებთან მუშაობის პარტიული ნორმების დარღვევის შემთხვევები, კრიტიკისათვის დევნაც. ყოველივე ეს, აგრეთვე დატაცების, მიწერებისა და მექრთამეობის მრავალრიცხოვანი შემთხვევა, ბევრისათვის ცნობილი იყო.

აქვს თუ არა მსგავს გამოვლენას საერთო იდეოლოგიურ მუშაობასთან და რის გაკეთება გვმართებს თითოეულ ჩვენგანს და ყველას ერთად?

გარდაქმნის იდეოლოგიური ასპექტი.

გარდაქმნა გვავალებს ახლებურად შევხედოთ ზოგიერთ, ჩვეულებრივად ქცეულ მახასიათებელს, რისთვისაც აუცილებელია მარტოოდენ კი არ გავიმეოროთ დაზეპირებული ჭეშმარიტებანი, არამედ თავად გამოვძებნოთ პასუხი შექმნილი სიტუაციით წარმოშობილ მრავალ კითხვაზე.

კითხვა ბევრია.

ეს კითხვები თვით ცხოვრებამ დააყენა გარდაქმნის კარნახით და ისინი ჩვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მაღალი ტრიბუნიდანაც მოვისმინეთ:

— როგორ მოეწყოს ახალი ვითარების გათვალისწინებით ბრიგადის, საამქროს, საწარმოს, მთელი კოლექტივის მუშაობა?

— როგორ ავანაზღაუროთ შრომა, რათა აღმოვფხვრათ გათანაბრებითი მდგომარეობის რეციდივები და დავამკვიდროთ სოციალიზმის მთავარი პრინციპი: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით?“

— ვინ ავირჩიოთ ხელმძღვანელად, ვის რა ვანდოთ?

— როგორ ავაგოთ ურთიერთობა მოიჯარადრეებთან?

— როგორ მოვეკიდოთ ახალ მოვლენებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში? ან ძველ მოვლენებს, რომელთა უჩვეულო წახნაგები დღეს ასე გამოიკვეთა?

თითოეული კითხვა პასუხს ელის.

ვისგან?

თვითონ უნდა ეძიებდე და პოვებდე, თითოეულმა საკუთრივ უნდა გასცეს პასუხი მათ და სწორედ ეს აძლიერებს ადამიანის მსჯელობისა და ქცევის აქტიურობას, დამოუკიდებლობას.

და ამავე დროს თითოეულისაგან მაღალ კულტურას მოითხოვს.

გარდაქმნის ყველაზე დიდი, ყველაზე რთული ამოცანა ის არის, რომ რამენაირად შევძლოთ, სრულად გავათავისუფლოთ შებოჭილობისაგან ადამიანთა ინიციატივა, შემოქმედება, დამოუკიდებლობა. ამ ამოცანის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ყველაფერი, რამეთუ შეუძლებელია წინსვლა ინიციატივისა და შემოქმედი ადამიანების გარეშე.

ახლა თანდათან კიდევ უფრო გააზრებული ხდება იმის შეგნება, რაოდენ დიდი ზარალი მოგვაყენა მეტისმეტმა ცენტრალიზმმა და ადმინისტრირებამ, რამაც ბიძგი მისცა კუთხურობისაკენ მიდრეკილების მქონე გამოვლენებს და ზოგან რეალურიც კი გახდა შჩედრინისეული კანონპროექტი „ქალაქის თავთა კანონებით შეუზღუდველობის შესახებ“.

ეს საკითხი ძირეული რგოლებისათვის ცენტრალური ორგანოების უფლებამოსილებათა ნაწილის გადაცემასაც ეხება. აგრეთვე იმასაც, რომ დავძლიოთ ზედმეტ ორგანიზებულობასა და ბიუროკრატიზმს, გავათავისუფლოთ ძირეული რგოლები იმისაგან, რომ ყოველ ნაბიჯს უთანხმებდნენ ზემდგომ აპარატს. ამავე დროს ეს საკითხი ეროვნული ურთიერთობის, ეროვნული სახელმწიფო მშენებლობის საკითხიცაა.

მ. ს. გორბაჩოვი:

— დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ეროვნული თვითშეგნების ზრდაზე, ეროვნული გრძნობების გამოვლენაზე (რაც ხშირად დეფორმირებული სახით ვლინდება). ეს ცოცხალი საკითხებია და ისინი უნდა გადაწყდეს. უნდა ვიფიქროთ რესპუბლიკათა ურთიერთობის შემდგომი განვითარების ფორმებზეც, მათი უფლებების, მათ შორის ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლების განმტკიცებაზე.

პრობლემა მართლაც რომ ბევრი დაგროვდა.

მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზოგჯერ ჩვენ თვითონვე ვქმნით „ხელოვნურ“, გამოგონილ პრობლემებს და მათი მართლაც დეფორმირებული სახით წარმოდგენა, სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბულს ხდის.

ჩვენც, ქართველებსაც, გვჭირს რაღაც მსგავსი.

შინაც და გარეთაც.

ამას წინათ გაზეთ „იზვესტიის“ საკვირაო დამატებაში „ნედელია“ დაიბეჭდა ინტერვიუ მოსკოვში მცხოვრებ ცნობილ ქართველ დასტაქართან ლეო ანტონის ძე ბოკერიასთან, რომელიც თურმე „კავკასიელი“ ყოფილა და ინგლისურთან ერთად თავისუფლად ფლობს თავის „მშობლიურ მეგრულ“ ენას. კი მაგრამ, ქართულს არა? ქართული ენა არ არის ქართველი კაცისათვის მშობლიური? აღარც ეროვნებაა მისთვის — ქართველი?

ბატონი ლეო ისეთი პიროვნება ბრძანდება, რომ მას მომავალშიც არაერთხელ ჩამოართმევენ ინტერვიუს და ამიტომ გვინდა, მას ზოგიერთი საინტერესო ცნობა მივაწოდოთ, როგორც სოხუმის მახლობლად დაბადებულ და ფოთში გაზრდილ „კავკასიელს“.

იაკობ გოგებაშვილი:

— ისტორია მოგვითხრობს, რომ უხსოვარი დროიდან ქართული ენა მეგრელისათვის სარწმუნოებრივი ღვთისმომსახურების, სასკოლო, სალიტერატურო და სასამართლო-ადმინისტრაციულ ენას წარმოადგენდა. მეგრელები, რომლებმაც ქრისტიანობა აღმოსავლელ ქართველებთან შედარებით სამი საუკუნით ადრე მიიღეს, მხსნელ ქრისტეს ადიდებდნენ და ღვთისმომსახურებას ასრულებდნენ თავიანთ ძირითად — ქართულ ენაზე, და ისინი ამას სჩადიოდნენ მხოლოდ საკუთარი სურვილითა და საზოგადოებრივი ინსტინქტის კარნახით. საეკლესიო კათედრა სამეგრელოს ფარგლებში არასოდეს არ ხმარობდა სხვა ენას, გარდა ქართულისა. ისეთი პერიოდებიც კი იყო, როდესაც სამეგრელოს ჭყონდიდის სამიტროპოლიტო კათედრას პირველი ადგილი ეჭირა ქართულ მჭევრმეტყველებაში და თავისი წრიდან გამოჰყოფდა ხოლმე მთელ საქართველოში სახელგანთქმულ მქადაგებელთ.

ასეა ეს. —

შემდეგ დრო შეიცვალა. XIX საუკუნის საქართველოს თავკაცები წინაღუდგნენ „სამეგრელოს შესახებ ბოროტ წადილს“. გაზეთი „ივერია“ წერდა:

— მკითხველმა კარგად უნდა იცოდეს, რომ რომელიმე ერის დანაწილება, პატარ-პატარა ლუკმებად გადაქცევა, დაქუცმაცება საუკეთესო ხერხს შეადგენს ამ ერის დანაწილებისა, დაქვეითებისა და მიწასთან გასწორებისათვის. სწორედ ამ ვერაგულს ღონისძიებას ხმარობენ ქართველების წინააღმდეგ ჩვენის ერის დუშმანნი. მაგრამ განა მარტო ესენი?

„კავკასიელი“ და „მშობლიური მეგრული“ ცარიზმის ლექსიკონიდან ნასესხები სიტყვებია. რევოლუციამდელი სკოლის მოსწავლეებსაც ამის მიხედვით აღრიცხავდნენ:

— ქართველები ამდენი არიანო, მეგრელები ამდენი, იმერლები ამდენიო, ფშაველები ამდენი, თუშები ამდენი, ხევსურები ამდენიო, უყურებთ, რამდენი ნაცია აღმოუჩენიათ ქართველებში? — კითხულობდა იაკობ გოგებაშვილი და დასძენდა:

— მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.

დაფიქრება გვმართებს ამაზე ლეო, ბატონო, ბოკერია!

ძველი პრობლემები სიმძაფრეს არც ახალ ვითარებაში კარგავენ.

ეროვნული კულტურის მხოლოდ კარგად მოვლილ ნიადაგში იქმნება ახალი კულტურული ფენა.

XIX საკავშირო პარტკონფერენციისათვის მზადების პერიოდში ბევრი რამ ახლებურად გააზრებას საჭიროებს, სიტყვითაც და საქმითაც.

გარდაქმნა — შეუპოვარი, ვაჟკაცური, ყოველდღიური მუშაობაა.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ფედინი

ლენინის სერგეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

1

ფაფხულის შუადღე იყო. ახალგაზრდა მხატვარს სერგეი შუმილინს გაზეთის რედაქციიდან დაურეკეს და სთხოვეს, ერთ საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ და მოდითო. შუმილინმა ხატვას თავი მიანება, ხელი დაიბანა, გიმნასტურის ჯიბეში ფანქრები და ბლოკნოტი ჩაიდო და ქუჩაში გავიდა.

მაღაზიის ფანჯრებში ყუმაშის წითელ ჩარჩოებში ჩასმული ლენინის პორტრეტები გამოედგათ. ყველგან წარწერები იყო: „გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!“ სერგეი ვიტრინებს შეჰყურებდა და ფიქრობდა: მართალია, ფოტოსურათი სავსებით ზუსტად გადმოსცემს ლენინის სახეს, მაგრამ მხატვარი უთუოდ უკეთ შეძლებდა ამ სახის თავისებურების და მკვირცხლი მოძრაობის დაჭერას. კარგი იქნებოდა, ოდესმე ლენინი ნატურიდან დამეხატაო.

რედაქციაში სერგეის უთხრეს:

— აი რა უნდა დაგავალოთ. კომინტერნის კონგრესზე თავს იყრიან უცხოელი დელეგატები. წადით შრომის სასახლეში და ერთ-ერთი დელეგატი ჩახატეთ. თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ.

— ხვალ კი, კონგრესის გახსნაზე საშვს მოგცემთ. რომელი დელეგატიც გსურდეთ, დახატეთ. თუ ნახავთ, ლენინიც...

— ლენინი? — შეაწყვეტინა სიტყვა სერგეიმ და თავის წეღანდელ ფიქრებს გაუღიმა: რა სასწაულივით ამიხდა სურვილიო.

— დიახ, თუ მოახერხებთ, დაგვიხატეთ ლენინი.

— თანახმა ვარ.

2

მხატვარი სასახლეში რომ მივიდა, იქ უკვე ხმაური იდგა. კიბეებსა და დერეფნებში უცხოელებს გარს შემოხვეოდნენ რუსები და საბჭოთა რესპუბლიკაზე მოუთხრობდნენ.

სერგეის ერთი გერმანელი გააცნეს. ეს იყო დაბალი, კუზიანი კაცი. გერმანელს მედიდური სახე და დინჯი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. იგი ქალაქ ბრაუნშვეიგიდან გახლდათ, ხელობით — მკერავი. გერმანიის რევოლუციის დროს სამ დღეს სათავეში ედგა „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკას.

გერმანელი მაშინვე დაეთანხმა მხატვარს, დამხატეთო, მაგრამ დაწვრილებით შეუდგა გამოკითხვას საბჭოთა ხელისუფლებაზე, თანაც ვერაფრით ვერ გაეგო, რად დასჭირდათ რუსებს ყოველგვარი ვაჭრობის გაუქმება და საქონლის განაწილების შემოღება.

ისინი აივანზე იდგნენ და სასახლის პირქუშ მოედანს გაჰყურებდნენ. მოედანს ჯერ კიდევ აჩნდა გენერალ იუდენიჩისა და მამაც პეტროგრადელთა ბრძოლების კვალი: ქვაფენილზე სახელდახელოდ ამოვსებული სანგრები, ხეივნებში დაყრილი მორები და მიწით სავსე ტომრები. სერგეიმ თქვა:

— აურაცხელი მტერი დაგვესხა თავს. ჩვენც მხოლოდ ერთს ვფიქრობთ — დავამარცხოთ იგი.

ასეთ მსჯელობას ბოლო არ უჩანდა და სერგეიმ უცბად მოიწყინა, იგრძნო, ბრაუნშვეიგელის ხატვა რომ დავიწყო, სულ ერთია, არაფერი გამომივაო.

— იცით, ვეცდები თქვენი პორტრეტი ხვალ კონგრესზე დავხატო, — უთხრა მორიდებით.

გერმანელმა ნება ისე დართო, თითქოს დიდი მოწყალება გაიღო და მხატვარიც სასწრაფოდ დაემშვიდობა მას.

3

მეორე დილით სერგეის საშვი უკვე ჯიბეში ედო და კონგრესის გახსნაზე მიიჩქაროდა. ურიცკის სასახლის დარბაზი სავსე იყო, ქანდარებზე ადამიანთა თავების ცოცხალი ტალღა ირხეოდა, ირგვლივ ყრუ გუგუნი იდგა და გაშლილი გაზეთები თეთრად ფრიალებდნენ. ჰაერი დახშულიყო, ამფითეატრში პიჯაკებს იხდიდნენ, სახეს გაზეთებითა და ცხვირსახოცებით ინიავებდნენ. ყველაფერი დიდი მოლოდინით დაძაბულიყო.

სერგეიმ ჟურნალისტების ლოჟაში, ტრიბუნის წინ, იპოვა ადგილი. აქედან კარგად მოჩანდა პრეზიდიუმი. ალბომი გაშალა და სახატავად მოემზადა.

უცებ ქანდარები ახმაურდნენ და ყველაფერი ზვავად წამოსულმა ტაშმა შთანთქა. სერგეი მთელ დარბაზთან ერთად წამოდგა და პრეზიდიუმს მიაჩერდა. მაგრამ იქ არავინ ჩანდა. მაშინ დარბაზისაკენ გაიხედა და... ალბომი ხელიდან გაუვარდა: ტაშისცემა დაიწყო. პირდაპირ მისკენ, მთელი დარბაზის გავლით, მრავალეროვანი დელეგაციის წინ ლენინი მოდიოდა. იჩქაროდა, თავდახრილი მიაპობდა ჰაერის ნაკადს. თითქოს სურდა, ხალხის თვალს ჩქარა მიჰფარებოდა, რათა მქუხარე ტაში დაეცხრო. იგი პრეზიდიუმში ავიდა და სანამ ტაში ჰქუხდა, არ გამოჩენილა.

დარბაზს რომ თვალი მოავლო, სერგეიმ თავის მახლობლად ორი ხანში შესული მხატვარი დაინახა. ისინი ამ ცოტა ხნის წინათ მისი მასწავლებლები იყვნენ. მხატვრები უკვე თავთავიანთ ადგილზე ისხდნენ, სერგეი კი ისევ ფეხზე იდგა. უმალ გამოერკვა, იატაკიდან ალბომი აიღო და ფანქრები მოიმარჯვა.

სიჩუმე რომ ჩამოვარდა, სერგეიმ კვლავ დაინახა ლენინი. იგი ერთბაშად ვერ შეამჩნიეს, მაგრამ როგორც კი დაინახეს, ტაში შეაგებეს და ის გასასვლელი, ლენინმა რომ თითქმის აირბინა, ხალხით აივსო. ლენინი ერთ კაცს გაუსწორდა და ღიმილით გაუწოდა ხელი. კაცი წამოდგა და ლენინს დინჯად, ალერსიანი, თავშეკავებული ღიმილით მიესალმა. ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. ოვაცია გაძლიერდა და ხალხმა მათ გარშემო წრე შეკრა.

— ეს მიხა ცხაკაიაა, — მოესმა სერგეის, — ქართველი კომუნისტი. ლენინთან ერთად ცხოვრობდა შვეიცარიაში.

სერგეი თვალს ადევნებდა ბელადის ყოველ ნაბიჯს. ასე ეგონა, უკვე მოვასწარი არცთუ მაღალი, მკვირცხლი ადამიანის მოძრაობის მთავარი თავისებურების დაჭერაო, და უკვე თავის ალბომშიც იგულებდა ჩახატულს.

პრეზიდიუმში ლენინი ერთი წუთით იხევ მიიმალა, შემდეგ კვლავ გამოჩნდა და სერგეიმ დაინახა, ლენინმა ჯიბიდან ქაღალდები ამოიღო და გასასვლელში კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. ეს მეტად სწრაფად და უბრალოდ მოხდა, დასახატავად უკეთესი მდგომარეობის არც მოფიქრება შეიძლებოდა და არც წარმოდგენა. სერგეიმ იგრძნო, მისი მეზობელი მხატვრები უკვე შეუდგნენ ხატვას. ფანქარს ხელი ჩაავლო, მაგრამ ლენინს თვალი ვერ მოაცილა.

ძალზე კარგად ჩანდა ლენინის თავი — დიდი, უჩვეულო, ერთბაშად დასამახსოვრებელი. ლენინმა ქაღალდები მუხლებზე დაილაგა, თავი დახარა და კითხვა დაიწყო. შუბლი, კეფა და კისერი, ხორბლისფერი თმა, საყელოს რომ ეხებოდა, მკვეთრად გამოირჩეოდა მთელ მის გარეგნობაში. სერგეის სურდა, რომელიმე ისტორიული ან თანამედროვე პიროვნებისთვის შეედარებინა, მაგრამ ლენინი არავის არ ჰგავდა, არავის იმეორებდა. ყოველი ხაზი, მოძრაობა მისი საკუთრება იყო.

სერგეი, როგორც იქნა, ფანქრით შეეხო ქაღალდს. ერთი მოსმით შემოხაზა ლენინის თავის კონტური და აიხედა. ლენინი იქ აღარ იყო.

სერგეიმ ლენინი კვლავ დაინახა: იგი მოხსენებისათვის ტრიბუნაზე ადიოდა.

ლენინს აღფრთოვანებული, შეუწყვეტელი ოვაციით შეეგებნენ. ისიც იძულებული იყო, ბოლომდე მოესმინა ტაშისცემა. კათედრაზე ქაღალდებს დიდხანს სინჯავდა. შემდეგ ხელი მაღლა ასწია, გააქნია და აბორგებული დარბაზის დაწყნარება სცადა. ამ აღტაცებული შეძახილებით სავსე დარბაზში მხოლოდ ის იცქირებოდა მკაცრად და საყვედურით. მერე საათი ამოიღო და აუდიტორიას დაანახვა, თან ციფერბლატზე თითი გაჯავრებულად მიუკაკუნა, — არაფერი შველოდა. მაშინ მან ნერვიულად დაიწყო ქაღალდების გადათვალიერება და გადალაგებ-გადმოლაგება, ვიდრე ოვაცია თავისთავად არ შეწყდა და სრული სიჩუმე არ ჩამოვარდა.

ლენინმა ლაპარაკი დაიწყო. იგი მთელი სხეულით გადმოსცემდა სიტყვის შინაარსს. სწორედ ამაზე ოცნებობდა მხატვარი, რამდენიმე წუთის წინათ ლენინის ზუსტად დაჭერილი სახის ნაკვთები თითქოს უჩინარდებოდა და რაღაც ახლით იმოსებოდა. სერგეი მათ თანმიმდევრობით აღბეჭდავდა მეხსიერებაში, მაგრამ ისინი წარმოდ-

გენისთანავე ქრებოდნენ. ეშინოდა, მხედველობიდან არაფერი გამორჩენოდა და ვერაფრით ხატვა ვერ დაეწყო. ვერ იტყოდა, რას აკეთებდა: ლენინის ხელების მოძრაობას სწავლობდა, თუ მის ლაპარაკს ისმენდა.

ლენინი ხშირად ჩაიხედავდა ხოლმე თავის ჩანაწერებში, ციფრსაც ბევრს ასახელებდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ ემგვანებოდა მოსაწყენ პროფესორს, — ერთთავად გულისდამპყრობ ტრიბუნად რჩებოდა. მის მაღალ ხმას დაღლა არ ეტყობოდა, ენა უბრალო და ბევრისმთქმელი ჰქონდა, გამოთქმა — რბილი. ხანდახან ბგერა „რ“-ზე ენას უქცევდა და ეს ბელადის მეტყველებას ადამიანურობას მატებდა, სიტყვა მსმენელამდე ცხოვლად მიჰქონდა.

სერგეი რომ ხატვას შეუდგა, გადაწყვიტა, არც ერთ სიტყვას არ გამოვტოვებო. ქაღალდზე ლენინის მაღლა აწეული თავი, წინ გაწვდილი ხელები, ზურგის სწორი, ძლიერი, გამართული ხაზი, წინგამოწეული, ამოზნექილი მკერდი მოხაზა. ერთ ნახატს რომ თავს მიანებებდა, მეორეს იწყებდა. ხან სახე არ გამოსდიოდა, ხან ხელები. მერე ისევ იმ ნახატს უბრუნდებოდა, კარგი რომ ეჩვენებოდა. წვალობდა, მაინც ვერ ხატავდა. ალბომში ფურცელს ფურცელზე შლიდა. ბოლოს შეშინდა კიდეც, დასახულ მიზანს ვერ მივაღწევო.

სერგეიმ თავის მასწავლებლებს გახედა. ერთი მათგანი დახრილიყო და გულმოდგინედ შლიდა ნახატს. მელოტი თავი გაწითლებოდა. სერგეის მოაგონდა: მასწავლებელი მუდამ წითლდებოდა, როდესაც რაიმე არ გამოუვიდოდა ხოლმე, მეორე მხატვარი ლოჟიდან გასულიყო, ტრიბუნის მოპირდაპირე რიგებში მოკალათებულიყო, ხატვისთვის თავი მიენებებინა და ლენინს უსმენდა.

სერგეი უცბად შიშმა შეიპყრო, ვაითუ სამუდამოდ დავკარგო ხელსაყრელი წუთი, ლენინი სიტყვას დაამთავრებს და ალბომში კი არც ერთი დასრულებული ჩანახატი არ დამრჩებაო. ლოჟიდან გავიდა, კართან შემჭიდროვებულ ხალხს თავი ძლივს დააღწია. ქვევით, გასასვლელში შეჩერდა, აქედან ლენინი უფრო დიდი და მაღალი მოეჩვენა. მისი აზრით ეს ადგილი ყველაზე მოხერხებული იყო. მაგრამ აქ, სამაგიეროდ, იუპიტერების შუქი უშლიდა ხელს. ფოტო და კინოკამერების ობიექტივებს მხატვრებივით ვერ აღებეჭდათ მოძრავი, ძნელად მოსახელთებელი, ცოცხალი ლენინი, ნათურებიც დამაბრმავებლად ანათებდნენ. სერგეი ტრიბუნის მეორე მხარეს გადავიდა. აქედან ლენინის მარტო სილუეტი ჩანდა, რადგანაც ზურგიდან სცემდა სინათლე. არა, პირველი პოზიცია ყველას სჯობდა, ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაბრუნდეს ლოჟაში.

სერგეის ადგილი სხვას დაეკავებინა. ფეხზე დგომამ მოუწია. მაგრამ ასე უფრო კარგად დაინახა ლენინი, მთელი ტანითა და სისრულით. სერგეიმ ისევ თავიდან დაიწყო ხატვა. აი, მაშინ გამოჩნდა მთელი მისი მომზადება. თითქოს ალალბედზე, ბრმად შესრულებული ეტიუდები, ხელებისა და თავის მოძრაობა, სახის ნაკვთები ერთმანეთს შეერწყა და ნელ-ნელა ერთ მთლიან ჩანახატად, მართალ სახედ — ცოცხალ ლენინად იქცა. სერგეი უკვე თავაუღებლად, სწრაფად და ძალდაუტანებლად ხატავდა.

დარბაზი ხმაურმა შეაზანზარა. სერგეიმ აიხედა: ლენინმა ხელის ერთი მოსმით ქაღალდები აკრიფა და მსუბუქად ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

სერგეიმ სწრაფად დახურა ალბომი.

4

თათბირი რომ დამთავრდა, აღფრთოვანებული დელეგატებით გარშემორტყმული ლენინი და გორკი სასახლიდან გავიდნენ. დარბაზის მკრთალი, მოყვითალო შუქის შემდეგ ლურჯად მოკაშკაშე დღის სინათლე თვალს სჭრიდა კაცს. გასასვლელთან ზღვა ხალხი მოგროვდა. ჭარბი განათებით გახარებული ფოტოგრაფები წარამარა აჩხაკუნებდნენ თავიანთ ფოტოაპარატებს. ხალხის ტალღამ გორკი და ლენინი სასახლის სვეტებიან პარმაღზე შეაჩერა. მათ განუწყვეტლივ უღებდნენ სურათებს. გორკის წმინდად გადაპარსული, მზეზე მტრედისფრად მოლაპლაპე თავი შორიდანვე მოჩანდა. ყველანი მის სახელს გაიძახოდნენ. ლენინი გორკის წინ ცოტათი დაბლა იდგა, ისიც უქუდოდ იყო.

ხალხის ნაკადი დაიძრა. დროშების ტყეში მუხის რტოებისა და წითელი ვარდების გვირგვინი მიჰქონდათ ზეაღმართული. ყველანი რევოლუციის მსხვერპლთა მოედნისაკენ ძმათა სასაფლაოზე მიემართებოდნენ.

ლენინი წინ მიუძღოდა კონგრესის დელეგატებს. მის გარშემო წამდაუწუმ იცვლებოდნენ ადამიანები — უცხოელები, რუსები, მოხუცები და ახალგაზრდები. ლენინი ხან ერთს გამოელაპარაკებოდა, ხან მეორეს, ხან მესამეს.

შორიახლოს მიმავალმა სერგეიმ უცბად ნაცნობი სახე გაარჩია. ნაცნობმა ხალხის მჭიდრო რიგები გაარღვია, წინა რიგებში მოექცა და, როგორც კი იხელთა დრო, ლენინს მიუახლოვდა. ეს იყო ბრაუნშვეიგელი. იგი წარუდგა ლენინს, ხელი ჩამოართვა და შემდეგ, როგორც ჩანს, წინასწარ მომზადებული ტირადა მოაყოლა.

ლენინმა თავი დახარა, რათა უკეთ მოესმინა ტანდაბალი მოსაუბრისათვის. გერმანელი ლაპარაკობდა თავმომწონედ, ხელებს იქნევდა, ეტყობოდა, თავის სიტყვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. თანაც ეშინოდა, ტყუილუბრალოდ არაფერი დასცდენოდა. თავდაპირველად ლენინი სერიოზულად უსმენდა. შემდეგ თავი ოდნავ დახარა, გაიღიმა, თვალები მოჭუტა, ხელი ჩაიქნია და პირი იბრუნა. თითქოს ამბობდა: სისულელეა, სისულელეო! ბრაუნშვეიგელი კი ხელებს იქნევდა და რაღაცის დამტკიცებას ცდილობდა. ლენინმა გერმანელს ხელი იდაყვში ჩაავლო და ორიოდე სიტყვით მოკლე და გადაჭრილი პასუხი გასცა, მაგრამ ბრაუნშვეიგელი თავგამოდებით შეეკამათა. მაშინ ლენინმა მხარზე მსუბუქად დაჰკრა ხელი, თითები ჟილეტის უბეში ჩაიწყო, გაიცინა, ნაბიჯს აუჩქარა და ბრაუნშვეიგელისკენ აღარც მოუხედავს.

ნეტავ რაზე ელაპარაკებოდა ის საცოდავი ბრაუნშვეიგელი? სერგეის გაეღიმა, გერმანელი რომ ლენინს ჩამორჩა და ხალხში გაუჩინარდა. უცნაური გრძნობები აღუძრა ამ სურათმა. ყველაფერი ეს მისთვის მუნჯური იყო, მაგრამ მოძრაობის სისავსით ამ სურათმა ნათლად გამოხატა ლენინის უშუალობა და შეუბრალებელი დაცინვის გრძნობა. სერგეი შესცქეროდა ლენინს მხიარულს, გულღიად მცინარეს, აკვირდებოდა, კამათის დროს სახის გამომეტყველება რომ სწრაფად ეცვლებოდა; მოჭუტულ თვალებს, ცოცხალ [illegible] მოძრაობას. ბრაუნშვეიგელისა და ლენინის შეხვედრის სცენა სერგეის თავის ნახატში ისეთი მნიშვნელოვანი შტრიხებით უნდა შეევსო, წინათ წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა.

სერგეიმ ალბომი გადაშალა, ნახატში უთუოდ იგრძნობოდა მსგავსება, მაგრამ ნეტავ რას იტყოდა, თვითონ ლენინს რომ ენახა?

სერგეის წინა რიგებისკენ უბიძგეს, იქნებ მოეჩვენა კიდეც — თვითონვე გაიჭრა იქითკენ და აგერ უკვე ლენინის მხარდამხარ მიაბიჯებდა. სულს ძლივს ითქვამდა. სულ პატარა მანძილი აშორებდა მიზანს.

იგი ლენინთან მივიდა.

— მე მინდა... — წარმოთქვა სერგეიმ და ძლივძლივობით მოფიქრებული აზრი დაეფანტა. — ვლადიმერ ილიჩ, ეს ნახატი როგორ მოგწონთ?

ლენინმა თვალი შეავლო სერგეის, ალბომს ერთ კუთხეში მოჰკიდა ხელი, დაიხარა და ჩაკვირდა. შემდეგ ალბომი განზე გასწია და ირიბად, მხიარულად გადახედა სერგეის.

— რა, თქვენ მოგწონთ? — ლენინმა „რ“ თავისებურად რბილად გამოთქვა.

— არა, — უპასუხა სერგეიმ, — მაგრამ მსგავსება, ვგონებ, არის...

— ვერაფერს ვიტყვი, მხატვარი არა ვარ, — სწრაფად უპასუხა ლენინმა.

მის თვალებში მხიარული, ეშმაკური ნაპერწკალი გაკრთა, თავი უკან გადასწია და სერგეის გამამხნევებლად დაუქნია, მერე შებრუნდა: ვიღაცა გამოელაპარაკა.

ხალხის ტალღამ სერგეი ჯერ პირველ, მერე მეორე რიგში ჩამოიტოვა. გაუკვირდა მხატვარს, წეღან ამდენ ხალხში იოლად მოვხვდიო მოხერხებულ ადგილზე, ახლა კი ასე უცებ დავკარგეო ეს ადგილი. სერგეი ისევ საგონებელში ჩავარდა, — არა, ლენინის ხმასა და გამოხედვაში ისეთი არაფერი შემიმჩნევია, რომ შევშფოთდეო, მაგრამ ნეტავ რამ მომაფიქრებინა და ლენინს დაუმთავრებელი ნახატი როგორ ვაჩვენეო? ეს სულმდაბლობაა და მეტი არაფერი. სერგეიმ ალბომი გაშალა და მაშინვე დახურა: ნახატი არაფრად არ ვარგოდა.

ამ დროს ვიღაცამ ხელი წაავლო მკლავში და ქვევით დასწია. სერგეი მიბრუნდა: იგი მაგრად ეჭირა ბრაუნშვეიგელს.

— ჩემო მეგობარო, თქვენ ხომ ჩემს დახატვას აპირებდით, — თქვა მან ხმამაღლა. — დღეს თუ ამის საშუალება არ მოგეცათ, შემიძლია, ხვალ მიგიღოთ.

— იცით რა, — უთხრა სერგეიმ, — გადავიფიქრე, არ დაგხატავთ.

— ო, ძალიან კარგი, — მოესმა ბრაუნშვეიგელის ხმა.

სერგეის გერმანელი მაშინვე დაავიწყდა. იმავე წუთს ვიღაცამ ხელი მეგობრულად ჩამოართვა. სერგეის მასწავლებელმა, ლოჟაში რომ იჯდა და ხატავდა, ნაცნობი, შთამაგონებელი გულისხმიერებით წარმოთქვა:

— ვერაფრით ვერ დავხატე ლენინი. თქვენ?

— ვერც მე, — უპასუხა სერგეიმ, მერე მასწავლებლის ალერსიანი ხელი მიიზიდა და მხურვალედ დასძინა: — პატიოსან სიტყვას გაძლევთ, უსათუოდ დავხატავ ლენინს!

თარგმნა ფაბმან ჯაფარიძემ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმო ჯაჭვით არის

...ან ეზოდან ხომ არა?

რით დავიწყოთ ან საიდან დავიწყოთ? ეზოდან ხომ არა? კეთილი და პატიოსანი. თუმცა ეზოც არის და ეზოც. აი, ისეთ ეზო-ბაღს კი, თბილისის გაზის აპარატურის ქარხანას რომ აქვს, ქალაქში ბევრი ვერ დაიტრაბახებს. აქ დღენიადაგ ფუსფუსებს ნომარ-ნაჯაფარი მებაღე ზაქრო ჭანყოშვილი. თავის დროზე არავის დაუვალებია მისთვის: ჩემო ზაქრო, მოდი, ბარი და თოხი აიღე, მიწა დაამუშავე, აქ მცენარე ახარე, იქ ყვავილიო. უბრალოდ, გულმა გაუწია აქეთკენ და მერე ვეღარ შეელია მწვანე ნარგავებს.

— დირექტორი რას ამბობს?

— რა უნდა თქვას? — მპასუხობს მებაღე, — მადლობელი არის. ახლა საამქროებში აწყობენ ფსიქოლოგიური განტვირთვის ოთახებს, მე კი ეს დიდი ხანია, ეზოში გავაკეთე. ბევრი ჩვენი მუშა შესვენებას ამ ბაღში ატარებს და ნასიამოვნებიც რჩება.

— საერთოდ, როგორი კაცია ეგ თქვენი დირექტორი? — არ ვეშვები მებაღეს.

— როგორი და საქმიანი, — აი სწორედ ისეთი, გარდაქმნას რომ ეკადრება. ზოგ დირექტორს ლაპარაკი ძალიან ეხერხება, საქმე კი განზე რჩება. ჩვენი ერთთავად საქმეზეა გადამკვდარი. ეგ რომ მოგვივიდა, ჩვენი ფინანსები ახალ მთვარესავით იყო გალეული. ხუმრობა ხომ არ არის, წაქცეული ქარხანა სამ წელიწადში ფეხზე დააყენა, მოაღონიერა. ადრე დღე ერთი იყო და საწარმოდან წამსვლელი მრავალი. ახლა ჩვენს მუშას სხვა საწარმოში ქუდი რომ შეუგდო, გამოსატანად არ შევა...

1979 წლიდან მოყოლებული 1984 წლის ჩათვლით ქარხანა ვერც ერთ სახეობაში ვალდებულებებს კი არა, გეგმებსაც ვერ ასრულებდა. რეალიზაციას ხომ ნუღარ იკითხავთ: მოძველებული მოდიფიკაციის პროდუქციას ყველა ათვალწუნებით უყურებდა. ან ვინ შეიტანდა ბინაში ისეთ გაზქურას, რომელსაც არც ტექნიკური დონე უვარგოდა და არც გარეგნობა. ეგ კი არა, რეკლამაციებს ვეღარ აუდიოდნენ და ყოველწლიურად 80 ათას მანეთამდე ჯარიმას იხდიდნენ.

ჩაწვა და ჩაწვა გაუსაღებელი საქონელი. არამწარმოებლურმა ხარჯებმა წლიურად 70 ათას მანეთს მიაღწია. მილიონი მანეთის ზენორმატიული ნაშთი მაჯლაჯუნასავით აწვა საწარმოს ისედაც დამჭლევებულ ეკონომიკას.

1985 წლიდან ქარხანა ძალებს იკრებდა და ამჟამად გეგმებს ასრულებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, უკანასკნელ სამ წელიწადში შრომითი კოლექტივი ექვსჯერ გამოვიდა გამარჯვებული საკავშირო დარგობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1986 წელს რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა. გაჩნდა მატერიალური კეთილდღეობის სხვა სტიმულებიც.

— როგორ მიაღწიეთ ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნებას, წარმოების მოცულობის ესოდენ გადიდებას, პროდუქციის მთლიანად გადახალისებას? — ვეკითხები დავით ზუბიტაშვილს.

— ჩვენ მართლა ღმერთისგან კი არ ვიყავით დაწყევლილები, — ხუმრობს დირექტორი, — არც სამუდამოდ გვეწერა ჩამორჩენილობა. ირგვლივ მიმოვიხედეთ, შევისწავლეთ მომხმარებლის მოთხოვნები, გემოვნება, მერე თავს ძალა დავატანეთ, ხელი გავანძრიეთ და საქმეც დაიძრა. ეს ზოგადად, კონკრეტულად კი პროდუქციით დავიწყეთ. რატომ ჩაგვიწვა საქონელი? ამას დიდი ანალიზი არ სჭირდებოდა და ჩვენც პირველ რიგში ხარისხს მივადექით. ძველ გაზქურებზე უარი ვთქვით და ისინი ახლით, ოთხსანთურიანი „ელექტათი“ შევცვალეთ, რომელიც ტექნიკურადაც და ესთეტიკურადაც აკმაყოფილებს მომხმარებლის ინტერესებს. ამის გამოშვება და ჩვენი ამოსუნთქვა ერთი იყო, პროდუქცია გასაღდა კი არა, დეფიციტურიც გახდა. თუმცა პირველ წელიწადს კიდევ იყო ცალკეული პრეტენზიები, შარშან კი ქარხანას რეკლამაცია წამლადაც აღარ მიუღია.

საძებარი გახდა სამსანთურიანი გაზქურაც, რომელიც მოსახლეობას ერთობ მოსწონს, რასაც მისი სამომხმარებლო და ესთეტიკური თვისებები განაპირობებს — გარეგნულად ლამაზია, ერთი ადგილიდან მეორეზე ადვილად გადასატანი, წვავს ცოტას, ეფექტი კი დიდი აქვს. ანდა, ავიღოთ ფართო მოხმარების საქონელი — მინანქრის ჭურჭელი, რომელსაც ქარხანა დიდი რაოდენობით უშვებს. ჩვენ მისი ასორტიმენტი მთლიანად შევცვალეთ, ვინაიდან ხალხს არ მოსწონდა. აბა, ახლა ნახეთ მინანქრის თასებს, საინებს და ხელით მოხატულ ნაკეთობებს მომხმარებელი როგორ იტაცებს.

ასევე გავითვალისწინეთ მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება და დიდი რაოდენობით ვაწვდით გაზქურების სათადარიგო ნაწილებსაც... და ეს ყველაფერი, ცხადია, ეკონომიკასაც დაეტყო: საწარმო წელში გასწორდა, ყულაბაში თანხები დაგვიგროვდა.

1987 წელს ქარხანამ სტაბილურად იმუშავა, გადაჭარბებით შესრულდა სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დავალებანი, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 105 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საგნები. წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 6,5 პროცენტი, შრომის ნაყოფიერებისამ — 8,1 პროცენტი. ხელფასის ფონდის ერთ მანეთზე აქ 1 მანეთისა და 77 კაპიკის სახალხო მოხმარების საქონელი გამოუშვეს. ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის ბევრ საწარმოს თავნის ამოღებაც უჭირს. ამან გავლენა იქონია რენტაბელობაზეც, რომლის დონემ დაგეგმილი 16,2-ის ნაცვლად 18,3 პროცენტი შეადგინა, მოგებამ კი 1,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა. რამდენი საწარმოა, რომელსაც ყულაბაში თანხები ბლომად უწყვია, მუშას კი თავზე ათოვს და აწვიმს, ზამთარში სიცივე სტანჯავს, ზაფხულში — პაპანაქება.

აქ როგორ იყენებენ სიმდიდრეს? დაღვრემილია თუ მოლხენილი მუშაკაცი?

— ქარხანა კაცით არის, — მეუბნება პარტიიუროს მდივანი ნიკო ფუტკარაძე. — სწორედ ის ქმნის დოვლათს, სიმდიდრეს და, მისი სიკეთით თვითონვე უნდა გაიხაროს. პარტიის სამიზნეც აქეთაა მიმართული, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, გარდაქმნაც ისევ და ისევ აქეთკენ გვიბიძგებს. ამიტომ კოლექტივის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება ნომერ პირველ საზრუნავად გავიხადეთ. უკანასკნელ ორ წელიწადში ჩვენთან აშენდა და მწყობრში ჩადგა სამსართულიანი ახალი საწარმოო კორპუსი, რომელშიც მექანიკურმა საამქრომ დაიდო ბინა. მოხდა საამქროების მთლიანი რეკონსტრუქცია, მოეწყო სამუშაო ადგილების ატესტაცია, რამაც მაქსიმალურად გააუმჯობესა მუშაკთა სამუშაო პირობები. ამასთან კაპიტალურად შეკეთდა და შეიცვალა გასახდელები, სარკეები, მოეწყო ქალთა ჰიგიენის ოთახი. ახლა თითოეულ მუშას კეთილმოწყობილი, ორგანყოფილებიანი კარადა აქვს...

ვთვალიერებ საამქროებს. ვერსად შევხვდი მოუვლელ, უსუფთაო სამუშაო ადგილს. შრომაც შემსუბუქებულია, ბევრ ტექნოლოგიურ პროცესს ავტომატები ასრულებენ. აქვე, საამქროებში, მოუწყვიათ დასასვენებელი კუთხეები, სადაც მაგიდებიც დგას და სკამებიც, არის მაცივარიც და ჩაიდანიც: თუ სასადილოში წასვლა არ სურს, მუშას შეუძლია, აქვე ჩამოჯდეს, სახლიდან წამოღებული სურსათით დანაყრდეს, ცხელი ჩაიც დალიოს და გალიაში მოჭიკჭიკე ფრთოსნებსაც მოუსმინოს.

— ყველა პირობა გვაქვს შექმნილი, — განაცხადა ვეტერანმა მუშამ ვენერა ტურაბელიძემ, — რომ ნაყოფიერად ვიმრომოთ და დავისვენოთ. აქვე, ქარხნის ეზოში გახსნილ სათონეში ვყიდულობთ ცხელ-ცხელ ლავაშს. მაღაზიაში თითქმის ყოველთვის იყიდება სოსისი, სარდინი, ქათამი, სხვა პროდუქტები. მტკიცე ფასებში ვიძენთ დამხმარე მეურნეობიდან შემოტანილ ღორის ხორცს და ნატურალურ თაფლს.

„დამხმარე მეურნეობას“ საწარმოში ხშირად ახსენებენ და არც თუ უსაფუძვლოდ. ამ სამი წლის წინათ ქვემო ხვედურეთში (ქარელის რაიონი) 33 ჰექტარი მიწა გამოუყვეს ქარხანას. მარტო შარშან 60 ცენტნერი ხორცი და 600 კილოგრამი თაფლი მიეყიდა საწარმოს მშრომელებს.

1986 წელს ორმოცდათხმა ოჯახმა იზეიმა ახალსახლობა გლდანულაში.

— მადლობის მეტი რა მეთქმის, — ამბობს მოწინავე მუშა, სამი შვილეს დედა ფატიმა სიუკაევა. — ოთხოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა მივიღე, ქმარ-შვილი კმაყოფილია, მეც გული საგულესა მაქვს. არც ქარხანაში გვაკლია ზრუნვა: აქვე გვყავს პარიკმახერი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მკერავი, ქიმწმენდაც არ გვამადლის მომსახურებას...

ადრე ოცნებაც არ შეიძლებოდა საკუთარ ავტოსერვისზე, მანქანის მფლობელებს არა ერთი და ორი საათი ეკარგებოდათ რიგში. ქარხანასთან შექმნილი კოოპერატივი სწორედაც რომ მალამოდ დაედო საქმეს: დილით სამუშაოზე მოსულ მუშაკს შეუძლია, მანქანა ხელოსანს დაუტოვოს და საღამოთი ყოველმხრივ „საღსალამთი“ გაიყვანოს.

ახლო მომავალში გაიხსნება კოოპერატივი „თუნუქიც“, რომელიც ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს ბინაზე მოემსახურება.

საწარმოში წლის ბოლოს დასრულდება სპორტული დარბაზის მშენებლობაც.

ხელფასი? როგორია მუშაკთა ანაზღაურება ქარხანაში? „გაზაპარატი“ რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გადავიდა ანაზღაურების ახალ ფორმაზე. ამან საშუალება მისცა ადმინისტრაციას, მუშის საშუალო სატარიფო განაკვეთი გაზარდა 22,5 პროცენტით, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა — 30 პროცენტით. ახლა საწარმოში ერთი მომუშავის საშუალო ხელფასი 226 მანეთს შეადგენს.

ცოტაა ეს, თუ ბევრი?

— როგორ გითხრათ,— მეუბნება კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ავთანდილ ბადაგაძე, — ადრე ასეთ ხელფასს ვინ დაიწუნებდა. ახლა კი ესეც აღარ გვაკმაყოფილებს. შარშან, არასრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში იმდენი შევძელით, რომ ბრიგადაში შრომის ნაყოფიერება 9,4 პროცენტით გავზარდეთ, საშუალო ხელფასი — 5,3 პროცენტით. რაც მთავარია, თავიდან მოვიცილეთ ინდეფერენტულობის, გაუპიროვნებლობის, გულგრილობის მავნე სენი, რაც თან სდევდა წლების მანძილზე დამკვიდრებულ კარგისა და ცუდის განურჩევლობის, გათანაბრების მცდარ პოლიტიკას.

— რა თქმა უნდა, — საუბარში ებმება დირექტორი, — გვაქვს პრობლემები, სირთულეებიც, რომელთა დაუძლევლად წინ ვერ წავიწევთ. ამათგან პირველი რიგის ამოცანად მესახება საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება, რომლის გარეშე ძნელია, იმედი ვიქონიოთ რაიმე წარმატებაზე. არ დავმალავ, ჩვენი ტექნოლოგიური დანადგარების 40 პროცენტი შესაცვლელია. მარტო წელს 330 ათასი მანეთის ახალი მოწყობილობები უნდა შევიძინოთ და დავამონტაჟოთ. აშენდება მინანქრის გამომწველი მაღალმწარმოებლური ელექტროღუმლები, აგრეთვე მინანქრის გადასამუშავებელი წისქვილები, გალვანურ უბანზე გავუშვებთ ავტომატურ ხაზებს, რაც წარმოების მოცულობასთან ერთად პროდუქციის ხარისხსაც გაზრდის.

საერთოდ, არსებულ პროდუქციაზე ჩერებას არ ვაპირებთ. ცხოვრება იცვლება, ადამიანთა გემოვნება და მოთხოვნილებანი ვითარდება და თუ ჩვენ ერთი ადგილი ვტკეპნეთ, არ ივარგებს. გადაწყვეტილი გვაქვს, პროდუქციის ასორტიმენტი მთლიანად განვაახლოთ. წლეულს მომხმარებელი მიიღებს მოდერნიზებულ ოთხსანთურიან გაზქურას. იგი აღჭურვილი იქნება ელექტროანთებითი სისტემით. საზღვარგარეთულ ანალოგებს არაფრით ჩამოუვარდება ახალი მოდელის ორსანთურიანი გადასატანი გაზქურა, რომელიც გარდა იმისა, რომ ავტომატურად ინთება, ესთეტიკური იერსახითაც იზიდავს მომხმარებელს.

სიახლე სხვა სახითაც შემოვიდა. რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პირობებში იზრდება საწარმოთა დამოუკიდებლობა. ეს განსაკუთრებით ვიგრძენით ფართო მოხმარების საქონლის დაგეგმვაში, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ძირითადი პროდუქციის მიმართ. აქ ჩვენ მთლიანად, როგორც იტყვიან, სახელმწიფო დაკვეთის ჩარჩოებში ვსხედვართ: ვერც ვერაფერს მივუმატებთ დაგეგმილს და ვერც გამოვაკლებთ. ამით, რა თქმა უნდა, ერთგვარად ვკარგავთ წარმოების მანევრირების უნარს.

კვლავ მწვავედ დგას ბინების პრობლემა. ახლა ჩვენთან 120 კაცი უცდის ახალ ბინას. ასეთი რიგი არ იქნებოდა, ქალაქის საბჭოსათვის ჩარიცხული 2 მილიონ 500 ათასი მანეთის სანაცვლოდ საწარმო ყოველწლიურად რომ ღებულობდეს ბინების წილობრივ ფონდს. არის სხვა პრობლემებიც, რომლებიც ახლო მომავალში უნდა გადაიჭრას.

ასეა, გარდაქმნა, რა თქმა უნდა, მოასფალტებული გზით არ მიდის და წინ უამრავი მეჩეჩი, წინააღმდეგობა, სირთულე ეღობება. სწორედ მათთან ბრძოლაში იჭედება მოპოვებულით ტკბობის სურვილიც და სიძნელეებთან ჭიდილის გრძნობაც.

ოთარ ხუციშვილი.

ქარხნის დირექტორი დავით ზუბიტაშვილი (მარცნიდან მეორე) საამქროში.

სტუმარი ოლიმპიადა

ვლადიმერ ოლოფინი

ამბავი თეზეუზ სამხონაძე.

ვიცით კი ვინმემ, ვის სად გვიწევს სიკვდილი? ახლა მოდაც ისეთია, საავადმყოფოში და არა შობილიური სახლის კედლებში უნდა ამოგძვრეს სული. თუმცა შობილიური კედლები ნეტა სადღაა, თუ დიდ ქალაქებს ვიგულისხმებთ. ოფოფდაც სანეულწიფო ბიხის კედლები შენი სხვენქვითია გამობარი. იქაა შენი ახლობლები, შენი ოჯახი. ან ისეთი რა ცოდვისთვის უნდა დასაჯო კაცი, რომ მარტოდმარტო დახუჭოს თვალები ბაშმულუბულ, ჭმუნვარე, ათასხარი სხეებით, ტანჯვა-წამებითა და სიკვდილით გაყიენნილ საავადმყოფოს გულშემზარავი პალატის კედლებში?

ცხოვრების ბოლო წლებში სტეპანოდა ივანოვნა ზაფხულობით ოლეპინოში მგზავაადა ხოლმე. მართალია, კაპიტალური რემონტის შემდეგ გადასხვაფფრებული სახლი ცოტა უცხო კი ჩანდა, სამაგიეროდ ფანჯრიდან, მეტადრე ეზოს ეულსკამდან ან პარმაღიდან, როცა კი ხელით იქ გავიყვანდით, მისთვის ჩვეული ოლეპინო იმლებოდა: ცაცხვები, ტირიფები, ვაბი და საყდარიც კი. მერე რა, რომ მესერი ბოსლის ფიცრებისთვის მოანგრიეს, საყოლის შიგნით გაპარტახების უსმაკვსო სურათი სუფეფდა, ეყარა ღორის ნაშუანი, ცხრის ეედლი ტაკეები. მაგრამ ამას ხომ სტეპანიდა ივანოვნა ვერ ხედავდა, რადგან სიარული აღარ ძალუძდა (ფეხი სადე ვიშვიდა), გარეგან კი სულს არაფერი უფერეცრეცდა, ჭკვანი ხომ თავის ადგილზე იყო, გინდ შეხედე და ვუღა ოხერი ამოაყოლე, გინდ პირველი გადაისახე.

ოლეპინოში იგი რაც შეიძლება დიდხანს, თითქმის ღვთისმშობლის საფარველობამდე რჩებოდა, მერე კი ნება-უფბენლეფთ საზამთროდ სხვაგან უნდა გადადგეკუკანა. რა გაკბრავებთ ესვამეთ ხოლმე „ეოლგის“ წინა სკამზე, ან რამდენ ხანს ეეუნდებოდით ამას, ვინაიდან გაშეშებული ფეხი საკმეს უჭირებდა. და თუმცა გამხდარი და ბუმბულივით მსატე იყო სტეპანიდა ივანოვნა, მაინც ვიღაცას იღლებში უნდა ამოეყო ხელები, მაღლა აეწია მანქანაში, რათა ფეხი თავისუფლად გაემართა. ამ ფეხისათვის კიდევ მოხერხებული ადგილი და მდგომარეობა შეერჩინა და ამის მერე თვითონ დაგვეცა ადგილზე. ასე იჯდა ხოლმე მოსკოვამდე. არც გადმოსვლა შეეძლო, არც მუხლების გაშლა, არც ადგილის შეცვლა, ესა, ცოტა თუ შეინძრეოდა ადგილზე, რომ დაბუჟებული სხეულისთვის ოდნავ ზეება მიეცა. გლეხის ქალის მოთმინება ჰქონდა სტეპანიდა ივანოვნას. ან რა სათქმელია, თუ ქალმა მთელ თავის ოხზმოცსა და კიდევ სამ წელს გაუძლო, მოსკოვამდე ოთხ საათს მანქანაში ამა ოროო ვერ ეყო ადგილი.

ყველაზე ისე იცოდა, რომ იგი მოსკოვში ჩემთან ცხოვრობდა. სხანმდეიელში ასედაც იყო. მაგრამ სამი ქალიშვილი მოსკოვში და მეოთხე კიდევ (თანაც პირველი) მინსკში, მიზეზი გახლდათ მისი დაუდგ
რომლობისა და ადგილის ხშირ-ხშირი მონაცვლეობისა. კატიუშას ხომ უნდა ესტუმრო, კლავდისასთან ხომ უნდა მივიდეს... მოსკოვიდან მინსკამდეც გზა ძმიმე არაა. ესაა, ერთ ღამეს გაათვე მატარებელში, თანაც იმაზე უფრო ვემრიელად მოეწყოი, ვინემ ოლეპინოდან მოსკოვამდე „ეოლგის“ წინა სავარძლზე.

არ ეგების კაცს არც სხვებთან და არც საკუთარ თავთან ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ყველან კი ვიცოდით, რომ ჟაში სადაცაა ძოწეკვედა. ვინ იცის, იქნებ გულში კიდევც ვარაუდობდით, სად მოხდება მოსაღდენი, ოლეპინოში თუ მოსკოვში? კარგი იყო ოლეპინოში მომზდარიყო, ვინაიდან ვინდაც მთვარეზე დაელია სული სტეპანიდა ივანოვნას, იგი მინც ჩვენი ძმობლიური სოფლის სასაფლაოზე უნდა დაგვემარხა, ალექსეი ალექსეევიჩის გვერდით, ალექსეი ფმტრიევიჩის, ვასილისა ბებიას, ფმტრი ივანოვიჩის, ალიონას, მარფასა თუ სხვა აწ უკვე უსახელოდ ქეიფულ ჩვენს მრავალრიცხოვან მამა-პაპას ახლოს. იმას რა აკობებდა, თავად ოლეპინოში მომზდარიყო ეს ამბავი, ხის საკუთარ სახლში. არც ავტობუსი იქნებოდა საჭირო, არც ზეფმტრი გადასვენებ-ჩამოსვენება (მეექვსე საროფლის ვიწრო კიბეზე). ყველაფრი უბრალოდ და ბუნებრივად ჩაიცდა.

მაგრამ სტეპანიდა ივანოვნა მინსკში გარდაიცვალა.

იმავე ღამეს გავემგზავრე მინსკში. მეორე დღეს საგაზეთოში საქმე მელოდა: უნდა მეკოდა კუბო, შემომეკედა თუთიონ, როცა თუთიას ვიმეკიდი. მერე კი თვითმფრინავით მოსკოვში ჩამომესვეეენბინა. იქ ჩემი ძმა ნიოლი თვითმფრინავთან დამაბეკედრებდა ავტობუს და სტეპანიდა ივანოვნაც თავის უკანასკნელ გზას დაადგებოდა მოსკოვიდან ოლეპინოში.

საკვდილს იგი არ შეეცალა. იწვა კოპწია, თეთრმინანი, დამშვიდებული, როგორც თავის წუთისოფელგაელილი ყველა მოხუცი ქალი, ისე ჩუმად რომ გაკრბიან ამა ქვეყნიდან, თითქოს თვალი მიღუღეს და დაიძინესო. საკვდილი სახის ნაკვთებსაც გადაუსწორებს, ზრუნვის, მოლოდინისა და გოაცვის ეერსა და ცხოვრების ყველაანარ დაღს წაშლის. საოცარია და, მზოლოდ ახლა, უკვე ძმვიდად დაკეფდნ ხელებზე შეკაბჩიე მისი საქორწფლო ბეეედი, ანუ ის, რაც რეცხვის, ფმტრი ივანოვიჩის, ალიონას, მარფასა თუ სხვა საშუმთოთა შემდეგ დარჩენილიყო, ბეეედი, რომელიც მის გოძელზე-გრძელ წუთისოფელში ფურცლევეთი გთხეკუნტულიყო და ალაგ-ალაგ მავოულეეთ წვრილი ჩანდა.

როგორც წესია, კლავდიამ კარებშივე მაუწყა მისი უკანასკნელი წუთების ის უკმრავი წვრილშანა ამბები, ყოველდღიურად რომ ხდება ჩვენს თვალწინ და ეურადღებას არავინ აქცევს, რაკიდა ღღეები მშვიდობიანად მისდევს ერთმანეთს. მაგრამ რაწამს სპარეეეკციო ამარატი შეწყვეტს ტაკაკატკუცს და მოსაზღვნი მოხდება, მყის გენიშნებს, მყის ჩაგეეედება თავი და ისე გაქვავდება იქ, როგორც ეკოაზე კინოკადრი.

— დედი, ეკუთხარი, რა გირჩევნია, ჩაი თუ რძე-მეთქი? „ნეტაც ერთი ნადფი რძე დამალეკვინთ...“ მითხრა. არადა, ნადფ რძეს სად ეშოვი ახლა. რძიანი ჩაი დაეუსხი. ისაუზმა. „ახლა წავთვლეთო“, თქვა. მეც ბალაში გავესწორე და...

თვითმფრინავის ბილეთი რომ დავაჯაბნინე, იმაზეე მოეელაპარაკე, რა ტკირთიც ჩემენოდა წასაღები. მეშინოდა, ვაითუ. საქმე გამოკანკლონ-მეთქი. თურმე ნუ ოტკეთი და ეს ყველაზე ადვილად მომიგვარენია. ვანა ამიტომ, იმავე დღის საღამოსთვის ბილეთის შოვნა ძნელი არ იყო. სხვა დანარჩენმა საქმეებმა ისეთ ღღეში ჩამავდეო, ყველა ჩემს ეარაუეს გადაეარბა. ვინძლო შემდეგ და შემდეგ ამ შეეთხვევისთვის დიახაც შეუფერებელი ფეეტონიკი კილო მოეესმა მკითხველს. მაგრამ რას იზამ კაცი, თუკი სინამდვილე ზოგჯერ მართლა წაგავეს გაუთავებელ ფეეტონს, უფრო მწარეს, ვინემ სასაცილოს.

ყოველ შემთხვევაში მე აქ არც არაფერი მომიმატებია და არც დამიკლია, ყველი ისე, როგორც იყო და როგორც მოხდა. ისიც დაიხსომეთ, რომ ზოგიერთი წერილმანი დროთა ვითარებაში დავიწყებას ბეეეკა. გამეჭრა ბრაზიც, რომელიც იმ დღეებში ალბათ ნახვვარი სახელმწიფოს გასაგმტეკრებლად იკმარებდა.

თავის ღღეში არასოდეს. მჭონია საქმე დამკმაღლავ ბიუროსთან. როგორც „დამკრძალავი ბიუროს“ ბმრას დავიხსაბავდი, ჭეეის მეორე მხარეს გადავიდოდი. მაგრამ თუ ადამიანთა ცხოვრებაში განსაკეთრებული სისათუოს გამოჩენაა საღმე საჭირო, თუ სადმე მიუტეკვებელი გულისგამწერილებელი წვრილმანობა, თუ სადმე საჭიროა ავტომატური სისწრაფე რომ წერდა, ასე ვთქვათ, ამ შემთხვევისთვის ასტროხომოიულ ეიფრეკს.

ყველაზე ძნელსა და უიმედო ვითარებაშიც გამოკოთება თურმე რადაც მიუღლებელი ნათელი. ჩემმა ბედად და გასახარად ორი რეგი მდგარა ერთი, უფრო დიდი, სამგლეთიარო „ვეინკვინგბისათვის (ბასში შედიოდა თურმე 78 ეიფრი). გაცილებით მცირე რიგი კი კუბოებზე კეფფილა. ამ რიგში მეთვრამეტე აღმოვჩნდი.

ამა, არ უნდა მეზვიმა, როცა ყური მოკარი, დღეში თუთმეტენ თუ ოცეიოდე კუბო მოვამეთო? მაშასადამე, სამოცდამეცხრამეტე რომ ეკოფილიყავი, ოთხი დღე მოეწეკდა რიგში დგომა. ახლა კი შესაძლოა, დღესვე ჩავიგდო კუბო ხელში.

კი, ბატონო, იდგანენ ვეინრვეინგბისთვის ოთხი დღე. ვეინრვეინგბი მე რაში მჭირდეა. ამა უყურე, ვეინრვეინგბიც მოძინდოგს. არა, მე, ბატონო, ყოველდ ჩვეულებრივი და უბრალო ფიერის კუბო მჭირდება და ი იმედია, დღესვე ეიყიდი.

ამაზე სანატრელი რა იქნებოდა?! დედა გარდაეეცალა? ვული ვიწუხს და ვიკვნესისს? ვუშინდელი დღიდან ყველნი ერთი ბაკეკი ბაკეკი ბიეეოს ეიეეე

ეტეოდა, ცარიელი რომ იყო. მხოლოდ ქვემო მარჯვენა კუთხეში ობლად ეკიდა მქრქალი ფოტოსურათი, ზედ კი ნაცრისფერი ბეტონის ტუმბო იყო გამოსახული. ღმერთო დიდებულო, ნუ იზამ, რომ ჩემს საფლავზე ასეთი ძეგლი იდგას. ან იყო კი საჭირო ამ ნიმუშის გამოფენა, როცა ერთადერთი გვაქვს და ასარჩევი არაფერია?

კარგა ხანია, შემჩნეული მაქვს, რომ ეს რამდენიმე ათეული წელია, მთელი ხალხი თავისებურ ულუფურ სისტემაზე ვცხოვრობთ, ცხოვრების რა მხარეც არ უნდა ავიღოთ. მაღაზიაში იმას ყიდულობ, რაც არის და არა იმას, რისი ყიდვაც გინდა. არჩევანი, როგორც წესი, ფრიად შეზღუდულია, თუკი არსებობს საერთოდ იგი. ტყუილად კი არ დამკვიდრდა ჩვენს ყოფაში სიტყვა „იძლევიან“ და არა „ყიდიან“.

ამ სიტყვაში ფრიად ღრმა აზრი იმალება. ყველას კარგად ესმის, რომ გაძლევენ ფულზე და არა უფულოდ. მაგრამ მაინც გაძლევენ, როგორც შეიძლება მოცემა მხოლოდ და მხოლოდ ყოველდღიური და მკაცრი შეზღუდვისას, როგორც შეიძლება მოგცენ ულუფა, მოგცენ ყველაზე მინიმუმი.

ვთქვათ, გინდათ, სადილისათვის იყიდოთ თქვენი გუნებისდა მიხედვით საქონლის სუკი, ღვიძლი, ფაშვი, ღორის ფეხები, ქათმის კუჭმაჭი, შესაწვავი ღორის ნაჭერი, ცხვრის ტვინი, ხბოს ხორცი, ცხვრის თავი, ხარის კუდი, ესკალოპი, ანტრიკოტი, გოჭი, ბატი, ინდაური, კაკაბი, ტყის ქათამი, ძროხის ცური, კურდღელი.. მოივლით ოც მაღაზიას ზედიზედ და ყველგან დაგხვდება. თუკი საერთოდ დაგხვდა, ან მხოლოდ მეორე ხარისხის საქონლის ხორცი, პირველ ხარისხად შემოსაღებული, ან ცხვრის ხორცი, ან მეტწილად საქონლისა თუ ღორის თირკმლები. აი ის, რისი არჩევანიც გვაქვს, თანაც მოსკოვში, დედაქალაქში, საოლქო, მით უმეტეს რაიონულ ქალაქებში, ვერც ამას იშოვით.

ან ვთქვათ, მოგენატრათ სოკო (ჩვენს ტყიან ქვეყანაში სოკო ეგზოტიკა როდია) და გულში ფიქრობთ, რომელი სოკო სჯობია: მანჭკოლა, მჭადა სოკო, თეთრი სოკო, შამპინიონები? ან იქნებ ქამა სოკო? ან დამჟავებული სოკო? შემოივლით მთელ ქალაქს და, ან საერთოდ სოკოს ვერსად იშოვით, ანდა მხოლოდ ერთი სახისაა ყველგან, რომელსაც დღეს „იძლევიან“, და ისიც, ალბათ, დამჟავებულს.

ცხადია, სხვადასხვა დროს შეიძლება, გამოჩნდეს დახლებზე წამიერად ხან ეს, ხან ის სოკო. გამოჩნდება შიგადაშიგ საქონლის ღვიძლიც, ინდაურიცა და ბატიც. მაგრამ ისე არასდროს ხდება, რომ არჩევანის საშუალება გქონდეს კაცს. ზოგჯერ შეიძლება, ფაშვიც იშოვოთ, ასე გასინჯეთ, დამჟავებული ნიყვიც (თუმცა ერთიცა და მეორეც ნაკლებ შესაძლებელია). მაგრამ ვერასოდეს იყიდით იმას, რაც გენატრებათ და სწორედ ამ წუთას გენატრებათ. იმის დაგვმვა, თუ რა უნდა იყიდოთ, თქვენ არ ძალგიძთ, ვინაიდან იძულებული ხართ, იმას დასჯერდეთ, რასაც „გაძლევენ“.

საჭმელზე ამდენი საუბარი, ცოტა არ იყოს, სათაკილოც გახლავთ. მაშ უფრო ფაქიზზე გადავიდეთ — ყვავილების მაღაზიებს მივაშუროთ... დღეს იქ გასაყიდად მხოლოდ ქრიზანთემებია. რაოდენ გულითაც არ გსურდეთ ვარდების, ფურისულას, გიაცინტების, მიხაკების, ზამბახების, ტიტების ყიდვა, გულის წადილს ვერ შეისრულებთ, რამეთუ აქაც ულუფაზე ხართ.

ღირს კი ჩამოთვლა ყველა დანარჩენი საგნებისა, რაიც ძროხის ენასა და ვარდს შუაა? ყოველი კაცი, თუ ამ ჩინდრიკსა და ძუნძულში თავს ძალას დაატანს და ფხიზელი თვალით შეხედავს ყველაფერს, დამეთანხმება, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ულუფურ სისტემაზეა აგებული, დაწყებული უბრალო რკინიდან დამთავრებული ქალის ქურქებით, ფეხსაცმლებით, კანფეტებით, წიგნებით, გრამაფონის ფირფიტებით, კინოფილმებით, საგაზეთო ინფორმაციებით, მანქანებით, სამართებლებით, ავეჯით, ბინით, ქსოვილების ფერითა თუ ნახატებით და ჩაის ნაირსახეობით.

ასე რომ, თუმცა კი ვიცოდი, რომ ყველა თავისებურ დიეტაზე ვართ, მაგრამ იმას როგორ ვიფიქრებდი, თუ „საულუფო“ კანონი ისეთ საგნებსაც შეეხებოდა, როგორიც გახლავთ სამგლოვიარო გვირგვინები, კუბოები და საფლავის ძეგლები. არც ის მეგონა, თუ მეორე დღეს მომიხდებოდა კიდევ უფრო აუტანელ შეზღუდვასთან შეხლა, რასაც ჩემი შეგნება დღემდე ვერა და ვერ შერიგებია...

ბოლოს და ბოლოს, კუბოები მოიტანეს. ჩემი რიგი რომ მოვიდა, დავინახე, ჩემ წინ ნედლი, უშნოდ ნაჩორკნი ფიცრებისგან შეკრული, წარმოუდგენლად მძიმე და წარმოუდგენლად გრძელი სასახლე იდგა.

— უკაცრავად... მაგრამ... ჩემი დედა დიდი ქალი არ გახლდათ, ტანმორჩილი, გამხდარი იყო. ეს კი შტანგისტებისთვის, მგონი, უფროა...

— მეტრი და ოთხმოცდაათია ყველა კუბო, მოქალაქევ, სტანდარტულია. დღეს მხოლოდ მეტრი და ოთხმოცდაათია.

— მე არ მჭირდება მეტრი და ოთხმოცდაათი.

— არ გჭირდება და იქით გადი, სხვებს ხელს ნუ უშლი.

—რას ამბობთ, რას. ვიღებ! ოღონდ უნდა მეთქვა...

— ეგ შინ უთხარით თქვენებს, განსვენებულ დედიკოს. ხი-ხი, თუ იღებთ, ფული გადაიხადეთ.*

აღარ მოვყვები, რად დამიჯდა ამ წარმოუდგენელი კუბოს თუთიით შემოჭედვა და რარიგ დაამძიმა ამან იგი. იმაზე გავჩუმდები, სად და როგორ აღმოვაჩინე კაცი, ვინაც მისი დარჩილვა შეძლო, ვინაიდან მხოლოდ სულ ბოლოს გაირკვა, რომ სტეპანიდა ივანოვნას თვითმფრინავზე ისე არ მიიღებდნენ, ვინემ კუბო დარჩილული არ იქნებოდა...

ღამის თერთმეტ საათზე, გატანჯული და ილაჯგამოცლილი მაინც ჩავფრინდი მოსკოვში. ჩემი დები და ძმა ნიკოლაი უკვე ავტობუსით მელოდებოდნენ. პირდაპირ აეროდრომიდან გაემგზავრნენ ისინი ამ ღამით ოლეპინოში (ასეთი ავტობუსით გზას ხუთი-ექვსი საათი დასჭირდებოდა). მე მათ ვთხოვე, შინ წავალ და გამოვიძინებ. დილით კი ჩემი მანქანით გამოვემგზავრები და თორმეტი საათისთვის იქ ვიქნები-მეთქი.

ჩასვლა გვიანაც შემეძლო, რადგან დაკრძალვის დრო სინამდვილეში ჩემზე იყო დამოკიდებული. მაგრამ მეორე სოფელშიაც უნდა შემევლო, სადაც რაღაც სასწაულით კიდევ შემორჩენილიყო მოქმედი ეკლესია და იქიდან მღვდელი ... მომეყვანა, გამხდარი მოხუცი საოცრად თხელი, ჭაღარა, ოდნავ შეყვითლებული კიკინით...

ყველა დროსა და ყველა ხალხს წმიდათაწმიდად მიაჩნდათ მომაკვდავის უკანასკნელი ნება-სურვილის აღსრულება, თუმცა თუ ოკუპანტები, დამპყრობლები, ბარბაროსები შემოგესია, ტერორი გააბატონა, ძარცვა-გლეჯა დაიწყო, მაშინ, ცხადია, უკანასკნელი ნება-სურვილის აღსრულების იმედი არც უნდა გქონდეს. მაგრამ ყველა ცივილიზებულ ხალხსა და ყველა დროში მომაკვდავის ნება-სურვილი წმიდათაწმიდად ითვლებოდა.

კიდევაც რომ არ გამოეთქვა სტეპანიდა ივანოვნას თავისი უკანასკნელი მიწიერი სურვილი, ჩვენ, მისმა შვილებმა, უამისოდაც ვიცოდით, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ოლეპინოში უნდა დაგვესაფლავებინა და თანაც, როგორც ღრმად მორწმუნე ქალი, მართლმადიდებლური ეკლესიის წესის აგებით, ანუ, მისი აზრით, როგორც ადამიანს შეჰფეროდა და ეკადრებოდა.

სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ ადამიანის ღირსეულ დაკრძალვაზე. ძველი სლავები მიცვალებულს ნავზე ასვენებდნენ და ხავიანად წვავდნენ. ძველი ეგვიპტელები მუმიად აქცევდნენ ცხედარს. ინდოელები (ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი სექტა მაინც) ნეშტს ფრინველთა საკორტნად ტოვებდნენ. ასეთი კაცისთვის რომ გეთქვა, მიწაში ჩაგფლავენო, ალბათ დარდისგან მოკვდებოდა. მას ჩიტები ერჩივნა მატლებს, და მართლაც სისასტიკე იქნებოდა, ისე არ დაგემარხა, როგორც თავად სურდა.

ჩვენს, მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციასაც, თავისი წესი და რიგი აქვს. თუ მწერალი გარდაიცვალა, რესტორნის მუხის დარბაზიდან სასწრაფოდ გაიტანენ მაგიდებს, სადაც ჯერ კიდევ წუხელ ჩაისა თუ სხვა უფრო მაგარ სასმელებს ვსვამდით. მერე შეაერთებენ რამდენიმე მაგიდას და ზედ კუბოს დაასვენებენ. ჭეშმარიტად: „სადაც იყო სუფრა ლხინისა, დგას კუბო ახლა...“ სიტყვების შემდეგ, სამდივნოს (თუ მიცვალებული დიდად საპატიოა), პარტკომისა და უბრალოდ, მეგობრების სახელით, კუბო გამოაქვთ. იატაკს მოგვიან. მაგიდებს თავის ადგილებზე დადგამენ და რესტორნის ახალი სტუმარი უკვე ორას გრამ არაყს დაუკვეთს. ეჭვადაც არ იცის, რომ სულ რაღაც ერთი საათის წინ აქ საზეიმოდ გამოეთხოვნენ ადამიანს. დაფუსფუსებენ ისევ ოფიციანტები, წკრიალი გააქვს ჭიქებს, ისმის გაუგებარი ლუღლუღი.

თუ განსვენებული მეტისმეტად საპატიო ვინმე გახლავთ, იგი დიდი დარბაზის სცენაზე ასვენია, სადაც, ჯერ კიდევ გუშინ, არკადი რაიკინის შემოქმედებითი საღამო იყო, ხვალ კი ფილმს აჩვენებენ ბრიჯიდ ბარდოს მონაწილეობით. ორატორებიც უფრო მაღალი რანგისა არიან, შესაძლოა, თვით ფედინიც გახლდეთ. ფედინს კი, როცა ის გარდაიცვლება, ალბათ სვეტებიან დარბაზში დაასვენებენ (როგორც, მაგალითად, ფადეევს), სადაც ასევე წინადღეს პიატნიცკის გუნდი მღეროდა. ორატორებადაც აქ უფრო დარბაისელი ხალხი იქნება — მთავრობის, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის წევრები.

მაშასადამე, ესეც თავისებური წესი გახლავთ. მწერალთა კავშირის რომელიმე ამჟამად ცოცხალ წევრს რომ უთხრათ,

* მინდა გაგახსენოთ, რომ ეს ამბავი 1967 წელს მოხდა. ახლა, ყოველ შემთხვევაში, დიდ ქალაქებში მაინც, დამკრძალავი მომსახურება თითქოს ყველგანაა.

გარდაცვალების შემდეგ ეკლესიაში წესს აგიგებთო, დიახაც აღშფოთდება და უარს განაცხადებს. სწორიც იქნება. ვინაიდან მათ მიმართ ასეთი საქციელი მართლაც რომ სისასტიკეა.

მთელ რუსეთში დაკეტილია ათი ათასობით ეკლესიის კარი, მაგრამ მილიონობით ხანში შესული ადამიანი, ვისაც, მისი აზრით, ადათ-კანონით დასაფლავება სურს, ჯერ ცოცხალია და თავის წუთისოფელს მიილევს. ჰოდა, სინამდვილეში მილიონობით უდანაშაულო ადამიანი მოკლებულია ასეთი დამარხვის ელემენტარულ შესაძლებლობას. აი, კიდევ ერთი აღმაშფოთებელი სისასტიკე, კიდევ ერთი „ულუფური“ სისტემა სხვა უთვალავთა და სამწუხარო მდგომარეობათა შორის.

მაგრამ მე მაქვს ჩემი მანქანა, მე მტკიცედ გადავწყვიტე, შევუსრულო ჩემს დედას უკანასკნელი ნება-სურვილი, ჩავალ სოფელ სნეგირევოში, ჩამოვიყვან იქიდან სერგეი მღვდელს და ის მართლმადიდებელი სჯულის მიხედვით წესს აუგებს სტეპანიდა ივანოვნას...

ჩემი სახლი ხალხით გაჭედილი დამხვდა. კუბო გადახდილი იყო და სტეპანიდა ივანოვნა წინა კუთხეში ესვენა. იგი ჩამოფრინდა თვითმფრინავით (თავის სიცოცხლეში პირველად). მთელი ღამე ავტობუსით იჩიქჩიქა ოლეპინომდე და, შეიძლება ითქვას, უკვე ადგილს ჩამოაღწია. უკანასკნელ ოთხას მეტრს გლეხების მხრეზზე შედგმული ოთხი ფიცრით ჩაუვლის ჩვენს ბაღს, ნასვენ მიწას, მინდორს, სადაც ამდენი უხოხია მუხლებით, ამდენი უჩიჩქნია და უთხრია გათოშილი, გაშეშებული თითებით შემოდგომის ცივი მიწა კარტოფილის ამოსაღებად. ჩაუვლის ქერის ჯერ დაუთავთავებელ ყანას, გორის კიდეს, მდინარისკენ რომ დაქანებულა, და მიაღწევს იმ ფიჭვებს, რომელზედაც უკვე რამდენ ოლეპინელ თაობას უთქვამს: „ყველანი იქ მივალთო“.

მე და ნიკოლაისაც შეგვეძლო, მხარი შეგვედგა კუბოსთვის, მაგრამ, მგონი, წესი არ არის, ვაჟიშვილებმა დედის კუბო წაიღონ.

როცა კუბოსთან ახლობლებიდან ახალი კაცი გამოჩნდება, ხელახლა შეიქნება ხოლმე ქვითინი და მოთქმა. თუმცა კმაყოფილების დრტვინვამაც ჩაიშრიალა დაკრძალვაზე მოსულ ხალხში, როცა ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ, ზოლებად გაწოლილ გზებით თვალაჭრელებული პირდაპირ საჭედან პარმაღზე გამოვჩნდი ჩვენი სახლის დაბალი წირთხლის ქვეშ.

მაშ, ჩამოვედი. მაშ, უკვე ყველაფერი მალე დასრულდება. რა დიდი დრო უნდა მანქანას სნეგირევომდე? დიდი-დიდი, ერთი საათი იქით და აქეთ. იმაზე აღარ ვილაპარაკებ, მოკლე გზით წასვლა რომ გადავწყვიტე და ტყე გადავჭერი (ოცი კილომეტრის ნაცვლად შვიდი გამოდიოდა). ისიც ვეღარ გავითვალისწინე, როგორც ჩვენში ამბობენ, აქ რომ საოფლე ადგილი იყო, მაისის ბალახით დაფარული და მანქანა ჯერ ამისრიალდა, მერე კი სულაც გამიჩერდა. საათნახევარი დამჭირდა, ვინემ იქიდან გამოვაღწევდი. თავდაპირველად ჩემით დავაპირე გამოსვლა, მოვჭერი ტოტები და ბორბლებს შევუყარე. იმედი რომ გადამეწურა, უახლოეს სოფელში ფეხით წავედი საბარგო მანქანის მოსაყვანად, რომელმაც ჭაობიდან გამომათრია. ეს კია, უკვე დრო აღარ მრჩებოდა, ამიტომ მღელვარებამ შემიპყრო, რამაც თავის მხრივ იმოქმედა კიდევაც სერგეი მღვდელთან ჩემს საუბარზე და უფრო შემტევი და მტკიცე გამხადა.

მართალს თუ ვიტყვი, სერგეი მღვდელს ჩემთვის უარი არ უთქვამს, როცა ჩემი სათხოვარი გაიგო. მაგრამ რა წამოკრიფა ჯვარი, ფარანი, შესამოსელი, სჯულის წიგნები და მანქანის კარს მოადგა, პასუხში არც დაეჭვებულა, ნაზად მკითხა:

— ოლქიდან მოწერილობა გაქვთ კია?

კინაღამ არ შევცდი და არ ჩავკითხე, რა მოწერილობა-მეთქი? ისე გამაოგნა ამ შეკითხვამ, რომ ჩაკითხვა სამი-ოთხი წამით შემაგვიანდა და ამან მიხსნა კიდევაც. ეს სამი-ოთხი წამი საკმარისი გამოდგა, რომ სერგეი მღვდელს თვითონვე განემარტა ჩემთვის:

— წერილობით ნებართვაზე მოგახსენებთ.

„ბამ-ბამ-ბამ! ბამ-ბამ-ბამ!“ — ესღა გინდა თქვა ამის შემდეგ. ამბავი ესე რომ რომელიმე დაპყრობილ ქვეყანაში მომხდარიყო, სადაც საოკუპაციო ხელისუფალთ ადგილობრივი მკვიდრნი ისე ჰყავთ დაჩაგრული და ლაგამამოდებული, მიცვალებულების თავიანთი ადათ-წესების მიხედვით დამარხვას უკრძალავდნენ ხელისუფალთა ნებართვის გარეშე, ამის გაგება კიდევ შეიძლებოდა. მაგრამ არ ვიცი, არსებობს კია ამქვეყნად ასეთი საოკუპაციო ხელისუფლება, ან არსებობს კია ისეთი ხალხი, რომელიც ასეთ ლაგამს იგუებს?..

ფეხქვეშ ლამის მიწა გამომეცალა. სწრაფად გამიელვა თვალწინ ათასნაირმა სურათმა. რა ვქნა, როგორ მოვიქცე? დაკრძალვა ხვალისთვის გადავდო? ოლქში გავქანდე ნებართვისათვის? ან სტეპანიდა ივანოვნა მიწაში პირუტყვივით ჩავფლა, როგორც ახლა მოხუცებს მარხავენ? რაიონში წავიდე სასწრაფოდ და ის შემზარავი დამკრძალავი ორკესტრი ჩამოვიყვანო?

ამას მე ვერ გავაკეთებდი. მით უმეტეს, სულ სხვა სურათი გამიკრთა უეცრივ თვალწინ. თუ როგორ შევალ ხვალ დილას ჩემთვის ნაცნობ კაბინეტში და წინა დღის რიცხვით დათარიღებული ის ყოველად სამარცხვინო ქაღალდი გამომაქვს შამა სერგეისთვის წასაღებად. ამიტომ, თვალი არც დამიხამხამებია, ხმაც არ გამბზარვია, ისე მიამიტურად გავუსწორე ცისფერი თვალები მღვდელს და მტკიცედ ვიცრუე:

-- იცით, შამა სერგეი, ჩამოსვენებაზე დიდი დავიდარაბა გადამხდა, მაგრამ დავრეკე კია ოლქში და ნება მომცეს. წერილობით ნებართვას ხვალ დილით მოგართმევთ.

მღვდელმა დამიჯერა (კაცი მწერალი გახლდით!) და ოლეპინოსკენ უკვე შორი, მაგრამ უხიფათო გზით წამოვედი. ჩემს შეგვიანებას, როგორც ველოდი, დაკრძალვაზე მოსულ ხალხში შეშფოთება გამოეწვია, სახლი კიდევ უფრო გადაჭედილიყო. ჩვენი გამოჩენის უმალ ცვილის წვრილმა სანთლებმა იელვა ყველას ხელში და ერთი წუთის შემდეგ ათეული სანთლის ალი აციმციმდა და აპარპალდა სტეპანიდა ივანოვნას გარშემო. ისეთი სუნი დატრიალდა, როგორც ეკლესიაში.

მყის მოხალისენიც გამოჩნდნენ: გაისმა ვლადიმერ სერგეევიჩ პოსტნოვის არყისგან ჩახრინწული ბანი, ოთხმოცი წლის პოლია ძალოს ჯერ კიდევ წკრიალა ალტი. მათ არც სხვები ჩამორჩნენ, სიმღერას უკვე გადაჩვეულებმა სიხარულით ააყოლეს ხმა, რაღაი შემთხვევა მიეცათ...

ერთხელ მოსკოვში ჩემთან სტუმრები შეიყარნენ. ჩანაწერი მქონდა ერთი დიდებული პანაშვიდისა და ის ჩავრთე. მთელი ნახევარი საათი არავის დაუძრავს კრინტი, არავის დასცდენია სიტყვა, როცა უკანასკნელი ბგერა მიწყდა, იმ სტუმრობა, რომლის პირდაპირობაში ეჭვი [illegible] შეუვიდოდა, ცრემლმორეულმა წაილაპარაკა: „მგონი, არც სიკვდილისა და არც კუბოში ჩაწოლისა შეგეშინდება, თუკი შენზე ასეთ სიტყვებს იტყვიან და ასე იგალობებენ...“

ვლადიმირ სერგეევიჩი და პოლია ძალო, ცხადია, ისეთ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენენ, როგორც პარიზის ხმაშეწყობილი გუნდი, მაგრამ აქ ხომ ლხინი არ იყო, ეს ხომ მართლა დაკრძალვა გახლდათ. სტეპანიდა ივანოვნა ცოცხალივით იწვა კუბოში, ციმციმებდა სანთელთა ალი და ვხედავდი, როგორ ტიროდა და სლუკუნებდა ხალხი. მე მგონი, არა იმიტომ, სტეპანიდა ივანოვნა ებრალებოდათ(უკვე დროულიც იყო, საქმე იქითკენ მიდიოდა, ყველა ხომ მაინც იქ წავალთ), არამედ იმიტომ, რომ გაახსენდათ და იცნეს აწ დაკარგული, რომ ერთი დღით მაინც დაუბრუნდათ წართმეული და თითქმის უკვე გადავიწყებული საწუხარი. „მიწა იყავ და მიწად იქეცი, — ბეჯითად გამოჰყავდათ მგალობლებს. — არა ნაღველი, არა ოხვრა, მაგრამ სიცოცხლე საუკუნო... მხევალს უფლისას, ახალმიცვალებულ სტეპანიდას... მიეც საუკუნო განსასვენებელი“.

წინათ ცხედრის გამოტანისას დაჰკრავდა ხოლმე დიდი ზარი და მისი მძიმე გუგუნი შორს მიდამოს ეფინებოდა. შემდეგ ზარის ხმა იგვიანებდა და გაისმოდა უკვე სასაფლაოსკენ მიმავალი ხალხის თავზე. ასე ხამუშ-ხამუში გუგუნით მიაცილებდა ხოლმე ზარი სამგლოვიარო პროცესიას სამარის კარამდე და მთელ იმ მიდამოს აუწყებდა დასაფლავების სამწუხარო ჟამს. ამ ზარის ხმაზე ყანაში მხვნელი, მთიბავი ან უბრალო გამვლელი კაცი თუ ქალი, მყის შედგებოდა, პირჯვარს იწერდა და წამით მაინც სულით იმასთან იყო, ვისზედაც რეკავდა ზარი.

ახლა კი იშვიათადღა რეკავს ზარი. სასაფლაოს გზა ფიჭვებამდე ჩვენც ჭმუნვარე დუმილით განვლეთ; როგორც ჩანს, მამა სერგეისაც მონატრებოდა ღვთისმსახურება, ამიტომ, წარამარა პირით ჩვენკენ შემოტრიალებული, ისევ და ისევ ლოცვის სიტყვებს იმეორებდა. მერე აბრახუნდა კუბოს სახურავზე მიწის გოროხები (აქ ისევ ხმით ატირდნენ ჩემი დები, ასლუკუნდნენ ოლეპინელი ქალები), და მალე მხოლოდ თიხის მოწითალო ბორცვი ჩანდა მაისის ბალახებს შორის. ჩვენ ყველანი კი, არც ისე მწყობრად, როგორც აქეთ გზაზე, ჯგუფ-ჯგუფად, გაფანტულად თუ ცალ-ცალკე გავემართეთ ისევ სოფლისკენ.

მამა სერგეი შინ მანქანით წავიყვანე და ვკითხე, ასეთი სამსახურისთვის რამდენი მოგართვათ-მეთქი.

— სამი მანეთი, — თვინიერად მითხრა პასუხად მამა სერგეიმ.

მე ოთხი თუმნიანი გავუწოდე.

— ამდენს რად მაძლევთ? ან მაინცდამაინც ორმოცს რატომ?

— ორმოცი მანეთი ეღირებოდა რაიონის სასულე ორკესტრი, დაკრძალვისათვის რომ შემეკვეთა. თქვენ ნაკლები რად უნდა მოგცეთ?

მაგრამ მე მქონდა კიდევ სხვა მიზეზიც, რაიც მამა სერგეისთვის არ გამიმხელია: ეს იყო ჩემი სიცრუე და კიდევ გულის

არეში რაღაც უსიამო შეგრძნება იმ წინათგრძნობით გამოწვეული, რომ ხვალ აღმასკომში ყველაფერი ისე იოლად არ ჩაივლის, როგორც მგონია, და იქნებ მამა სერგეის რაღაც უსიამოვნებანიც შეხვდესმეთქი ამის წყალობით.

— თქვენი დიდად მადლიერი ვარ. მაშასადამე, ოლქიდან ქაღალდის წამოღებას არ დაივიწყებთ.

— რას ბრძანებთ, აბა, რა დამავიწყებს!

რად მქონდა ასეთი იმედი, ან რად მჯეროდა ასე მტკიცედ? იმიტომ, რომ საოლქო აღმასკომში ჩემთვის აქამდე უარი არასდროს უთქვამთ.

საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, ყოველმხრივ ჩინებულ კაცს ტიხონ სტეპანოვიჩს ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როცა იურევ-პოლსკის რაიონში მუშაობდა. რამდენჯერმე კოსიცინის ოჯახშიაც შევხვდით ერთმანეთს და თუ მეგობრები არა, კარგი ნაცნობები გავხდით. მერე ტიხონ სტეპანოვიჩი დააწინაურეს და ოლქში გადაიყვანეს. ჩვენი ურთიერთობა არ შეცვლილა. ამიტომაც იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, როცა კი რამე მეტისმეტად დასჭირდებოდა მეურნეობისათვის, ჯერ ჩემთან მოდიოდა და არა ტიხონ სტეპანოვიჩთან, იმ იმედით, მივიდოდი, მოველაკაებოდი და ყველაფერს მოვაგვარებდი. თუმცა ჩემდამი ეს კარგი განწყობილება ვცდილობდი, ბოროტად არ გამომეყენებინა და საოლქო აღმასკომს უკიდურეს შემთხვევაში თუ ვაწუხებდი ხოლმე.

ახლა კი სწორედ ასეთი შემთხვევა მქონდა.

ტიხონ სტეპანოვიჩმა, როგორც ყოველთვის, პირველად ის მისაყვედურა, ასე იშვიათად რად მოდიხარო.

— საქმეს ხომ არ მოგაცდენთ, — მე ვუპასუხე: — განა არ ვიცი, დღეღამეში რომ ორმოცდარვა საათი იყოს და ერთის მაგივრად სამი ტიხონ სტეპანოვიჩი გახდეთ, დრო მაინც არ გეყოფოდათ.

— ეგ კი მართალია, — გაეცინა ტიხონ სტეპანოვიჩს. — ოჯახში როგორა ხართ? აი ჩემმა ბიჭმა შურკამ...

— კარგად არიან. მხოლოდ სტეპანიდა ივანოვნა დავასაფლავე გუშინ....

— რატომ არ დამირეკეთ? ოლქიდან ორკესტრს გამოვგზავნიდი. მე ხომ ვიცი, სტავროვოში რა ორკესტრიც არის...

— ორკესტრი არ უნდოდა.

— ვის არ უნდოდა?

— სტეპანიდა ივანოვნას.

— ის ხომ გარდაიცვალა? მერედა, როგორ დამარხეთ?

— მაგ საქმეზე გეახელით სწორედ.

ლაპარაკს წამდაუწუმ გვაწყვეტინებდა ტელეფონი. ტიხონ სტეპანოვიჩი პირდაპირ, ჩემ თვალწინ იძლეოდა მნიშვნელოვან განკარგულებებს, საოლქო ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციას ახდენდა, რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკი დატუქსა კიდეც.

როგორც უკვე შემჩნეული მქონდა, ასეთი იყო მისი სამუშაო სტილი: სახვალიოდ კი არა. ათი წუთითაც არ გადადებდა საქმეს. მორიგ თხოვნას რა მოისმენდა და ტელეფონის მილს დადებდა, მყისვე აპარატის კლავიშებს დაჭერდა თითს, რომლის მეოხებით აღმასკომის ყველა მუშაკთან შეეძლო დალაპარაკება, თითქოსდა ის აქვე, ამ ოთახში ყოფილიყო. მდივან ქალს გამოიძახებდა, დაავალებდა, ტელეფონით ამა და ამას თუ იმას და იმას შემაერთეთო. წკრიალებდა ტელეფონების ზარი ქარხნებში, საწყობებში, შორეულ რაიონებში, საბჭოთა მეურნეობებში და სადღაც მინდვრად, საამქროებსა თუ სახელოსნოებში, მყის იწყებოდა საჭირო კაცის ძებნა. მრავლდებოდა ტელეფონთა რეკვები, იტოტებოდა, მთელს ოლქს ედებოდა, უკან ბრუნდებოდა, ვინემ ამოცანა არ გადაწყდებოდა.

ასე რომ, ჩემი გუშინდელი თავგადასავლის მოყოლას უფრო მეტი დრო მოუნდა, ვინემ ამას საქმის არსი მოითხოვდა. მაინც მოვასწარი იმის თქმა, როგორიც იყო დედაჩემის უკანასკნელი ნება-სურვილი და მე, ვაჟიშვილის პირობაზე, მისთვის ანგარიში უნდა გამეწია. უფრო მეტიც, მე მოვალე ვიყავ, როგორც შვილი, ეს ნება-სურვილი აღმესრულებინა.

მეგონა, ტიხონ სტეპანოვიჩი გამაწყვეტინებდა ამ ჩემთვის სამწუხარო ახსნა-განმარტებებს, მეტყოდა, ეს სალაპარაკოდაც არ ღირს და არც ინაღვლოთო. მაგრამ რაც უფრო გამიგრძელდა საუბარი, ტიხონ სტეპანოვიჩს მით უფრო ეღუშებოდა და უჭარხლდებოდა სახე. ჩემი სიტყვის უკანასკნელი, ასე ვთქვათ, კონსტრუქციული ნაწილი ძლივს ამოღერღე, რადგან უკვე მოსაუბრე კი არა, მხოლოდ მსმენელი მეჯდა წინ. თუმცა მსმენელიც კი არა, არამედ თანამდებობის პირი, მისთვის რომ ფრიად არასასიამოვნო თხოვნას ისმენს.

— რაც მოხდა, მოხდა, ტიხონ სტეპანოვიჩ, უკვე აღარაფერი ეშველება. მხოლოდ იმას გთხოვთ, მღვდელს ნუ დასჯით, მე მოვატყუე, ის კი მენდო. დამნაშავე მხოლოდ მე გახლავართ, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ასე მკაცრად იდგა ეს საკითხი.

— ეს რა ჩაიდინე! — ძალზე შეწუხდა ტიხონ სტეპანოვიჩი, როცა ამბავი დავასრულე, და ჩვეულების მიხედვით აპარატისკენ გადაიწია.

ის იყო საჭირო კლავიშზე უნდა დაეჭირა თითი, რომ გადაიფიქრა და ტელეფონის მილი აიღო. ამის ახსნა მხოლოდ ერთით შეიძლებოდა: არ უნდოდა, ორივე მხარის ლაპარაკი მომესმინა.

— ალექსანდრ ივანოვიჩია? გამარჯობათ...

მაშასადამე, აღმასკომთან არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეთა რწმუნებულს დაუკავშირდა, თუმცა ეტყობა, მაინც ოდხავ დაშორებულს, თორემ ტიხონ სტეპანოვიჩს ასე ფრთხილი და შემკითხველი კილო კი არ ექნებოდა, არამედ უფრო მტკიცე და განმკარგულებელი.

— აბა, როგორ გაქვთ საეკლესიო ფრონტზე საქმე? წესრიგია? გასაგებია... მინდა, ერთი საქმე გთხოვოთ. მითხარით, როგორ მოექცეოდით მღვდელს, მეორე სოფელში დაკრძალვაზე რომ წასულიყო? რომ ეთხოვათ და, ვთქვათ, ისიც წასულიყო. გადაჭრით აკრძალულია? ჰოო, მრევლს დაატოვებინებდით? ჰოო. მეც ვიცი, არ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ, ვთქვათ, და მოხდა?.. ჰოო... მაშასადამე, ყველანაირი ღვთისმსახურება ღია ცისქვეშ? ჰოო. ყველგან, მთელ ჩვენს ქვეყანაში?... მესმის, მესმის.

ტიხონ სტეპანოვიჩს ტელეფონით ასე არასდროს ულაპარაკია, არასდროს ჩაუკითხავს ან გაუმეორებია მოსაუბრის ნათქვამი, თითქოსდა ყურს აკლია, ანდა ერთბაშად ვერ ჩახვდაო, თუ რა უთხრეს. ყოველთვის უხმოდ უსმენს ხოლმე და მერე ბითითებებს აძლევს. ახლა კი ჩემს გასაჭირონად იმეორებდა ალექსანდრე ივანოვიჩის ზოგიერთ სიტყვებს, რათა მეგრძნო, რა სისულელე და უპასუხისმგებლობა ჩავიდინე და ჩემს დანაშაულს მივმხვდარიყავი.

მიგხვდი კიდევაც. მიუხედავად ამისა, ის ფიქრი, რომ მოსახდენი [illegible] ვერავითარი ალექსანდრ ივანოვიჩი, რამდენიც არ ილანძღოს ტელეფონში, ვეღარაფერს გახდება, გულს სიმშვიდითა და სიხარულით მივსებდა. ანაზდად ვიგრძენი, ამ სამწუხარო დღეებში რამდენჯერ გავიხარე კაცმა. გავიხარე მაშინ, როცა მოვახერხე კუბოს ყიდვა. გავიხარე მაშინ, როცა კაცი მოვძებნე, კუბოს თუთიით შემომჭედველი, მოვძებნე მრჩილავიც. გავიხარე მაშინ, როცა თვითმფრინავით შევძელი კუბოს წამოღება. გავიხარე მაშინ, როცა მამა სერგეი დავითანხმე, დაკრძალვაზე წამომყოლოდა. აგერ ახლაც გავიხარე. ეს სიხარული ჩემი საკუთარი თავის გამო იყო, რაკი დავიდარაბას გადავრჩი. ეს უკანასკნელი გახარება კი სტეპანიდა ივანოვნას გამოა. და ეს მისი მშვიდი, წმინდა სიხარულია.

ამასობაში ტიხონ სტეპანოვიჩი ლაპარაკს განაგრძობდა:

— სახლში? ალბათ სახლშიაც აუგო წესი. ხალხი? ალბათ მთელი სოფელი. ღამე ხომ არ დამარხავდნენ. კოლმეურნეობის პარტკომი სად იყო? არ გჯერათ, ბგონია, გეხუმრებიან? ახლა კი მე მომისმინეთ, ალექსანდრ ივანოვიჩ. სოფელ სნეგირევოში მღვდელი რომ გყავს (მე კითხვის თვალით შემომაცქერდა)... მამა სერგეი თუ რა ჰქვია... ჰო, დიახ, ეგ მღვდელი გუშინ ოლეპინოში წაუყვანიათ დაკრძალვაზე. ჯერ შინ აუგო წესი. მერე სასაფლაომდეც გაჰყვა და საფლავზედაც აუგო წესი. ისევ „შეუძლებელია მომხდარიყოო!“ მოხდა-მეთქი. ჰოდა, აი, რას გეტყვით. ხომ იცით, ოლეპინოში რომ მწერალი ცხოვრობს? აჰ, იცნობთ კიდეც? მით უკეთესი. მან გუშინ თავისი დედა, სტეპანიდა ივანოვნა დაასაფლავა და დასაფლავებაზე ის... ჯანდაბას მაგის თავი... ის მამა სერგეი ჩაიყვანა. არა, ვლადიმირ ალექსეევიჩის დასჯა ჩვენ არ შეგვიძლია. მოსკოვში მაგას თავისი უფროსობა ჰყავს — მწერალთა კავშირი და უჩვენოდაც გაარკვევენ ყველაფერს. გარდა ამისა, დედას ანდერძი დაუტოვებია: ჩემს დაკრძალვაზე მღვდელი მოიყვანეთო. და შვილმაც უკანასკნელი ნება-სურვილი შეუსრულა. არა, მომისმინეთ, მომისმინეთ. ჩვენი აზრით, ეს, რა თქმა უნდა, უმსგავსობაა, მაგრამ ხომ იცით, მწერლებს... ვლადიმირ ალექსეევიჩს მისთვის უთქვამს, რომ ჩვენი ნებართვა აქვს, ვინაიდან დრო არ ითმენდა. საერთოდ, ცხადია, უმსგავსობაა. ჰოდა, ჩემი პირადი თხოვნა გახლავთ: იმ მღვდელს მეტისმეტად მკაცრად ნუ დასჯით და მრევლს ნუ წაართმევთ, საყვედური ან შენიშვნა მიეცით. არ ვიცი, როგორ იქცევით ამ შემთხვევაში. ეს ჩემი პირადი თხოვნაა. ვლადიმირ ალექსეევიჩი ახლა ჩემთანაა, სალამს გითვლით. ჰოდა, ასე. აბა, კარგად იყავი, მე მოვრჩი.

ტიხონ სტეპანოვიჩმა ყურმილი დადო.

— როგორც გამონაკლისი, ისე მოვაგვარეთ. ოღონდ თუ კიდევ...

— კიდევ აღარ იქნება, ტიხონ სტეპანოვიჩ! დედა მე ერთი მყავდა, სტეპანიდა ივანოვნა. გუშინ დავმარხე...

— ჰოო, ეს უკვე გადავამლაშე. მაპატიე, კოსიცინი დიდი ხანია არ გინახავს? როგორ არის? სათევზაოდ ხომ არ წავსულიყავით, ჰა?

თარგმნა **რუსუდან ჟვანიასაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კეიზაჟი

შოთა ჩლაიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა









გიორგი ალექსი—მესხიშვილი

დეკორატიული მოტივები.







ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ-კარლოსი და სხვა...

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა დადგა ვერდის ოპერა „დონ კარლოსი“. სპექტაკლმა მაღალ მხატვრულ დონეზე ჩაიარა და მუსიკის მოყვარულებს კიდევ ერთი სიხარული განაცდევინა. წამყვან პარტიებს ასრულებდნენ ჩვენი დროის გამოჩენილი მომღერლები პაატა ბურჭულაძე, მარგო თომაძე, ელდარ გეწაძე. ხოლო ალეკო ხომერიკისათვის დონ კარლოსის პარტია რიგით მეთექვსმეტე გახლდათ.

საქართველოს სახალხო არტისტმა, საერთაშორისო და კომკავშირის პრემიების ლაურეატმა ალეკო ხომერიკმა თავისი მუსიკალური ცხოვრება დაიწყო ბათუმის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ადილაში“. ანსამბლს მაშინ ხელმძღვანელობდა ანზორ თავბერიძე. შემდეგ მეათე მუსიკალური სასწავლებელი აქვე, ბათუმშივე. ვოკალური ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლა პედაგოგ მურმან მახარაძის ხელისშეწყობით. სწავლის პერიოდში სოლომონ ლაფაურის მიერ მოწყობილი სატელევიზიო გადაცემა დამწყები მომღერლებისათვის.

ალეკო ხომერიკმა აქ იმღერა დიმიტრი არაყიშვილის „ურმული“. მისი ხმა და ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩა კონსერვატორიის პროფესორს გ. გოგიჩაძეს და აი, სწორედ მან შემდგომში დიდი როლი ითამაშა ხომერიკის, როგორც მომღერლის ჩამოყალიბებაში.

იწყება კონსერვატორიის წლები. პროფესორ გოგიჩაძის კლასი. ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში ირიცხება. სადებიუტო სპექტაკლი ახლად აღდგენილ თეატრში. უკვდავი „აბესალომ და ეთერი“. აბესალომის ურთულესი პარტია. დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორი გიზო ჟორდანია, მხატვარი მამია მალაზონია.

გამოჩენილი ქართველი ტენორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე სპექტაკლის მზადების პერიოდში ისმენს მის აბესალომს და ულოცავს გზას. იმ დღიდან მოკიდებული მან ჩვენი ოპერის სცენაზე თხუთმეტი წამყვანი პარტია იმღერა. მათგან ვერდის „აიდასა“ და „რიგოლეტოში“ სალამური და ჰერცოგი, ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“ მალხაზი, ლაღიძის „ლელაში“ ბერდო, პუჩინის „ტოსკაში“ კავარადოსი, ბიზეს „კარმენში“ დონ ხოზე, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“ ლენსკი...

იტალიაში ორწლიანი სტაჟირების შემდეგ მიწვეული იყო რუმინეთში, სადაც წამყვანი პარტიები იმღერა ისეთი გამოჩენილი მომღერლების გვერდით, როგორიცაა ნიკოლაია ზერლია და ელენე ჩერნეი.

კიდევ კოტაოდენი დრო და ჩეხოსლოვაკიაშია, მუსიკის ფესტივალზე. პრაღის ნაციონალურ თეატრში კავარადოსის პარტიას მღერის. დიდი თეატრის სცენაზე მაყვალა ქასრაშვილთან ერთად იმღერა „ტოსკაში“. ამ სპექტაკლში დიდი წარმატება ხვდა წილად.

გამოჩენილმა რუმინელმა პოეტმა ქალმა აცნა დიაკლესკუმ ჟურნალ „თეატრში“ გამოაქვეყნა სტატია ალეკო ხომერიკის შესახებ.

— მომღერალი ძალიან ლამაზი და თბილი ტემბრით გვხიბლავს, — წერს იგი. — მასში შესისხლხორცებულია თამაში და სიმღერა. მაყურებელს გულთან მიაქვს მისი თითოეული ბგერა. „ტრუბადურში“ მისი მანრიკო არაჩვეულებრივად მომხიბლავია. ჩანჩქერივით მორაკრაკე ვაკაცურმა ხმამ გაავსო მთელი დარბაზი. მღერის მთელი არსებით, იწვის და განიცდის სისხლითა და ხორცით. უსმენ დ მთელი სხეული გიამდება. ჩქეფს ისეთი ლამაზი ტემბრი, ტენორს რომ სჭირდება. იგი ნამდვილი აღმოჩენაა რუმინელი მსმენელისათვის. ამიტომაა სპექტაკლების მსვლელობის დროს დიდხანს რომ არ წყდება ოვაციები. ასეთი აღიარება ბუქარესტის განთქმულ თეატრში ალბათ დიდ შემსრულებლებს თუ რგებიათ წილად...

სასიხარულოა რუმინელი მსმენელის ასეთი თბილი და კეთილი დამოკიდებულება ჩვენი თანამემამულის ხელოვნების მიმართ. მართლაც, დონ კარლოსი და სხვა, ალეკო ხომერიკის შესანიშნავად ნამღერი პარტიებია. წინ კიდევ დიდი შემოქმედებითი გზაა და უეჭველია, ამ გზაზე კვლავაც გაბედულად ივლის გამოჩენილი ქართველი მომღერალი.

ოთარ ფირცხალავა.

როგორ გახდა აკადემიკოსი

საფრანგეთის აკადემიაში რომ აერჩიათ, ალფრედ დე მიუსეს ერთ-ერთი ცნობილი აკადემიკოსი უნდა ენახა. აკადემიკოსი პარიზის გარეუბანში, ერთ ლამაზ, ბაღჩა-ბაღიან სახლში ცხოვრობდა.

მიუსე მასთან მივიდა. ეზოში ძაღლი შემოხვდა. ძაღლი თავისი კეთილგანწყობილების გამოსახატავად, ლაქუცით შეეგება პოეტს. იმდენი ჰქნა, გვერდიდან აღარ მოშორდა. აედევნა და პირდაპირ სახლში შეუძღვა.

დაინახა აკადემიკოსმა მიუსე ძაღლთან ერთად შემოსული, გაოცდა და შეწუხებულმა გადახედა ოთხფეხა ცხოველს, რომელსაც უკვე მოესწრო სალონის ლამაზ, სუფთა სავარძელში მოკალთება.

გაიმართა საუბარი პოეტსა და აკადემიკოსს შორის. აკადემიკოსის ცივი ტონი არავითარ იმედს არ იძლეოდა მისი მოსვლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

სადილობის დრომაც მოაღწია. მასპინძელმა სტუმარი სუფრასთან მიიწვია. პოეტი მაგიდას მიუჯდა თუ არა, ძაღლმაც მიბაძა და თავისუფალ სკამზე მოთავსდა. როგორც კი ძაღლმა თეფშიდან მიუსეს ხორცის ნაჭერი აართვა, მასპინძელმა ვეღარ მოითმინა და უთხრა:

— ხომ ვერ გაუშვებდით თქვენს ძაღლს ცოტა ხნით გარეთ? მგონი უხერხულ მდგომარეობაში გაყენებთ.

— ჩემი ძაღლი?.. ჩემი არ არის, პირიქით, მე მგონია, თქვენია...

ორივეს სიცილი წასკდა. აკადემიკოსი, რომელიც ამ ინციდენტმა მხიარულ გუნებაზე დააყენა, დაპირდა პოეტს, რომ ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართებოდა.

ვითომ ძაღლის წყალობაა ის, რომ ალფრედ დე მიუსე აკადემიაში აირჩიეს?!

კეთილშობილური სარფიანი საქმე

სამი ხელოვანი საუბრობდა. მოშივდათ. შიმშილის გრძნობა რომ გაექარწყლებინათ, კერძებზე დაიწყეს ლაპარაკი.

— მომისმინეთ, — ამბობს ერთ-ერთი მათგანი. — ასეთი საუბარი უფრო გვაღიზიანებს. მოდით, სადილის საფასურზე ვიფიქროთ. იქნებ, რაიმე რომანსი შეგვექმნა. ა, თქვენ რას იტყვით?

— მშვენიერი აზრია, — ერთად წამოიძახა ორივემ, და საქმეს შეუდგნენ.

დაიწყეს სიმღერის შეთხზვა. ერთმა ტექსტი დაწერა. მეორემ სასწრაფოდ ნოტზე გადაიტანა, ხოლო მესამემ იმღერა.

სამივე ხელოვანი ერთ-ერთ გამომცემელთან მივიდა:

— ბატონო, — ეუბნება გამომცემელს ის, ვისაც პირველს დაებადა სიმღერის შექმნის იდეა. — ნება მომეცით, გიმღეროთ ახალი რომანსი და დაიწყო.

გამომცემელს ძალიან მოეწონა ტექსტიც, მუსიკაცა და მომღერალიც.

— ვინა ხართ, რა გქვიათ, — იკითხა.

— იპოლიტე მონპუ გახლავართ.

— აი რა, ბატონო მონპუ, მე შევისყიდი თქვენს რომანსს.

— ამ რომანსს, ჩემო ბატონო, სამი ავტორი ჰყავს. აი ეს, ალფრედ დე მიუსე, ტექსტის ავტორია. ეს კი მუსიკოსია, მუსიკა ამის დაწერილია. მე კი, თავადაც ხვდებით, მომღერალი ვარ.

— კარგი, კარგი, რამდენს ითხოვთ სულ ამ სიმღერაში?

— თხუთმეტ ფრანკს.

გამომცემელმა თანხა უყოყმანოდ გადაიხადა. სამთავემ, გახარებულებმა, რესტორნისკენ გასწიეს.

ახარებდათ იმაზე ფიქრი, რომ ძალზე კეთილშობილური საქმე გააკეთეს, თანაც სარფიანი. მაგრამ უფრო მეტი სარფი და სარგებელი ამ საქმიდან გამომცემელს ერგო: ის რომანსი გახლდათ ცნობილი „ანდალუზია“, რომელიც ისეთი პოპულარული გახდა, რომ გამომცემელს ორმოცი ათასი ფრანკი მოგება მოუტანა.

ფრანგულიდან თარგმნა **იონა ბადავიძემ.**

ლაზარეს უჯლა

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მოთხრობა

თბილისში დავბრუნდი. ხშირად ვფიქრობდი ლაზარეს შესახებ... მაინტერესებდა, თუ როგორ გაგრძელდა და დასრულდა, თვითმკვლელობის იდეაფიქსით შეპყრობილი კაცის სიცოცხლე. ვისთვის მიმეკითხა? მისი თანადროული ადამიანები აღარც იყვნენ ამქვეყნად. ლაზარეს ორ დათაგან, როგორც ვიცოდი, ერთი იტალიაში გათხოვდა და იმის შვილებსა და შვილიშვილებს ახლა რა მონახავდა. ვერც თელავში გათხოვილი დის ნაშიერთა კვალს მივაგენი. ლაზარეს პირველი და მეორე ცოლის გვარსახელები, ქალბატონ გოგუცასათვის არ მიკითხავს და ახლა, რომც დამეზუსტებინა, რა? მერე კიდევ უნდა ვამეგო მათი მომდევნო ქმრების გვარსახელებიც და იმათი ნაშიერები მეძებნა, ესე იგი, ლაზარეს გერები და გერიშვილები, რომლებსაც მის შესახებ არამცთუ არაფერი ეცოდინებოდათ, არამედ შეიძლება, საერთოდ მისი არსებობა გაგონილიც კი არ ჰქონდათ. ბატონ ლაზარეს მესამე ცოლი — ქალბატონი გაიანე ჰელიბეკიანი. იქნებ მას დარჩა შთამომავლები?

მეიდანში, მეტეხის უბანსა და ავლაბარში, მივიკითხ-მოვიკითხე. თავის დროზე თბილისში იყო-მეთქი ერთი მდიდარი კაცი, ხალიჩებით მოვაჭრე ვინმე ჰელიბეკიანი და იმისიანი თუა ვინმე დღესდღეობით დარჩენილი, ხომ არ იცით-თქო?! მომანახინეს, მეტეხ-ავლაბრის მიჯნაზე, ძველებური სამსართულიანი, აგურით ნაგები სახლი მაჩვენეს, აქ ცხოვრობდნენ ჰელიბეკიანებიო...

ჩემი მასპინძელი აღმოჩნდა ქალბატონი გაიანე, ოთხმოც წელს მიტანებული მანდილოსანი, სეხნია და ძმისწული, ლაზარეს აწ გარდაცვლილი მეუღლისა. გაიანეს მივესალმე, გამოვეცნაურე და მისვლის მიზეზი მოვახსენე.

მან ასე მიპასუხა:

— ბატონი ლაზარე?! როგორ არ გამიგია, არამცთუ გამიგია, პირადად ვიცნობდი. აქ, ამ სახლში, ხშირად შევხვედრივარ. ცხონებული მამიდაჩემის მეუღლე გახლდათ.

მამიდაჩემი ულამაზესი ქალი ბრძანდებოდა. ამაში თვითონვე დარწმუნდებით, ამ ძველ ფოტოალბომს რომ დაათვალიერებთ... მამიდას ეშხსა და მომხიბვლელობაზე, მისი ქმრების სიაც მოწმობს.

ამ საკითხზე, მე ჩემი თვალსაზრისი მაქვს, რომელსაც, რა თქმა უნდა, სხვებს თავზე ვერ მოვახვევ, მაგრამ უნდა გაგიზიაროთ კი. ზოგი ქალი ერთხელაც არ თხოვდება და ასეთთა შორის ლამაზი გარეგნობის ქალებიც არიან. ზოგი კი, იმ ერთ გათხოვებასაც ვაი-ვაგლახით და ხანდახან სულაც უკადრისი საშუალებებით აღწევს. ეს, რა თქმა უნდა, უმრავლესობას არ ეხება. დაოჯახებულთაგან კი რამდენია, რომ უკმაყოფილოა თავისი იღბლით, მაგრამ იმ მრავალრიცხოვან უიღბლოთა უმეტესობას ქმართან გაყრა მაინც არ უნდა და იცით, რატომ? შეიძლება მითხრათ, შვილების გულისთვისო და მეც ნაწილობრივ დაგეთანხმებით, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. არის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც: ის ქალები ქვეცნობიერად ხვდებიან, რომ მომდევნო მთხოვნელი მათ აღარც გამოუჩნდებათ და ეს ამუხრუჭებთ... მაგრამ მამიდაჩემი სხვა დონისა და გაქანების ქალი გახლდათ. გათხოვების პრობლემა მის წინაშე არასდროს მდგარა. ბუნებამ მას იშვიათი სილამაზე უბოძა და იმ სილამაზის ლაზათიანად გამოყენების ნიჭიც არ მოაკლო...

მამიდა დაბადებული იყო ათას რვაას სამოცდახუთ წელს. ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, ასეთი სიზუსტით მისი დაბადების წელი იმიტომ მახსოვს, რომ მამიდა და მე, ჯერ ერთი ზუსტად ერთი და იგივე თვესა და რიცხვში ვართ დაბადებული და თანაც მე მასზე ოცდათექვსმეტი (სამჯერ ორმეტი) წლით უმცროსი ვარ. ასე რომ, ასტროლოგიური კალენდრიდან, [illegible] როგორც ახლა ამტკიცებენ, [illegible] ხასიათზე საკმაო გავლენას ახდენს, მამიდაჩემი და მე, ორივენი, დავიბადეთ „ხარის წელიწადს“ და თანაც, ორივენი, „სასწორის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ“... თანაც მე, მის საპატივცემულოდ მისივე სახელი დამარქვეს და ვინაიდან მამიდა გაიანეს შვილები არ დარჩენია, შემიძლია ვთქვა, რომ საკუთარი თავის მერე, ყველაზე უფრო მე ვუყვარდი. ის, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მემეგობრებოდა კიდეც და საკმაოდ გულახდილიც იყო, როცა ჩვენ მარტოკა ვსაუბრობდით.

მამიდა სამჯერ იყო გათხოვილი. მისი სამივე ქმარი კარგი ოჯახიშვილები გახლდნენ. პირველი ქმარი, თურმე თავიდანვე ვერ იგუა მამიდამ და სწრაფადაც გაუშვა... მეორე ქმართან ორი შვილი ჰყოლია და ორივენი, ერთიმეორის მიყოლებით, ოთხი-ხუთი წლის ასაკში გარდაცვლილან. ცოტა ხანში მამიდა და მისი მეორე ქმარი გაყრილან კიდეც... მესამე ქმარი კი სწორედ ბატონი ლაზარე იყო, თქვენ ვინც გაინტერესებთ. მანამდის მას ორი ცოლი ჰყოლია და როგორც მამიდაჩემიდან გამიგია, ორივენი გარიგებით თუ სულაც იძულებით შეართვევინეს. შვილები არც იმათთან ჰყავდა ლაზარეს და არც მამიდაჩემთან. ლაზარე და მამიდაჩემი იმერეთში ცხოვრობდნენ, ლაზარეს მამაპაპეული კარმიდამოში, სანამ ლაზარე გადაიკარგებოდა. ეს ამბავი, თუ არ ვცდები, ცხრაას ცამეტში მოხდა და მამიდა თბილისში დაბრუნდა.

ეს სამსართულიანი სახლი, მაშინ მთლიანად ჩვენი იყო, ბაბუაჩემის—ვაჭარ ჰელიბეკიანის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. მესამე სართული მამიდას ეკავა. ლაზარეს გადაკარგვის თაობაზე საუბარი მამიდას არ უყვარდა და არც არავის აბედვინებდა ამაზე სიტყვის ჩამოგდებას. მამიდა ხშირად ჩამოდიოდა ქვედა სართულებზე, მაგრამ თვითონ მასთან კი, მესამე სართულზე, შინამოსამსახურეთა გარდა, ოჯახის წევრთაგან მხოლოდ მე მქონდა ნება დაუკითხავად და თავისუფლად ასვლისა. საერთო კიბის გარდა, მაშინ სახლს კიდევ ერთი დახვეული კიბე ჰქონდა მოდგმული, მხოლოდ მესამე სართულზე ასასვლელი. პირად სტუმრებს მამიდა იმ კიბით იღებდა.

მამიდა იმერეთიდან თბილისში წელიწად-ნახევრის დაბრუნებული იყო. სუფსარქისის დღესასწაულზე მამიდა და მე მეიდნის უბანში ჩავედით, სამღვბროს ქუჩაზე რომ სომხური ეკლესიაა, იქ, საზეიმო წირვას დავესწარით. მაშინ მეთოთხმეტე წელიწადში ვიყავი, მამიდა კი უკვე ორმოცდაათს იყო მიტანებული. ეკლესიიდან სახლში რომ ვბრუნდებოდით, გზაზე ერთი ჩემთვის უცნობი კაცი გადაგვიდგა, მამიდას მიესალმა და გამოელაპარაკა. ის კაცი მამიდას თამამად და თავისუფლად ელაპარაკებოდა, კარგი ძველი ნაცნობივით და ეს ცოტა გამიკვირდა კიდეც. იმ კაცმა მამიდას უთხრა:

— გაიანე, თითქმის ორი წელიწადი კახეთში დავყავი, ერთ-ერთ მონასტერში ვცხოვრობდი, ბერებთან ერთად. იქიდანაც წამოვედი. ხოლო განდეგილად წასვლასა და ცხოვრებას რომ ძალა და უნარი უნდა, საიმისო ძალა და უნარი თავის დროზე არ გამოვიმუშავე და ახლა რაღა დროსია, განდეგილობას ვერ შევძლებ...

დასასრული. დასაწყისი იხ. „დროშა“ № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ის კაცი სწორედ ბატონი ლაზარე აღმოჩნდა. იმ დღიდან განახლდა მათი ურთიერთობა.

მამიდასთან მისასვლელად, იგი მხოლოდ იმ დახვეული კიბით სარგებლობდა და, ასე რომ, ჩვენი ოჯახის წევრებს საერთოდ არ ხვდებოდა. ხოლო ეს კაცი. რომ მამიდას გადაკარგული მესამე ქმარი ლაზარე იყო, მხოლოდ მე ვიცოდი და ამ საიდუმლოს პირნათლად ვინახავდი მთელი სამი წლის განმავლობაში, ვიდრე ის აქ დადიოდა.

ჭაღარათმიანი და ოქროსფერ წვერმოშვებული, მოკაუჭებულცხვირიანი, მუდამ ჩოხაში გამოწკეპილი აზნაური ერთობ კარგი შესახედავი იყო.

სხვათა შორის, მამიდას შემორჩა ლაზარეს კუთვნილი ერთი ქართული ნაბეჭდი წიგნი, რომელშიც მრავლადაა თვით წიგნის პატრონის მინაწერები. ის წიგნი თავის დროზე იმავე ძველ ფოტოალბომში ჩავდე და დღემდე შემოვინახე. შემიძლია, გათხოვოთ, — ქალბატონმა გაიანემ ფოტოალბომზე მიმითითა.

მე ალბომი მივაწოდე. ქალბატონი გაიანე ფოტოალბომს სევდიანად დააცქერდა და იქიდან ამოიღო გაყვითლებული პატარა წიგნი—„კითხვანი აღსარებასა ზედა...“, გამოცემული ტფილისში, 1899 წელს.

ქალბატონ გაიანეს წიგნი გამოვართვი, მონათხრობისათვის მადლობა მოვახსენე და დავპირდი, რამდენიმე დღეში კიდევ ერთხელ გესტუმრებით და წიგნსაც მაშინ დაგიბრუნებთ-თქო.

ბატონ ლაზარეს კუთვნილი წიგნის სათაური ასეთი იყო: „კითხვანი აღსარებასა ზედა და სახელმძღვანელოსაებრ სამღვთო სჯულის ათის მცნებისა, სახარების ცხრა მცნებისავე, მფკლე სამოძღვრო დარიგებით მონანულისა, თვითოეულ მის მიერ აღსარებულ ცოდვის შემდეგ“.

წიგნი სამ ნაწილად არის დაყოფილი და სულ სამოცდათორმეტ კითხვას შეიცავს. კითხვებს თან ახლავს შესაბამისი ახსნა-განმარტებები და დამოძღვრა-დარიგებები. ბევრგან ჩალაგებულია, ანდა სულაც ჩაწებებული ლაზარეს ხელით დაწერილი პასუხები. ზოგან კი წიგნისვე ფურცლების თავისუფალ კიდეებზეა მიწერილი. მთელი რიგი კითხვების გასწვრივ ლაზარეს ჯვრები დაუსვამს, ეტყობა, იმ საკითხებში ის თავს ცოდვილად არ მიიჩნევდა.

ლაზარეს გულწრფელი აღსარებისეული პასუხები სიტყვასიტყვით ამოვიწერე. ღრმად მონანიე ქრისტიანი ადამიანის ცოდვილი სულის გოდება პირადად ჩემთვის მეტად მახლობელი და გასაგები აღმოჩნდა და ბევრი საფიქრალიც გამიჩინა... თუმცა, აქვე დავძენ, რომ არ ვაპირებ, ლაზარეს მიერ ოდესღაც დაწერილი აღსარებით მკითხველს თავი ზედმეტად შევაწყინო. სჯობს ამბავს მივყვეთ.

●

ორი კვირის შემდეგ ქალბატონ გაიანეს ვესტუმრე. მან ბატონ ლაზარეს წიგნი დაიბრუნა და ისევ ფოტოალბომში შეინახა. მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— ბატონი ლაზარე ამ სახლში მამიდა-ჩემთან სამი წლის განმავლობაში მოდიოდა და საკმაოდ ხშირადაც. თუმცა სისტემატურად აქ არ ცხოვრობდა. იმხანად ლაზარე მსახურობდა, როგორც მებაღე-დეკორატორი. მან გააშენა სკვერ-ბაღები სიონის ტაძრის, ქაშუეთის საყდრის, „სობოროსა“ და სხვა იმდროინდელ საეკლესიო ნაგებობათა გარშემო, თბილისსა და მის მახლობელ ადგილებში.

თბილისის შორიახლოს ერთ ადგილას, რომლის სახელი ახლა აღარ მახსენდება, ძველებური სამონასტრო კომპლექსი იყო და იქვე, საქართველოს კათოლიკოსის რეზიდენცია-აგარაკი ყოფილა. ცხრაასთვრამეტი წლის ზაფხულში ბატონი ლაზარე სწორედ იქ მუშაობდა... ერთ დღესაც საყდარში ყაჩაღები შეჭრილან და მხცოვანი კათოლიკოსი ხანჯლებით დაუკლავთ. მისი ერთგული მებაღე ლაზარეც მასთან ერთად დაღუპულა.

კათოლიკოსი თბილისში დაკრძალეს, სიონის ტაძარში.

ლაზარეს შესახებ მამიდამ იზრუნა. იქვე, სადაც დაიღუპა, იმ საყდრის ეზოში დაკრძალვინა, საფლავი გაუკეთა წარწერით, მომვლელიც დაიქირავა და ვიდრე ძალა შესწევდა, დროდადრო ჩადიოდა საფლავის მოსანახულებლად.

მამიდა გაიანე მეტი აღარ გათხოვილა.

ჩვენს ოჯახს რაც შეეხება, რამდენიმე წლის შემდეგ სამსართულიანი სახლიდან მხოლოდ ეს ერთი ოთახიღა შეგვარჩინეს მეორე სართულზე და კიდევ აი, ამ აივნის ქვეშ რომ ახლა ოთახია, ის. უწინ იქ ბაბუაჩემს სულაც საკუჭნაო ჰქონია და რას ვიფიქრებდით, თუ ის საკუჭნაო, მათი ცხოვრების მიწურულს, ბაბუასა და ბებიას საცხოვრებელ ოთახად გადაიქცეოდა, მამაჩემი და დედაჩემი იმხანად უცხოეთში გადაიხვეწნენ, თან ჩემი უმცროსი ძმა წაიყვანეს. მაშინ მთელი ევროპა არეულ-დარეული იყო, ამიტომ ჩემს წაყვანას მოერიდნენ. აქ, მამიდასთან, დამტოვეს და დამიბარეს, რომელიმე ქვეყანაში ფეხს რომ მოვიდგამთ და მკვიდრად დავსახლდებით, მაშინვე შემოგითვლით და ჩამოხვალთ შენ და მამიდა, უდავიდარაბოდო... ისინი ბულგარეთში დასახლდნენ, მაგრამ მათთან ჩასვლა აღარ მოხერხდა. შევრჩით მამიდა და მე ამ სახლში.

მამიდა გაიანე გარდაიცვალა ოცდაათიანი წლების დასაწყისში. დაკრძალულია თბილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. მისგან სახსოვრად დამრჩა ეს მრავალრიცხოვანი ხატები, რომლებიც ერთ დროს გადავმალეთ და ახლა კი, აგერ, ამ კედელზე ჰკიდია.

მე, რაც შემეხება, მამიდა გაიანესავით ეშხიანი და იღბლიანი ქალი ვერ გამოვდექი, ამიტომაც შინაბერად დავრჩი. მალე ოთხმოცი წლის შევსრულდები. ეგაა ოღონდ, რომ ბულგარეთში მცხოვრები, აწ გარდაცვლილი უმცროსი ძმის მრავალრიცხოვანმა შვილებმა და შვილიშვილებმა არ დამკარგეს და არ დამივიწყეს. ისინი ხშირად ჩამოდიან სტუმრად ვიზით, აქ, თბილისში, ჩემთან.

მეტი თქვენთვის საინტერესო მოსაყოლი აღარაფერი მაქვს, სიმართლე გითხრათ, დავიღალე კიდეც... კარგად ბრძანდებოდეთ.

ქალბატონი გაიანე წამოდგა და კარებამდის გამომაცილა.

●

მეექვსე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შუამდინარეთიდან ქართლის სამეფოში ჩამოვიდნენ ასცამეტნი ასურიელ მამანი წინამძღვრობით იოანესი, შემდგომში ზედაზნელად წოდებულისა.

ესენი გახლდნენ განმანათლებელნი ქართლისა და განმწმენდელნი სჯულისა, მაშენებელნი ეკლესიათა, მათ ჰქმნეს სასწაული მრავალი, რომელთა განაკვირვნეს ყოველნი ქართველნი.

იმ ათასამეტ ღვთისკურთხეულთა შორის გახლდათ მამა ანტონი. მან თან ჩამოიტანა ქალაქ ედისიდან წამომძღვარებული ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრისა.

თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, იალნის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარე სამოსახლოს, იმ დროში აკრიანი ერქვა. იქ, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, მეფე ვახტანგ გორგასლის თაოსნობით აშენებულ იქნა აკლესია ღვთაებისა, „გუმბათიანი, გარ-ზღუდე ვოდლოსანი, მსგავსი ციხისა, კეთილს შუენიერს ადგილს“.

სწორედ ამ ღვთაების ეკლესიაში მობრძანდა მამა ანტონი და ჰყო იგი მონასტრად. ხოლო თვითონ იქვე მახლობლად დასახლდა და ცხოვრობდა მუნ განმარტოებით, ვიდრე გარდაცვალებამდის. და ეწოდა ამისათვის მამა ანტონს მარტომყოფელი, ხოლო ადგილსა ამას მანამდის აკრიანად წოდებულს დაერქვა მარტყოფი.

დროთა განმავლობაში, მარტყოფში სხვა საეკლესიო ნაგებობებიც აშენდა, მთლიანი სამონასტრო კომპლექსი წარმოიქმნა და აქაურობა მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცა.

მრავალი ისტორიული ავბედობის შემსწრეა მარტყოფი. ნგრევისა და კვლავ შენების, დაცემისა და ხელახლა განახლების უტყვი მოწმენი არიან აქ შემონახული საეკლესიო ნაგებობანი...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და მცხეთის ეპისკოპოსს კირიონ მეორეს უყვარდა მარტყოფში ჩამოსვლა.

უაღრესად საპატიო, თუმცა მეტად რთული ცხოვრებისეული გზა განვლო ღვაწლმოსილმა მამამთავარმა. მძიმე ჯვრის ზიდვა არგუნა მას განგებამ და ღირსეულად იტვირთა კირიონმა ეს ხვედრი.

ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი წლის ათ ნოემბერს — გიორგობა დღეს, გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში იერონიმე სამაგლიშვილის ოჯახში ვაჟი დაიბადა — გიორგი.

თბილისის სასულიერო სასწავლებლისა და კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ოთხმოციანი წლებიდან, გიორგი სამაგლიშვილი პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა; მუშაობდა გორის, ქუთაისის და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში. იმხანად კრებულში „მწყემსი“ გამოქვეყნდა მისი წერილები: „ხასიათი ქართული ეკლესიისა და მისი მნიშვნელობა მართლმადიდებლობისათვის“; „საქართველოს ძველი ტაძრები და მათი მნიშვნელობა“.

ორმოცი წლის ასაკში დიდი პირადი უბედურება დაატყდა თავს. ერთი წლის განმავლობაში გარდაეცვალა მეუღლე და შვილები. მაშინ გიორგი სამაგლიშვილი ბერად აღიკვეცა, ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი გახდა, არქიმანდრიტ კირიონის სახელით.

ქვათახევის მონასტერში ყოფნისას დაწერა და გამოსაცემად მოამზადა შემდეგი შრომები: „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა საკვირველთ-მოქმედისა მარტყოფელისა“; „წმიდა დავით აღმაშენებელი, მეფე ქართველთა“; „ქართულ მონასტერთა და ბერთა ღვაწლი ეკლესიისა და საზოგადოების წინაშე“; „დავით გარეჯელი და მისი ლავრა“; „ისტორია ქართული ეკლესიისა და ეგზარქატისა და მეცხრამეტე საუკუნეში. მოკლე მიმოხილვა“.

ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილი კირიონი აქტიურად ჩაება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში. ამისთვის იგი, ჯერ კიდევ ცხრაას ორ წელს სამშობლოდან გადაასახლეს. თითქმის თხუთმეტი წელიწადი, ეპისკოპოსს კირიონს, საქართველოდან შორს, ჩრდილოეთის ცივ და ნესტიან საყდრებსა და მონასტრებში გაატარებინეს. აქაც არ შეუწყვეტია სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა და გადასახლებაში მყოფმა დაწერა მნიშვნელოვანი შრომა „კულტურული როლი ივერიისა...“

ცხრაას ჩვიდმეტი წლის მარტში ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მოხერხდა. სექტემბერში თბილისში შედგა პირველი საეკლესიო კრება, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთის ეპისკოპოსად კირიონ საძაგლიშვილი აირჩია.

მრავალრიცხოვანი საფიქრალ-საზრუნავი ჰქონდა ახლად ავტოკეფალია აღდგენილი ეკლესიის მამამთავარს. იშვიათად თუ გამოუჩნდებოდა თავისუფალი დრო და მაშინ კირიონ მეორე მარტყოფში მოეშურებოდა, რათა აქ რამდენიმე დღე სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობისთვის დაეთმო.

მარტყოფი. ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქების საგარაკო ადგილი გახლდათ ტრადიციულად. კირიონის მითითებით აგარაკ-რეზიდენციის შენობის რესტავრაცია ხდებოდა. მთავარი ფასადის განახლება თითქმის დასრულებული იყო. ახლა შიდა სამუშაოები მიმდინარეობდა. ასე რომ, ლაზარეს ხელ-ფეხი გაეხსნა, აგარაკის წინა ეზო მის განკარგულებაში აღმოჩნდა. სიყვარულითა და გულმოდგინებით შეუდგა იქ ბაღის გაშენებას. თვითონ გამოთალა მოზრდილი ზომის ხის ჯვარი, ყვავილებით გაამშვენა და ეზოში თვალსაჩინო ადგილას, წყაროს თავის შემაღლებაზე აღმართა. ჭიშკარსა და შენობის მთავარ შესასვლელს შორის გამავალი ბილიკი ლამაზად მოაკირწყლინა და აქეთ-იქით ვარდები დაარგვევინა, ერთ მხარეს სულ თეთრი, მეორე მხარეს კი წითელი ფერისა.

მარტყოფის ღვთაების ეკლესიის შენობას დასავლეთის მხრიდან ორსართულიანი ნაგებობა ეკვროდა. იგი ბერთა სამყოფელს წარმოადგენდა და იმხანად უკვე დაცარიელებული იყო. კირიონი, მარტყოფში ყოფნისას, იმ სამყოფელის ერთ-ერთ სენაკში ცხოვრობდა, გვერდით სენაკში კი მორჩილი სახლობდა.

კათოლიკოსი საღამოს ადრე წვებოდა, მაგრამ დილით უთენია იღვიძებდა და მაშინვე ფეხზე დგებოდა. მორჩილს არც აღვიძებდა და ღვთაების საყდარში შედიოდა მარტოკა სალოცავად...

ნასაუზმევს, აგარაკ-რეზიდენციას მოინახულებდა, მერე მცხეთიდან, თბილისიდან თუ სხვა ეპარქიებიდან ჩამოსულ მღვდელმთავრებსა და მღვდლებს ხვდებოდა და ესაუბრებოდა.

მათ რომ გაისტუმრებდა, ბერთა სამყოფელში ბრუნდებოდა და ხელნაწერებს ჩაუჯდებოდა. ამ დროს კი მართლაც მომთხოვნი იყო მორჩილის მიმართ. კალამი, სამელნე, ფანქარი, საშლელი, სათლელი ყველაფერი თავ-თავის ადგილას უნდა ყოფილიყო დალაგებული მაგიდაზე. იქვე მოვერცხლილ ყდაში ჩასმული ბიბლია იდო. სენაკის კუთხეში, პატარა მაგიდაზე, მუშაობისთვის საჭირო დამხმარე ლიტერატურა და ხელნაწერები ელაგა. იმ მაგიდასთან მორჩილი იჯდა.

კათოლიკოსი, თავდაპირველად დაიჩოქებდა და სამჯერ პირჯვარს გადაიწერდა, მერე რიგრიგობით ეამბორებოდა კედელზე ჩამოკიდებულ ხატებს.

მაგიდას მიუჯდებოდა და წერას შეუდგებოდა.

კირიონ საძაგლიშვილი ქართული ეკლესიის ფუნდამენტური ისტორიის პირველ ტომზე მუშაობდა.

●

ათას ცხრაას თვრამეტი წლის ოცდასამ ივნისს (ახ. სტ.), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, სულთმოფენობის დღესასწაულთან დაკავშირებით კირიონ მეორემ საზეიმო წირვა გადაიხადა.

ორშაბათს კათოლიკოსი მარტყოფში დაბრუნდა.

ოცდაექვს ივნისს, ოთხშაბათს, ჩვეულებისამებრ უთენია გაიღვიძა და ღვთაების საყდარში შებრძანდა.

ის ოთხნი ღამე მოადგნენ იქაურობას. ცხენები იქვე, ხეობაში დატოვეს ხეზე მიბმულნი და ერთი მათგანიც ცხენებთან დარჩა. სამნი ზევით ამოვიდნენ.

ეკლესიის მახლობლად ფიცრული სათავსო იდგა. ლაზარე ღამე იქ იძინებდა. იმ დილით ადრე გაეღვიძა, ხელ-პირს იბანდა და ამ დროს იმ სამს მოჰკრა თვალი. ერთი ეზოში დარჩა, ორნი კი საყდარში შევიდნენ. სალოცავად მოსულთ არ გავდნენ, საკმაოდ უდიერად შეაბიჯეს საყდარში, ისე რომ პირჯვარი არც გადაუწერიათ. სარწმუნოებისა და მითუმეტეს, ეკლესიისადმი გულგრილად, ანდა სულაც მტრულად განწყობილ ადამიანთა რაოდენობა, ჯერ კიდევ წინა, მეცხრამეტე საუკუნის დამლევიდან წლითიწლობით მატულობდა. ასე რომ, იმ სამი კაცის უდიერი შესვლა საყდარში ლაზარეს არც კი გაკვირვებდა, ოღონდ გასაკვირი ის იყო, თუ ასე ადრე რად მოსულიყვნენ ამ განშორებულ ადგილას. ეს გაიფიქრა ლაზარემ, თან ხელპირის დაბანას მორჩა და ამ დროს საყდრიდან ავისმომასწავებელი ხმაური შემოესმა.

ლაზარე ფიცრულში შებრუნდა, ქვეშაგებში შენახული, თავისი განუშორებელი, მოვერცხლილი მაუზერი გამოიღო, მოიმარჯვა და საყდრისაკენ გაიქცა.

თეთრ ოლარში გამოწყობილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე ტრაპეზთან უკვე განგმირული იწვა. გულის არიდან გადმომჩქეფარე თბილი სისხლი წითლად უღებავდა დამაშვრალ მამულიშვილსა და მწყემსმთავარს სპეტაკ ჭაღარასა და შესამოსელს. ორ ყაჩაღთაგან ერთი, გასისხლიანებულ ხანჯალს კათოლიკოსის კაბის ქვედა კიდეზე საგულდაგულოდ ასუფთავებდა. მეორე კი, რომელსაც ერთ ხელში დიდი დანა ეჭირა, მეორე ხელით მიცვალებულს გულზე დაკიდებულ ხატს აგლეჯდა. მკვლელმა ხანჯალი ქარქაში ჩააგო და სახეზე ყაბალახშემოხვეული, გამოსასვლელისაკენ დაიძრა. ლაზარემ საყდრის ზღურბლიდანვე დაუმიზნა ხანჯლოსანს, ესროლა და ადგილზევე მოჰკლა. მერე გარეთ გამოვარდა, სამრეკლოსკენ გაეშურა, ზარები აახმაურა და ისევ საყდრისკენ გამოიქცა.

მეორე ყაჩაღი, ამხანაგის სიკვდილითა თუ ჩადენილი მკვლელობით, ანდა უფრო ორივე ამ ამბით ერთად, დაბნეული და დამფრთხალი, საყდრიდან გამოსვლას აყოვნებდა და სწორედ მისთვის დაბრუნდა უკან ლაზარე. ოღონდ ისინი ხომ სამნი ამოვიდნენ აქ და ის მესამე, რომელიც ეზოში დარჩა, ეზოში, ახლა სათვალავიდან გამორჩა ლაზარეს — და, რადგანაც მაუზერმომარჯვებულმა, ეკლესიის ზღურბლზე ხელახლა შედგა ფეხი, იმწამს მესამემ ეზოდან ზურგში თოფი ესროლა და მაშინვე თავქუდმოგლეჯილმა მოჰკურცხლა კიდეც ისე, რომ თავის ამხანაგს არც კი დაელოდა.

ტყვიამ გულთან, ოდნავ ძირს გაიარა, ფილტვი განგრიტა, ნეკნები შეუნგრია და სხეულშივე ჩარჩა. ლაზარემ დაიკვნესა და ჩაიჩოქა, მაუზერიან მარჯვენა ხელს იდაყვთან მარცხენა ხელი შეაშველა, წონასწორობა და მიზანი რომ არ დაეკარგა. საყდარში დარჩენილი დაფეთებული ყაჩაღი ხაფანგში გამომწყვეულივით გრძნობდა თავს. იარაღი არ ჰქონდა, დანით გზის გაკაფვას კი ვერ ბედავდა. ერთადერთ გასასვლელში ლაზარე იდგა, მართალია დაჭრილი, მაგრამ არაფარხმალდაყრილი. ყაჩაღი გულში თავის ბედ-იღბალს წყევლიდა. ისინი ხომ აქ ერთი „უმწეო“ მონუცის მოსაკლავად მოვიდნენ და ეს არამკითხე მოსარჩლე რომ არ გამოჩენილიყო, უკვე სამშვიდობოზე იქნებოდა გასული.

ლაზარემ ამ დროს იმის გაფიქრებაღა მოასწრო: „კათოლიკოსი უკვე მოკლეს ამათ, ერთ-ერთი მკვლელი მე მოვკალი, მე თვითონაც დაჭრილი ვარ და, ეტყობა, უნდა მოვკვდე და მეორე მკვლელის მოკვლას ახლა რაღა აზრი აქვს... ამათ ყველას, მკვლელებსაც და მათ სულისჩამდგმელებსაც, ადრე თუ გვიან ხომ, იმქვეყნად მეუფე განიკითხავს, დასჯის და გეენაში ჩაფლობს მათ სულებს სამარადჟამოდ... მე კიდევ ჩემი ცოდვებიც მეყოფა ტვირთად, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმერთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი...“

და იმწამს ლაზარემ ცხოვლად იგრძნო, რომ მასაც მოაკითხა იმ დიადმა და გარდაუვალმა, საიდუმლოებრივმა და შიშისმომგვრელმა, სიკვდილს რომ ვეძახით ჩვენ. გულაღმა განერთხა ლაზარე კარიბჭეში, მომაკვდავის მაღლა აპყრობილი თვალები ერთდროულად უცქერდნენ მარტყოფის ღვთაების საყდრის ჭერსაც და უკიდეგანო, საოცრად ლამაზ ცისფერ ზეცასაც. ტკივილის შეგრძნებას არ შეუწუხებია ლაზარე, სწრაფად მიელულა თვალები და განისვენა, გარდაიცვალა.

ზარების ხმით გამოღვიძებულნი, ახლომახლოდან საყდრისკენ მოეშურებოდნენ... პირველად, რაღა თქმა უნდა, კათოლიკოს-პატრიარქის განგმირულ ცხედარს მიხედეს და მოუარეს. მერე მისი ერთგული მებაღის გვამიც გააპატიოსნეს. ყაბალახშემოხვეული მკვლელის გვამი საყდრის გარეთ გამოისროლეს და საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, იქნებ რამე საბუთი ვუპოვოთო. მაგრამ ამაოდ, სახეზეც ვერავინ ამოიცნო, აქაური არ იყო. სხვა ყაჩაღები კი უკვე „სამშვიდობოზე“ იყვნენ გასული...

იმ „უძღებ შვილთა“ ვინაობა, რომლებმაც ფიზიკურად მოსპეს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, ილია ჭავჭავაძის მკვლელთა ვინაობისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხისთვის უცნობი დარჩა.

კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე თბილისის სიონის ტაძარში დაკრძალეს.

მისმა ერთგულმა მებაღემ ლაზარემ კი მარტყოფის ღვთაების ეკლესიის ეზოში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

ფიქრი ნაბეჯი

იური ბონდარევი

სიმდიდრე

ძველ საბერძნეთში ადამიანებს უბრალო ტანსაცმელი ეცვათ. თხის ყველი და ქერის პური ჰყოფნიდათ (ეგრეთ წოდებული სოკრატეს ვახშამი). ცხოვრობდნენ ჩვეულებრივ სახლებში, ყოველგვარი „ტექნოლოგიური ცივილიზაციის“ გარეშე და, მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანაში არა ერთი საუკუნე ჭეშმარიტი კულტურა, ბედნიერება, სიყვარული და სიცოცხლის სიხარული სუფევდა.

კულტურა — ეს სიმდიდრეა, უძვირფასესი განძია, ხალხისა და ხალხების მიერ ათასწლეულთა მანძილზე დაგროვილი. ამიტომ უნდა ვენდოთ მას. მის გაკვეთილებს შეუძლია, თავიდან აგვაცილოს უაზრო ნგრევა და მოდურ კოსტიუმებსა და სინთეტიკულ სიახლეებს ამოფარებული, უცხო მხრიდან შემოსული სნეულებები. თუ მკაცრ ზნეობრივ საბაჟოებს არ მოვუხმეთ, ეგრეთ წოდებული „მასობრივი კულტურის“ საზეიმო რიტმების ქვეშ, ჩვენთანაც შეიძლება უცხო დროება, მახინჯი, უგვანო მიმბაძველობა გაიფურჩქნოს და გაჩნდნენ საკუთარ აზრს მოკლებული ფილოსოფოსები, საკუთარ არქიტექტურას მოკლებული არქიტექტორები, საკუთარ აღმოჩენებსა და იდეებს მოკლებული მეცნიერები და მწერლები.

ყოველი სისტემა ხშირად ანტისისტემის გვერდით დგება.. ამიტომ ალტერნატივა მხოლოდ დანტეს ჯოჯოხეთში არ არსებობს. და როცა კულტურის ბედზე ვფიქრობ, ამ პრაგმატისტულ, ურბანისტულ სინამდვილეზე, სადაც ფული, ურწმუნოება და სიცრუეა გამეფებული, განსაკუთრებული ტკივილითა და სევდით მებადება იგივე „ბავშვური კითხვები“, მაგრამ დოსტოევსკისაგან განსხვავებით. ვინა ხარ შენ, თანამედროვე ადამიანო? დამანგრეველი აჩრდილი ისტორიის გზაჯვარედინზე, თუ შემოქმედი? უკვალო ჩრდილივით წახვალ თუ დატოვებ მხოლოდ მილიონ უდანაშაულო მსხვერპლს, დაუოკებელ სიხარბეს, დატბორილ მინდვრებს, ბეტონის უსახურ ქალაქებს, დამშრალ მდინარეებს, დასახიჩრებულ მიწაზე აღმართულ ნაგვის ზვინებს? რატომ, რად დაივიწყე, ჰომო ფაბერ, შენი დანიშნულება: ქმნა სიკეთისა?

მაშ, „ტექნოლოგიური ცივილიზაცია“ არაა პროგრესი? არ ქმნის, არ სრულყოფს? შეუძლებელია, რომ ყველაფერი, რასაც ის ქმნის და ანვითარებს, შემოქმედება კი არა, პირიქით, პროგრესის მოჩვენებითობა იყოს, ან ჩიხი. და მაინც ეს ასეა, რამეთუ დასავლეთში ადამიანი კი არ არის მთავარი, არამედ ყოვლისშემძლე მბრძანებელი — ოქროს ვერძი. ჩვენში კი ადამიანი, ჩვენი სინამდვილის უსახური და ულმობელი მბრძანებლის — ჩინოვნიკების მიერ მოგონილი მითიური გეგმის ხელშია, რომლის მიღმა არ ჩანს ცხოვრება.

მაშ, რა არის ჭეშმარიტი სიმდიდრე: ადამიანი, თუ ის, რაც მის გარშემოა მოგონილი?

გენიალური ტილო

ეს რა, ინტელექტუალური მოდის უკანასკნელი გამოძახილია? ტილოზე ფერადოვანი ლაქების წასმა? ბოლოს და ბოლოს, ვინ არის კანონმდებელი და სინათლის ღმერთი ხელოვნებაში? იმპრესიონიზმი?

— ჰოო, მისი წითელი ფერი ძალზე მეტყველია. იგი მართლაც რომ იმპრესიონისტია.



— ნება მომეცით, შეგეკამათოთ, რომ არავითარ „იზმს“ არა აქვს კავშირი ჭეშმარიტ ხელოვნებასთან. ფერწერას ფერთა შეხამება უდევს საფუძვლად. და ეს არის მიზეზი მათი ერთმანეთისადმი ლტრლვისა ტილოზე და გვარწმუნებს, რომ ფერი მუდამ ცოცხალია, როცა რუხ ლაქას მწვანე ფონზე რაღაცნაირი ვარდის ფერი გადაჰკრავს...

— ჰოო, სწორედ ფერწერა ამუხრუჭებს სიცოცხლის წამებს.

— არა, ღმერთმანი, მე ამის თქმა არ მინდოდა. ერთხელ, ვენაში, მოცარტის საკონცერტო დარბაზში ბრამსის „გერმანულ რექვიემს“ ვუსმენდი. ცრემლმორეული ვუგდებდი ყურს, ქალთა ციური ხმები როგორ ერწყმოდა მარადიულობას, სიყვარულს, განკითხვასა და შენდობას... და ფერში წარმომიდგა ადამიანური ყოფაცა და სიკვდილიც.

— და გახსოვთ, ეს ფერები?

— არა, რომ დამმახსოვრებოდა, ჭკუიდან შევიშლებოდი!

ნაწილი

ერთხელ განთიადზე ფანჯრის მიღმა მოშრიალე ხეების ხმაურმა გამომაღვიძა. ღვთიური შიშითა და აღტაცებით შეპყრობილმა გავიფიქრე: ჩემამდე, ჩემს გვარში, თუ ვინ იბადებოდა, ვინ კვდებოდა! ვიღაც ხომ ცხოვრობდა, უყვარდა, რაღაცას ელოდა, იტანჯებოდა — ჩემი ახლობელი ან შორეული წინაპარი, ქალი თუ კაცი... დედაჩემის, მამის, პაპის, პაპის პაპის, ბიძების, დების, ძმებისა და სხვათა მხრიდან. ვინც ოდნავ მაინც ნათესაურ კავშირშია ჩემს სისხლთან?

ნუთუ, ეს ყველაფერი ჩემშია თავმოყრილი?

მაშასადამე, უზარმაზარი მთლიანობის ნაწილი ვყოფილვარ, მთელი ჩემი გვარისა, ათასწლეულთა სიღრმეში რომ იკარგება. იქ, სათავესთან, ალბათ იყო ვიღაც ქალი და კაცი, რომელთაც უნდა ვუმადლოდე ჩემს სიცოცხლეს, ჩემს შვილებს, ჩემს იღბლიან თუ სევდიან გზას.

როგორ მინდა, გამოვიცნო, თუ ვინ იყვნენ ეს უცნობები — ვარსკვლავებივით შორეული ქალი და კაცი, რომელთა გარეშეც არარსებობის წყვდიადი არ შეიცვლებოდა ჩემთვის დაბადების შუქით.

თარგმნა **სულხან ჯორჯანელმა.**

ეცხირე ბრიჯა

18704

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

LEBENSERINNERUNGEN



ფირმა „სიმენსი“ 1847 წელს დააარსა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, უნივერსიტეტის სამართლის დოქტორმა, ცნობილმა მეცნიერმა და გამომგონებელმა ვერნერ სიმენსმა. ამუამად მისი ადმინისტრაცია მიუნხენშია. „სიმენსს“ ერთობლივი საწარმოები და წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს უამრავ ქვეყანასთან და ყველაზე მსხვილ ელექტროტექნიკურ ფირმებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს.

ვერნერ სიმენსის, როგორც მეცნიერის, თავდაპირველი აღმოჩენა დაკავშირებული იყო გალვანოპლასტიკასთან, კერძოდ, გალვანური ხერხით მოოქვრასთან და მონიკელებასთან. მერე თავის ძმასთან — ვილიამთან ერთად გამოიგონა ორთქლის ძრავის ინერციული რეგულატორი. სიმენსმა დიდი საგამომგონებლო მუშაობა გასწია ელექტროტექნიკის დარგში. მანვე შექმნა წინააღმდეგობების ვერცხლის წყლის ეტალონი, ეგრეთწოდებული სიმენსის ერთეული...

ვერნერ სიმენსმა გამოიგონა ტელეგრაფის აპარატი, რომელიც ავტომატურად გადასცემდა დეპეშებს პერფორებული ლენტას დახმარებით და, როდესაც საქართველოში დადგა საკითხი პირველი ტელეგრაფის ხაზის გაყვანისა, გრიგოლ ორბელიანმა ურთიერთობა დაამყარა ფირმა „სიმენსთან“. 1858 წელს ბერლინში, „სიმენსის“ სახელოსნოში, დაამზადეს ტელეგრაფის ოთხი აპარატი თბილისი-კოჯრის სატელეგრაფო ხაზისათვის.

გრიგოლ ორბელიანმა დაამტკიცა კონტრაქტი ფირმა „სიმენსთან“ თბილისი-ქუთაისი-ფოთი (განშტოებით ბორჯომისაკენ) სატელეგრაფო ხაზის მშენებლობაზე. კონტრაქტი ითვალისწინებდა არა მარტო ხაზისათვის სათანადო აპარატურის მიწოდებას, არამედ ვერნერ სიმენსის ძმის, ვალტერ სიმენსის საქართველოში ჩამოსვლასაც. მისი ხელმძღვანელობით უნდა გაშვებულიყო აპარატურა. 1860 წელს საქართველოში ამუშავდა ეს პირველი დიდმნიშვნელოვანი სატელეგრაფო ხაზი. ორი წლის შემდეგ მას მოჰყვა კონტრაქტი თბილისი-ვლადიკავკაზი-სტავროპოლის სატელეგრაფო ხაზის მშენებლობაზე.

გრიგოლ ორბელიანის მეცადინეობით დაჩქარდა სტავროპოლსა და ნოვოჩერკასკს შორის ტელეგრაფის ხაზის გაყვანა, რამაც საშუალება მისცა თბილისს, დეპეშები გაეცვალა მოსკოვთან და პეტერბურგთან, რაკი ნოვოჩერკასკს ადრევე ჰქონდა კავშირი ამ ქალაქებთან.

ამგვარად, გრიგოლ ორბელიანის თაოსნობით წამოწყებულ ურთიერთობას ფირმა „სიმენსთან“ მოჰყვა ძალზე მნიშვნელოვანი მაგისტრალური ხაზის ამუშავება. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს და რუსეთს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

შეიქმნა სატელეგრაფო ხაზი თბილისიდან ჯულფასკენ. მასზე გავლით სპარსეთი სატელეგრაფო კავშირს ამყარებს ევროპის ქვეყნებთან.

1870 წელს შევიდა ექსპლუატაციაში მსოფლიოში უდიდესი სახმელეთო სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა — ინდო-ევროპის ტელეგრაფის ხაზი საქართველოს ტერიტორიაზე გავლით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან დღემდე ფირმა „სიმენსი“ აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს ქვეყანასთან. მოსკოვში გახსნილია ფირმის საკუთარი წარმომადგენლობა.

ვერნერ სიმენსმა საქართველოში სამჯერ იმოგზაურა. მისი ორი ძმა ვალტერი და ოტო თბილისში ცხოვრობდნენ და აქ გარდაიცვალნენ. მათ დიდად აფასებდნენ ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები.

ვერნერ სიმენსმა გამოსცა ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნი „ჩემი მოგონებები“. მასში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

პირველი მოგზაურობისას (1865 წელს) იგი წერს: „ბათუმში ჩვენმა გემმა მიაღწია თავისი დანიშნულების ადგილს. აქედან პატარა სანაპირო ორთქლის გემით გავემგზავრეთ უნავსადგურო ფოთამდე. ბათუმს, მართალია, პატარა, მაგრამ საკმაოდ საიმედო და ცუდ ამინდშიაც ადვილად მისადგომი ნავსადგური აქვს და ლამაზ, მთაგორიან, ტყიან ნაპირზეა შეფენილი. ფოთს კი, რომელიც რიონის, ანუ უძველესი ფაზისის პირას არის განლაგებული ფართო, ჭაობიან დაბლობზე, არავითარი ნავთსაყუდელი არ გააჩნია და მხოლოდ პატარა გემსადგომი აქვს, რომელსაც მეჩიჩების გამო გემები გაურბიან. სამჯერ სცადა რუსეთის მთავრობამ საკმაოდ დიდი თანხების გამოყოფით ღრმად ზღვაში შემავალი გემსადგომის აგება, რათა ხომალდებისათვის შესაფარი მიეცა, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ავი ენები იმასაც კი ამბობენ, რომ პირველი, ხის კაშხალი — ჩრჩილებმა, მეორე, ცემენტისა — ზღვის მლაშე წყალმა, ხოლო მესამე, გრანიტისა — გენერლებმა დახრესო. ეს ბოლო მოსაზრება მხოლოდ უკბილო ხუმრობაც რომ იყოს, ქვის კაშხლის მშენებლობა მაინც შეაფერხა საჭირო თანხის უქონლობამ და ნათლად დაანახა რუსეთს, რომ ერთადერთი გამოსადეგარი ნავსადგური შავი ზღვის ამ მიდამოებში — ბათუმი მიეღოთ. ამაზე დიდად იყო დამოკიდებული მთელი კავკასიის პროვინციების საერთოკულტურული განვითარება. მხოლოდ ბათუმის გადაცემა რუსეთისთვის უნაზღაურებდა რუსეთს თურქეთთან ბოლო ომის ხარჯებს.

ფოთში დამხვდა ჩემი ძმა ვალტერი და მისი თანხლებით გავაგრძელე მოგზაურობა თბილისაკენ, რაც, როგორც იმ დროს, ასევე სამი წლის მერეც, კადაბეგში ჩემი მერე მოგზაურობისას, საკმაო სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჯერ ორთქლის გემით ავუყევით რიონს სოფელ ორპირამდე, რომელიც რუსებით, უწვერულვაშო მამაკაცებით იყო დასახლებული, ისინი იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოესახლებინათ.

ერთადერთი საყურადღებო რამ მოგზაურობისას, გარდა იმისა, რომ გემზე სხვადასხვა ეროვნებისა და ენის ხალხი მგზავრობდა, გახლდათ მდინარის ორივე ნაპირზე გადაჭიმული ჭაობიანი ულრანტყეები“.

საქართველოში ვერნერ სიმენსი მეორედ 1868 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა.

განსაკუთრებით აღფრთოვანა გერმანელი მეცნიერი სოხუმმა. შეიძლება ითქვას, მის სქელტანიან წიგნში კავკასიის არც ერთი ქალაქი და ადგილი ისეთი სითბოთი არ არის აღწერილი, როგორც ეს ქალაქი.

ვერნერ სიმენსი აღტაცებულია სოხუმის გეოგრაფიული მდებარეობით და მისი არაჩვეულებრივი ბუნებით.

სოხუმის მთებზე ასულა, ზევიდან გადაუხედავს ქალაქისათვის. „ჩვენ ვტკბებოდით ჩვენს წინ აღმართული თოვლით დაფარული მთებით და წინ გადაშლილი ზღვის სარკისებური ზედაპირის ხილვით, იგონებს იგი. — ციხე-სიმაგრე სოხუმი კავკასიონის მთების ფერდობზე, პატარა, კლდოვან უურის პირას არის შეფენილი. მისი შემოგარენი სამოთხესავით ლამაზია, აღსანიშნავია მცენარეულობა, რომელიც განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს. განმაცვიფრა კიპარისების ხეივნებმა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ჩვენს ყველაზე მაღალ ტყეებს. ხის ტოტები თვით კენწეროდანაც კი მიწამდეა დაშვებული. სამწუხაროდ, ეს მშვენიერი ხეივნები 1877 წლის რუსეთ-თურქეთის ომს შეეწირა“.

ვერნერ სიმენსი ასე აღწერს ქუთაისს: „ორპირიდან ეტლით გავემგზავრეთ ქუთაისამდე, ძველ კოლხიდამდე, რომელიც დიდი და მცირე კავკასიონის ქედების დამაკავშირებელი ერთ-ერთი მთაგრეხილის ფერდობებსა და რიონის ზეგანის საზღვარზე, მშვენიერ, წარმტაც გარემოშია.

ქუთაისს თავზედ მეფურად გადმოჰყურებს ძველხანობიდან განთქმული ტაძარი — გელა-

გერმანელი მეცნიერი საქართველოში

თი, რომელიც ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ძეგლად ითვლება და ძველ დროშივე წმინდად ცნობილ ადგილას არის აშენებული. მეორედ მოგზაურობისას დავათვალიერე იგი და მივხვდი, რომ ჩემი მეგზურისა და მისი ფაშატის გარჯა ჩემს ამოსაყვანად რამოდენიმე ათასი ფუტის სიმაღლეზე ღირდა მიღებულ შთაბეჭდილებად. ახლა მეტწილად ნანგრევებად ქცეული, უმშვენიერეს გადმოსახედზე აღმართული ტაძარი განსაკუთრებით განთქმულია პატარა სამრეკლოთი, რომელიც სხვადასხვა სამშენებლო სტილის გრანიტის ოთხ ბოძზეა დაყრდნობილი. სამრეკლო უძველეს დროში უნდა იყოს აშენებული. კავკასიაში არქიტექტორული ძეგლების ასაკი, არა ისე, როგორც ეს ევროპაში ასწლეულობით, არამედ ათასწლეულობით განისაზღვრება. ეს რიცხვები ბევრად გადაჭარბებულიც რომ იყოს, ყველაფერი, რასაც კავკასიაში ნახავ, მოისმენ, შეხვდები, მიუთითებს იმაზე, რომ კავკასია ადამიანთა კულტურის უძველესი კერაა.

დღეს ქუთაისი რკინიგზის სადგურია და საკმაოდ მოხერხებულად შეიძლება ფოთიდან ან ბათუმიდან თბილისამდე რამოდენიმე დღეში მგზავრობა. იმ დროს კი დიდი ბედნიერება იქნებოდა სურამის გადასასვლელზე გზის არსებობა, რაც ცოტათი მაინც გაგვიადვილებდა მოგზაურობას. სურამის გადასავალზე მგზავრობა არაჩვეულებრივად რომანტიული გამოდგა და ბევრი სიამოვნებაც შემოგვთავაზა. ტყის ქვემო ნაწილში ხშირად იზრდება როდოდენდრონი. იგი ყვავილობისას ულამაზესი სანახავია და ჰაერს მეტად ნაზი დამათრობელი სურნელით ავსებს. თუ კი ამასთან ერთად იმასაც წარმოვიდგენთ, რომ გარშემო პიტალო, ასობით მეტრი სიმაღლის, ალაგ-ალაგ ხავსით დაფარული კლდეებია აღმართული, შეგიძლიათ, დაახლოებით მაინც ეზიაროთ ამ ქვეყნის მშვენიერებას".

და აი, გერმანელი მეცნიერი თბილისშია.

„თბილისი მტკვრის გათხრილ ღრმა კალაპოტის პირად ჩრდილოეთ ციცაბო ფერდობებზეა გაშენებული და ქალაქში ზაფხულობით აუტანელი სიცხეა. ამიტომაც, შეძლებისდაგვარად, თბილისის თითქმის ყოველი მოსახლე ფლობს რამოდენიმე ათასი ფუტით მაღლა მთაზე განლაგებულ საზაფხულო ბინას, რომელსაც ზაფხულობით მხოლოდ ქალაქში საყიდლების შესაძენად თუ სტოვებს.

სინამდვილეში თბილისი შედგება ორი სრულიად განსხვავებული ნაწილებისაგან: ზემო, ევროპული და ქვემო, აზიური უბნებისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან მკაცრი საზღვრებითაა გაყოფილი. ევროპული თბილისი სიამოვნებითა და სიამაყით ეძახის თავს „აზიურ პარიზს", ან იზიარებს ამ სახელს კალკუტას შემდეგ. სინამდვილეში ქალაქი საკმაოდ ევროპულად გამოიყურება და უმეტესად რუსებითა და დასავლეთევროპელებითაა დასახლებული; ამ ნაწილშია მეფის (ნაცვლის) რეზიდენცია, თეატრი და დანარჩენი სახელმწიფო დაწესებულებანი. ქალაქის მეორე ნაწილი თავისი ხედითა და მოსახლეობით მართლაც აზიურია. იმის საფუძველი, თუ რატომ გახდა თბილისი უძველეს დროში კულტურული ცენტრი, ალბათ, განთქმულ აბანოებში უნდა ვეძიოთ, რომელთაც აღმოსავლეთში მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე დასავლეთში".

თბილისით მოხიბლული გერმანელი მეცნიერის ამ წიგნში მოთავსებულია ძველი თბილისის სურათი, მასზე კარგად მოჩანს ნარიყალა და მეტეხის ციხე. ეს სურათი ყველაზე უფრო დიდია წიგნში მოთავსებულ სხვა სურათებთან შედარებით.

კახეთში ვერნერ სიმენსმა იმავე წელს იმოგზაურა. როგორც სიმენსი აღნიშნავს, თბილისიდან იგი თავის ძმასთან, ოტოსთან, ერთად ჯერ „ცარსკოე კოლოცში" ჩავიდა, სადაც ნავთსარეწი წარმოება ჰქონდა მის ფირმას. შემდეგ კი, აი, როგორ აგრძელებს თავის ნაამბობს:

— აქედან ჩვენი გზა მიჰყვებოდა ალაზნის ველზე განლაგებულ და ფართე ზეგანზე შექრილი მთაგრეხილით მტკვრის ხეობისაგან გაყოფილ, ცეცხლოვანი კახური ღვინოებით განთქმულ კახეთს. აქედან არაჩვეულებრივად მოჩანს შავიდან კასპიის ზღვამდე უწყვეტ ჯაჭვად გადაჭიმული კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები. კახეთი ცნობილია, როგორც უძველესი ღვინის კულტურის მხარე და ახლაც ტარდება აქ ზეიმები, რომლებიც რომაულ სურათებს გვაგონებენ. ამ დროს ხალხი მთელი საქართველოდან [illegible] უხვ ზვარაკს უხდის ბახუსს მშვენიერ კახურ ღვინით. სმის დროს აუცილებ[illegible] საერთო ძმობა და მეგობრობა. საერთოდაც აქებენ კახურს, რადგანაც იგი, ვინც მას სვამს, განსაკუთრებული სიცოცხლის ენერგიითაა გამორჩეული...

საქართველოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა გერმანელ მეცნიერს შემდეგი სტრიქონები დააწერინა: „ამ კავკასიაში მოგზაურობას მე მივაკუთვნებ ჩემი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო მოგონებებს. ყოველთვის ვგრძნობდი ფარულ სწრაფვას კაცობრიობის კულტურის ამ უძველესი კერის ნახვისადმი, ხოლო ბოდეშტეტის მიერ წარმტაცი კავკასიური ბუნების ბრწყინვალე ასახვამ ჩემში გამოაღვიძა ზრახვა და სურვილი ამ ადგილების გაცნობისა".

ბოდენშტეტი:

1889 წლის 4 მარტს „ივერიაში" (№ 47) გამოქვეყნდა ინფორმაცია: „გერმანელების უხუცესს პოეტს ფრიდრიხ-მარტინ ბოდენშტეტს სამოცდაათი წელი უსრულდება წელს და იმის ნიჭის თაყვანისმცემელნი, უფრო დიდ-კაცობა გერმანიაში, ხელის-მოწერით ფულს აგროვებენ, რომ რეინის ახლო-მახლო მამული უყიდოს. ფრიდრიხ ბოდენშტეტი ჩვენშიაც იყო ოდესმე; მან დაიარა საქართველო და კავკასია 1845 წელს და რამდენიმე მისი პოეტური თხზულება კავკასიის ცხოვრებიდან არის დაწერილი თავის ნაწერებშიაც და ისე ლაპარაკშიაც დიდის თანაგრძნობით იხსენებს ჩვენს ქვეყანას და სიყვარულით იგონებს ქართველებს.

როგორც ვერნერ სიმენსი წერდა, სწორედ ამ გერმანელი პოეტის ნაწარმოებებმა გაუღვიძა ინტერესი საქართველოსადმი.

ფრიდრიხ ბოდენშტეტმა თავის ლექსებში თბილისი აღწერა. გერმანელი პოეტის თბილისი, აღმოსავლური ბაზრებისა და ქართველების ქალაქია, სპარსული გემოვნებისა. განსაკუთრებით პოპულარული გამხდარა გერმანიაში სიმღერა „მოიხსენი ჩადრი, ლამაზო," რომელიც თბილისელ ლამაზმანებს ეძღვნებოდა.

ერთ დროს ბოდენშტეტის „მირზა შაფის სიმღერები" ყველაზე პოპულარული უოფილა გერმანიაში.

ალბათ ვერნერ სიმენსი ამ ლექსებსაც გაეცნო საქართველოში გამომგზავრების წინ.

1890 წელს ვერნერ სიმენსი საქართველოში მესამედ ჩამოვიდა. მაშინ მეცნიერი წერდა: ჯერ კიდევ ახალი შთაბეჭდილებებს ზეგავლენით, ცოლთან და ქალიშვილთან ერთად, მე მინდა, ჩემი ჩანაწერების გაგრძელება დავიწყო ამ მოგზაურობის აღწერითო.

თუკი გვინდა, ვერნერ სიმენსის საერთო შთაბეჭდილებები საქართველოში მოგზაურობაზე მოკლედ გამოვხატოთ, შეიძლება მოვიყვანოთ ერთი სტრიქონი ზიგფრიდ ფონ ვეისერის წიგნიდან — „ვერნერ ფონ სიმენსი", რომელიც 1978 წელს გამოიცა ციურიხ-ფრანკფურტში. ავტორი წერს: 1890 წელს, ამჯერად თავის ცოლთან ერთად, მან მესამედ და უკანასკნელად იმოგზაურა თავის საყვარელ კავკასიაში". და აი, კიდევ: „ჩვენ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ვერნერს ამ თვითმყოფადი მხარისადმი — ჩვენი დედამიწის ბურთის აღმოსავლეთით, გაუჩნდა განსაკუთრებულად შინაგანი, ღრმად სავსე სიმპათია".

დიახ, გამოჩენილ გერმანელ მეცნიერსა და გამომგონებელს გულით უყვარდა საქართველო.

ანდრე კარბელაშვილი

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲭᲐᲚᲘᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲚᲐᲛᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ

ᲛᲝᲚᲐᲛᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ

ᲛᲝᲚᲐᲛᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ

„დროშის“
არქივიდან

რაღაც უცნობი ეთქვათ...

1974 წელს, აგვისტოში, გიორგი ცაბაძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. სარედაქციო კოლეგიამ გადწყვიტა, ფართოდ აღვნიშნა ქართველი ხალხის ბაკურული კომპოზიტორის დაბადების დღე და იუბილარად ფიტიკურნალისტები ნ. ოვეზაძე და ი. დაკუთაშელი ეყოლინენ.

ახლა წერილის ავტორიც უნდა შეგვეწინა. და აი, ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში კრძალვითი შემოსმიჯა ფეხი ეროს ახალგაზრდამ.

არჩევანი სწორედ ამ ახალგაზრდაზე — ჯემალ თოფურიძეზე შეკანრეთ.

გავიდა ეროი ეკორა. ავტორი არ ნანდა. დაიმქელი ფრო მიიწერა, სხვა გზა რომ არ იყო, ფოტოკომპოზიციათ დაკავშირებელი. ჟურნალი ეკვე იბეჭდებოდა, რედაქციაში ჯემალ თოფურიძე რომ მოვიდა.

— კარგად მინდოდა, დაეწერა და ითმტიკ დავაგვანე, მაგრამ ხამიი ენიანაე ზოგ ვიხელის ბატონი გიორგი, შეინ დაბეჭდეთ, — თქვა ეს ღიმილით და ნანახი დაგვიტოვა.

ბეიარი რამდენიმე წელმა. მოთხრობებმა „დიოსკურია ზღვაში ნაძირალი ქალაქი“, „ეროვა“, და სხვ. ჯემალ თოფურიძეს სახელი მოუხვეჭა. ჯემალი ოდესმეს მოეკიდა, ეიკი შეეძინა — ნოდარიკო, და დაიწყო მისი აღმასვლა, მაგრამ ბედმა უმეზოლა. ეიედურმა შემოხვეევამ იმსხვერპლა.

1984 წლის აგვისტოში გიორგი ცაბაძეს ხამიი წელი შეუსრულდა.

ჯემალი წარმოიშვება თავლენ. — ხამიი წლისაც ხიო გამდეზა ბატონი გიორ, შეინ დაბეჭდეთო—თქვა მან. მაგრამ გარდაცვლილი კაკის მინაალშეგას ოუხლარსიადეში, მოკვარიდეთ. ავტორის ნინამე რომ პირნალელი ეკოფილიყავეთო, მეინე ნიკეკოთეთ ჯემალის ნანახატი, გიოგის დიდრონი თავლეები ეერეშლ-ლეგბით ავეხო და თქვა: რატომ არ დაბეჭდეთ? მე ამიი მხოლოდ გამბარეგ-ლდეთო.

დღეს ალარე გიორ ცაბაძეა ჩვენს შორის. ჯემალის ხერკეილი იყო, სახალხოდ გიეშვალენინა: თავისი სიკეთრელი მინადმი.

მოდით, ამ პატარა ნანახატები გამეკლანეშეულ სიკეთრელს მხოლოდ მაო კეთენილებად ნე დაეტოვეთ.

ბეულნარა ბაბიტაძე.

ჯემალ თოფურიძე.



ბიძაჩემი საღამოს ადრე დაბრუნდა ფილარმონიიდან. შეეატეკეე, უხაროდა რაღაც. მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო. შორიდან ვაღეკენებდი თვალს, ღელავდა... მოგვიანებით გავმეედე მაგიდასთან მიახლოვებდა.

„რა ვიღონო, რით ვუშველო იარებს“... — ეს იყო, რაც გავარჩიე. სამუდამოდ დამამახსოვრდა.

შუადამე იქნებოდა, ლექსი რომ წამაკითხა. დღეს ფილარმონიაში გოგი ცაბაძე რადაკას უკრავდაო, — მითხრა. ისე მემოწოდა, კინალამ ვიტირე, ვთხოვე, „ბალეანკა“ მოეკეთ, იქნებ რაღე გამომვიდეს.

— მეც მინდა იმ მელოდიის მოსმენა. წამოიყვან ხვალ?

დამპირდა, წაგიყვანო. ერთი სული მაქვს, როდის გათენდება...

სისუფთავე და სიმშვიდე, ოთახის ერთ კუთხეში წითელი როიალი. წიგნების კარადა, რაღაც ნახატები და კედლზე მისი პორტრეტი. მეორე ოთახის კარი იღება და გამოდის კომპოზიტორი.

— ჩემი დისშვილია, აკნობს ჩემს თავს ბიძაჩემი...

რაღაცაზე ლაპარაკობენ. არ ვუსმენ. თვალს არ ვაშორებ გიორგი ცაბაძეს. ცოტა ხნის შემდეგ იგი როიალთან ჯდება, სიმღერის ტექსტს წინ იდების და ჯირეკლივე აკორდებს ზღაპრულ ქვეყანაში გადავყავარ. მისი დიდი ხელები ეფერებიან კლავიშებს.

„...ვგრძნობ უშენოდ დღენი როგორ მაკლდება, გამიღიმი, მითხარ, რა დაგაკლდება“... — მღერის გოგი ცაბაძე. წყვეტს სიმღერას და მერე ისევ აგრძელებს, ოღონდ ახლა თვალებს ხუჭავს. მღერის დიდი ვერძნობითი, თვითონ ხდება სიმღერის ნაწილი. მელოდია და ეს უზარმაზარი განცდა შენზეც გადმოდის. მეც ვხუჭავ თვალებს, სულ მინდა, მესმოდეს მისი ხმა, ვუსმენდე ჩემთვის ახლა საყვარელი ხელებით აღებულ აკორდებს, ვრჩებოდ ზღაპრათან...

როდესაც ეს სიმღერა რაღიოთი გადმოსცეს, უსაზღვრო სიხარულმა ამიტაცა, თითქოს მე მეკუთვნოდა. კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე — „ბიბლიოფერი მუხამბაზი“, ლექსი ნიაზ დისაამძიძისა.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა.

...ბაკურიანი. მზე და თოვლი. სასტუმროს აივანზე გავდივარ. თოვლი ჭიის თვალებსა. რადიოში კონცერტია. სასტუმროს წინ ბიუნი და გოგონები იცინიან. ჩემი მეგობარი ხალვალით თვალებით უყურებს ლამაზ გოგოს. გოგო იცინის და უყურავს თეთრი კბილები მზემოკიდებულ სახეზე. ახალგაზრდებით სავსე ორი მარხილი უახლოვდება სასტუმროს. ცხენებს გარეკრანს არ აკლიან, თოვლში ხტებიან. კოხტაზე! — იძახის ვიღაც და ისევ ოცსება მარხილები.

— შენ არ მოდიხარ? — მეკითხება გოგო და უყურავს თეთრი კბილები.

„რა ვიღონო, რით ვუშველო იარებს,
ეგ თვალები სულ ჩემს თვალწინ
ტრიალებს...“

მესმის რეპროდუქტორიდან სოიკინი ჰანგები, მოჯადოებული ნელა ვეშვები სკამზე და უპასუხოდ ვტოვებ ის გოგოს, სიმღერისგან სასიამოვნო სევდა მივლის მთელ სხეულში. ვხედავ, როგორ პატარავდებიან მთისკენ მიმავალი მარხილები.

მეხატრება ბიძაჩემი — ნიაზი. იგი ცოცხალი ადარ არის. ძალიან მინდა, ახლა შეეხედოდ გოგი ცაბაძეს. მთელი დღე ისე გადის, საყვარელი მელოდია მახლავს თან...

გიორგი ცაბაძე.

თბილისში ჩამოვდივარ და თითქოს ჩემს სულში ჩაიხედა ვიღაცამ, გიორგი ცაბაძეზე ნარკვევს მავალებენ. რამდენი დაწერილია, რამდენი თქმულა საყვარელ კომპოზიტორზე. რა უნდა ეთქვა?!

დილაა...

— საბურთალოზე! — ვეუბნები ტაქსის მძღოლს.

— საბურთალო დიდია! — მპასუხობს მძღოლი, ეტყობა, ვერ არის ხასიათზე. პავლოვის ქუჩაზე ვართ. სადღაც აქ უნდა იყოს, რომ დამავიწყა...

— შე კაი კაცო, თუ არ იცოდა... მიჯავრდება მძღოლი. ამას კიდევ ეს უნდოდა?

— იქნება იცით გიორგი ცაბაძის სახლი?! — მორიდებით ვეკითხები.

— გოგიასი? კომპოზიტორის?

— ხო გოგიასი! — ვთამაშდები მე.

— ეგრე გეთქვა, შე კაი კაცო! — კარგ ხასიათზე დგება მძღოლი და სიჩქარეს უმატებს.

„გოგია“ — ასე სიყვარულით, შინაურულად ეძახიან მას მისი თაყვანისმცემლები, მოუხდავად იმისა, პირადად იცნობენ თუ არა.

— ვუახლოვდებით, — ამბობს მძღოლი. 51 ნომერთან აჩერებს. — აი ყოველ დილა ადრიან აქა დგას ხოლმე, სამსახურში მიდის, შეიძლება, არც დაგხვდეს სახლში, — „ბამშვიდებს“.

ისევ ისეთი უცხაური სიმშვიდე, წყნარნის კარადა. ოთახის ერთ კუთხეში წითელი როიალი. ნახატები და კედლზე მისი პორტრეტი. პატარა მრგვალ მაგიდასთან ზი, გაზეთებს კითხულობს. ნელა დგება და ხელს მართვეს. მე ვუცინი.

— ვერ გიცანი, შვილო!

ველი მწყდება, თუმცა რას მიცრნას, თავს ვახსენებ. მიღიმის, „ბიბლიოსერ მუხამბაზს“ ეხსენებს. როცა საუბრობს, ისე მკონია, ახლოგელია ჩემი, ზმირად ვხედავ ამ კაცს შინ და გარეთ.

„არა, არ მსურს მოწყენილი გიხილო,

ამას მიკობს, სამარეში მიხილო...“

მეტრიან აკორდები, ისევ სევდის და სიამოვნების.

პატარა, გამხდარი ბიჭი დარბის ძველი თბილისის ქუჩებში, ბევრ ცუდთან თუ კარგთან ერთად, ესმის სიმღერა, თბილისური მელოდიები. თვითონაც მღერის და ყველაზე ძეტად ეს იტაცებს. ბარბის ტრო. „ზარი“ — „აუკაცის“ ლექსი ქართულად ნათარგმნი. კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე. პირველი სიმღერა და სიხარული, მერე დიდი ბზა...

კომპოზიტორი თავის თავზე ცოტას ლაპარაკობს. ჰკვეს ოჯახი. ორი ვაეი, ორი სიცოცხლე. შრომობს მთელი თავისი ცხოვრება.

— ჰობი?

რატომღაც კარგი მონადირე მგონია და ვეკითხები:

— ალბათ ზმირად დადიხართ სანადიროდ, ბატონო გოგი!

კომპოზიტორს ეცინება.

— არა, სულ არა, — გაგრძელებულად მიპასუხებს, — თვეში ერთხელ თუ გავალ სათეგზოდ.

არც თავის შემოქმედებაზე ჰკვება ბევრს. სიტყვაძუნწია თავის თავზე, როგორც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი.

...მღერის გიორგი ცაბაძე მისთვის ჩვეული სევდიანი ხმით და თითქოს მართლა ვეღარ ხედავ მზეს, ალარფერი არსებობს შეხთვის, თუ იმას ვერ ხედავ, თუ ის შენს გვერდით არ არის. გესმის ეს მომხიბვლელი ჰანგები და გინდა, გაიქცე, მიხვიდე, სთხოვო პატიება, შენი ალსარების დღე იყოს გინდა და გკერა, რომ მოგისმენს, მოგიტევებს!

ძველი თბილისის საღამო, ვიწრო ქუჩები, ნის აივნები, ეკლესიები ქალაქი მოსეირნე კავალრებით, აივანზე გადმომდგარი ქალები ჯორაევენ მოსეირნეებს. ენერგიულ შეხედვა, არ ასვენებს. ერთს რომ დაამთავრებს, მეორეს აკრეკენებს, ასე ოფლს ეხეთქება, ეაკი შეეძინა — ნოდარიკო, და დაიწყო მისი აღმასვლა, მაგრამ ბედმა უმეზოლა. ეიედურმა შემოხვეევამ იმსხვერპლა.

1984 წლის აგვისტოში გიორგი ცაბაძეს ხამიი წელი შეუსრულდა.

ჯემალი წარმოიშვება თავლენ. — ხამიი წლისაც ხიო გამდეზა ბატონი გიორ, შეინ დაბეჭდეთო—თქვა მან. მაგრამ გარდაცვლილი კაკის მინაალშეგას ოუხლარსიადეში, მოკვარიდეთ. ავტორის ნინამე რომ პირნალელი ეკოფილიყავეთო, მეინე ნიკეკოთეთ ჯემალის ნანახატი, გიოგის დიდრონი თავლეები ეერეშლ-ლეგბით ავეხო და თქვა: რატომ არ დაბეჭდეთ? მე ამიი მხოლოდ გამბარეგ-ლდეთო.

დღეს ალარე გიორ ცაბაძეა ჩვენს შორის. ჯემალის ხერკეილი იყო, სახალხოდ გიეშვალენინა: თავისი სიკეთრელი მინადმი.

მოდით, ამ პატარა ნანახატები გამეკლანეშეულ სიკეთრელს მხოლოდ მაო კეთენილებად ნე დაეტოვეთ.

ბეულნარა ბაბიტაძე.



თარაზულად: 2. ბორცვი იერუსალიმის მახლობლად — ქრისტეს ჯვარცმის ადგილი; 6. პირიკნების მოლაწეობის ან ლინაწესანიშნავი მოვლენის რაიმე თარიღის ხსენების ანბანშენა; 7. სრული მარცხი, კრახი; 8. საკეთილდღე ნერტილოსთვის დაბოდებული ღია ადგილი თავდაცვით ნაგებობაში; 11. მოკმედი ვეფლანი სამხრეთ პერუში; 14. „ინტერნაციონალის“ ტექსტის ავტორი; 16. სხეულის ბუნებრივი ნაწილის ხელოვნური შემცვლელი; 17. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას; 18. რომის იმპერატორი; 20. მდინარე საკართველოში; 21. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 23. ფეხბურთში ცრუ მოძრაობა; 27. ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 28. ნერილის ხსენება — „მოკითხვის წიგნი, ბარათი ძველ საკართველოში; 29. ქალაქი საუდის არაბეთში; 30. ეკლესიაში საკურთხეველის წინ ამაღლებული ადგილი, სადაც ლოცვებს წარმოიკვამენ.

ზვეულად: 1. სანთლის ნაკადის ხაზობი ერთეული; 2. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, ქუღათა გარკვეული რაოდენობა; 3. შტატი ინდოეთში; 4. სახიფათო, ბნელი წამოწეული უცბად გამდიდრების მიზნით, ეაკლარანგობა; 5. ხამი ან მეტი მუხეკადური ბგერის მარმონიული შეხამება; 9. ვინიმე საკმაონი და პოლიტიკური ცვალებადიკეის განსაზღვრა; 10. მრავალეოლანობა; 11. ალკანეკი ურანის თანამეზობენი; 12. ქალაქი რუმინეთში; 13. ქალაქი-ნავსადგური ოდესის ოლქში; 15. წმენრეკილი კაკეცანიანის ქეზე; 19. ძველ რომში თანამდებობის პირი; 22. კუნძული ხმელთაშუა-ზღვაში; 24. სათავეო გემის კორპუსში; 25. ქიმიური ელემენტი; 26. ორი ელექტროდის (ანოდისა და კათოდის) ჭეშე ელექტროლი

საფეხბურთო სეზონის ეპილოგი

1988 წლის საფეხბურთო სეზონის კალენდარი ერთობ მრავალფეროვანი და ინტენსიურია. ასე რომ, სპორტის ამ სახეობის ქომაგებს მოსაწყენად არ ეცლებათ.

სეზონის მთავარ მოვლენებს შორის, რა თქმა უნდა, გამორჩეული ადგილი უჭირავს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს (ივნისი, გფრ), აგრეთვე ოლიმპიური თამაშების დასკვნით შეჯიბრებას (სექტემბერი, სეული). წელსვე გაიმართება მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩები. ამას დაუმატეთ ევროპული და საკავშირო საკლუბო ტურნირები, საბჭოთა კავშირის 1988 წლის ჩემპიონატი.

შეჯიბრების რანგი, ცხადია, გულშემატკივირთა ინტერესის ძირითადი კრიტერიუმია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში ამ ინტერესს სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავენ. ქართული ფეხბურთის მოყვარულებს, გასაგები მიზეზების გამო, უწინარესად, იმ ტურნირებისკენ უჭირავთ თვალი, რომლებშიც თბილისის „დინამო“ და ჩვენი რესპუბლიკის სხვა გუნდები მონაწილეობენ.

საფეხბურთო სეზონი, შეიძლება ითქვას, არ ცნობს დროის საზღვრებს. თუ ადრე ფეხბურთი გაზაფხულ-შემოდგომის პრივილეგია იყო, ახლა ზამთარიც „გავიდა საქმეში“: ზუსტად ვერ დაადგენთ, სად მთავრდება ერთი სეზონი და სად იწყება მეორე. თუმცა ჩვენს წარმოდგენაში სეზონის სტარტ-ფინიში მაინც უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატს უკავშირდება და ყველაფერი, რაც ეგრეთწოდებული საფეხბურთო არდადეგების პერიოდში ხდება, ისევ და ისევ ამ ჩემპიონატისთვის სამზადისს გულისხმობს.

თბილისის „დინამოსთვის“ შარშანდელი სეზონი ჩემპიონატის მატჩებით არ დამთავრებულა. „დინამო“ მხოლოდ 9 დეკემბერს დაემშვიდობა თავის გულშემატკივარს. ბრემენის „ვერდერთან“ შეხვედრა თავისებური „საჯილდაო ქვა“ გამოდგა ჩვენი გუნდისათვის, რომელიც რის ვაი-ვაგლახით შემორჩა უმაღლეს ლიგას, უეფას ტურნირს კი მესამე წრეში ჩამოსცილდა. საფეხბურთო კანონების მიხედვით ბუნდესლიგის ლიდერს არ უნდა გასჭირვებოდა „დინამოს“ დამარცხება. საბოლოო შედეგიც უთუოდ ლოგიკური იყო.

„ვერდერთან“ შეხვედრები დღეს სულ სხვა მიზეზის გამო გავიხსენეთ: მართალია, თბილისის „დინამო“ გამოეთიშა ევროპული თასისათვის ბრძოლას, მაგრამ სწორედ ამ მატჩებში დავინახეთ ჩვენი გუნდის პოტენციური შესაძლებლობანი, მომავალი „დინამოს“ კონტურები და ამან, ცხადია, გარკვეული ოპტიმიზმი ჩაუსახა გუნდის ქომაგებს. მოკლედ, სეზონის ფინიშზე დინამოელები, რომ იტყვიან, ათამაშდნენ, კოლექტივს აშკარად დაეტყო წინსვლა, ამ პროცესში კი გადამწყვეტი სიტყვა ახალმა უფროსმა მწვრთნელმა გერმან ზონინმა თქვა.

ასეთია გულშემატკივართა და სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრი. ახალ მწვრთნელს ახალი კონცეფცია მოაქვს. ზონინის მოსვლას დაემთხვა არსებითი ცვლილებანი თამაშის ტაქტიკასა და სტრატეგიაში, შემადგენლობის სტაბილიზაცია, სათამაშო ფუნქციათა ოპტიმალური განაწილება ცალკეულ ფეხბურთელთა შორის, დისციპლინის ამაღლება მოედანზე და მოედანს გარეთ... თუმცა რადიკალურ განახლებაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. ასე ფიქრობს თვით გერმან ზონინიც.

— მე სერიოზული გეგმებით ჩამოვედი თბილისში და მათი განხორციელებისთვის, დამეთანხმებით, ექვსი-შვიდი თვე საკმარისი არ არის. უდიდეს პატივს ვცემ ქართულ ფეხბურთს და მჯერა მისი. ასე რომ არ ყოფილიყო, არც შევეჭიდებოდი ამხელა საქმეს. შარშანდელი სეზონის ფინიში კარგი გაკვეთილი გამოდგა ჩვენთვის. მართალია, გულშემატკივრები ბევრი ვერაფრით გავახარეთ, მაგრამ ხელშესახებად დავინახეთ ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგები, დავინახეთ უამრავი ნაკლიც, რომელთა გამოსწორებისთვის დიდი შრომა გვმართებს. უკვე გავიარეთ მოსამზადებელი პერიოდის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელიც საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირებსა და საწვრთნელ შეკრებებს მოიცავდა.

მოხდა ისე, რომ ჩემპიონატისა და უეფას ტურნირის მძიმე მატჩების შემდეგ დინამოელებს შესვენება ფაქტიურად არც ჰქონიათ. ათდღიან შვებულებას მოჰყვა საახალწლო ტურნე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (ბრემენსა და ზაარბრიუკენში გამართული საერთაშორისო ტურნირების შედეგები ცნობილია ფეხბურთის მოყვარულთათვის — „დინამომ“ ბრემენში ერთი მატჩი წააგო, ერთიც ფრედ დაამთავრა, ზაარბრიუკენის ტურნირში კი პირველი ადგილი დაიკავა); სამედიცინო შემოწმება და ხუთდღიანი ვარჯიში თბილისში, ძირითადი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ლესელიძეში, შემდეგ... ისევ თბილისი და ლესელიძე. ამ პერიოდში დინამოელებმა ათამდე საკონტროლო მატჩი გამართეს და ამ შეხვედრებში არაერთი ახალბედა ფეხბურთელი გამოცადეს. სეზონსა და სეზონს შორის, ცნობილია, ნებისმიერი გუნდი ღებულობს შევსებას. საკმაო ცვლილებებია თბილისელთა რიგებშიც.

— ახალწვეულები სერიოზულ გამოცდას გადიან, თუმცა მათ რიგებში გამოცდილი ფეხბურთელებიც არიან: მესხი, მიქაბერიძე, ტყეებუჩავა. ამ მოთამაშეთა შესაძლებლობებს ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ და მათზე არაფერს ვიტყვი. აი, ახლებედებიდან კი მჭირს ვინმეს გამოყოფა... არადა, „დინამოს“ ახლა ჰაერივით სჭირდება ტალანტები, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ფეხბურთელები, რომლებიც ღირსეულად გაგრძელებენ ვეტერანთა საქმეს.

ვეტერანები კი, უნდა გავუგოთ მათ, ნელ-ნელა ტოვებენ ასპარეზს. წლებს თავისი მიაქვთ, თუმცა გულშემატკივართათვის მაინც მოულოდნელი და დასანა-

გარეკანის პირველ გვერდზე: ბამარჯვება ბიჭებო! გარეკანის მეოთხე გვერდზე: „დინამოს“ კაპიტანის ალექსანდრე ჩივაძის გაცილება; ცხენოსანი მილიცია.
ფოტოები მალხაზ დათიკაშვილისა.

გადაეცა წარმოებას 15.02.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.03.88. უე 01306. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.400 შეკვეთა 375. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42. 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ნი იყო „დინამოს“ მრავალნაცადი კაპიტნის ალექსანდრე ჩივაძის განცხადება გუნდის დატოვების თაობაზე. ცოტა მოგვიანებით ასეთივე სურვილი გამოთქვეს რამაზ შენგელიამ და თენგიზ სულაქველიძემ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გუნდში დარჩნენ. ასეა თუ ისე, გუნდის ხელმძღვანელობა ვალდებულია, ყველაფერს აკეთებდეს შემადგენლობის განმტკიცებისათვის, ცალკეული რგოლების შევსებისთვის. ზემოთ ნახსენებ საკონტროლო მატჩებში მწვრთნელებმა სხვადასხვა ამპლუაში არა მარტო ახალწვეულები, არამედ ძირითადი მოთამაშეებიც გამოსცადეს.

— ოპტიმალური შემადგენლობის დადგენა და მოთამაშეთა უნარის კვალობაზე ფუნქციათა ზუსტი განაწილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია მწვრთნელის მუშაობაში. ჩვენ ვცდილობთ, თითოეულ ფეხბურთელს ის ადგილი მივუჩინოთ, სადაც ყველაზე მეტად გამოადგება კოლექტივს. ერთი სიტყვით, „დინამო“ ახალი მოდელის ძიებაშია და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. დადგა დრო, თამაშის სადავეები უფრო თამამად აიღონ ხელში ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, რომლებიც გუნდში ბოლო ხანს დაწინაურდნენ. უპირველესად ვგულისხმობ ჭედიას, ცვეიბას, ქეცბაიას, ფანცულაიას. ძირითად მეკარედ კვლავ ოთარ გაბელია

რჩება, თუმცა, ვფიქრობთ, თავის სიტყვას იტყვის ახალგაზრდა ჭანტურია, რომელსაც საკონტროლო მატჩები ურიგოდ არ უთამაშია.

გერმან ზონინი და მისი კოლეგები, როგორც ჩანს, კმაყოფილნი არიან გაწეული მოსამზადებელი მუშაობის შედეგებით, დამაიმედებელია ცალკეულ ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადება, მოისინჯა მრავალი ტაქტიკური ვარიანტი. სათამაშო პრაქტიკის გაუმჯობესებას უთუოდ შეუწყო ხელი ორკვირიანმა საწვრთნელმა შეკრებამ ალჟირში. 3 მარტს, უკვე თბილისში, კიდევ ერთი საკონტროლო შეხვედრა მოეწყო, 7 მარტს კი, როგორც იცით, „დინამომ“ სტარტი აიღო საკავშირო ჩემპიონატში.

პირველი მატჩების შედეგები ერთობ დამაიმედებელი გამოდგა, 2:1 — ასეთი ანგარიშით დაამარცხა ჩვენმა გუნდმა ვილნიუსის „ჟალგირისიც“ და მინსკის „დინამოც“. ამ შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ კოლექტივში სასიკეთო ცვლილებები ხდება. საქმე მარტო ქულები როდია. ცვლილება იგრძნობა თამაშის ხარისხში, ფეხბურთელთა მომზადებაში, საქმისადმი მათს დამოკიდებულებაში.

ქართული ფეხბურთის მოყვარულთა სურვილი ერთია: სეზონის ბოლოს თავისი საყვარელი გუნდი ჩვენი ფეხბურთის ტრადიციებისთვის შესაფერის ადგილზე იხილოს. საამისოდ დინამოელებს თავდაუზოგავი თამაში მართებთ და ამ მძიმე ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, მათ გვერდით ეყოლებათ ათეულ ათასობით ერთგული გულშემატკივარი.

ელგუჯა გერიშვილი.

ინდექსი 76056

6145/83.

ეროვნული ბიბლიოთეკა